


180
1967/3



ГОБЕЛТКОЕ
ИСКУССТВО
SOBIET ARK
SOWJERKUNST

1967

12

სოჭოქოთო
ხელოვნება

სოციალური ხელოვნება



თეატრი გუნდის
შეხვედრის კინო
ხელოვნების
ქორობისათვის



12

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
საზოგადოებრივ-კულტიკური, ლიტერატურულ-მხატვრული
თეორიული ყოველთვიური ჟურნალი

10477 10627



შემოქმელები

შეპართების

წელი



მატერული შემოქმედების 1967 წლის თორმეტი თვე მიიღია და ახალი საზოგადოების მშენებელმა ხალხმა იგი სულიერი და მატერიალური სიუხვის წელად აღიარა.

ამ წლის განმავლობაშიც მრავალჯერ იხარა საბჭოთა ადამიანის კეთილის მომტანმა მარჯვენამ, მრავალჯერ ამაღლდა საქართველოს სახელი და დიდება საკავშირო ასპარეზობაზე, რესპუბლიკის მრავალფეროვანი მეურნეობა არაერთხელ აღინიშნა სამავალთო წარმატებებით. საქართველოს შრომა და შემართება ღირსეულად დაფასდა.

ბუნებრივია, ქვეყნის საერთო მონაგარი კომალექსური შემოქმედების

ნაყოფია. საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობამ რესპუბლიკის სულიერი ცხოვრებაც აღამაღლა და მრეწველობის წარმატებამ მხატვრული შემოქმედების ძალეზიც ამრავლა. ბუნებრივია ისიც, რომ საქართველოს მხატვრული ინტელიგენციის, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეთა შემოქმედებითმა შემართებამ თავის მხრივ მნიშვნელოვნად განაპირობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ფრონტის დონის ამაღლება. ახალი საზოგადოების მშენებელი ადამიანების ერთობლივი მეცადინეობა კეთილ ნაყოფს იჩიის.

საზოგადოებრივი დოვლათიანობის, სულიერი და მატერიალური სიუხვის შექმნა-მოწყევაში მნიშვნელოვანი მო-

ნაწილეობა მიიღეს საქართველოს თეატრების, მუსიკის, მხატვრობის, კინემატოგრაფიის, პოლიგრაფიისა და არქიტექტურის დარგის მოღვაწეებმა, რომელთა ნაფიქრალ-ნაშეშოქმედარი ხალხის გულთან მივიდა, ხალხმა მოიწონა და მაღლობით მიიღო.

საზოგადოების სასიკეთოდ გაწეული შრომა არ იკარგება. იგი ყოველი მხრიდან ჩანს. თბილისელეზი ყოველი ქუჩიდან და კუთხიდან ხედავენ ცაში ლაზათიანად ასვეტილ ბრწყინვალე „ივერიას“, რომელიც ჩვენი მშრომელი ხალხის და მისი მხატვრული ინტელიგენციის იდეურ ამაღლებულობაზე მეტყველებს. „ივერია“ არქიტექტორისა და მუშების აზრმა აავტო. მაგრამ მასში აისახა მთელი ჩვენი ხალხის წაღილი — თბილისის იყოს კიდევ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი, ახალი, პროგრესული მშენებლობის მეთოდებს დაუფუფულებული და ძველი თბილისური კოლორიტიც გაღრმავებული. ამიტომ მიიღეს მხურვალე მონაწილეობა „ივერიის“ შენობის მორთვა-მოკაზმვაში მხატვრებმა. მისი ფოიე და პავილიონები მოხატულია ქართველ ფერმწერთა ფუნჯით და მოჭედილია ქართველ მოქანდაკეთა ქედურფილებით. მხატვართა პლასტიკურმა აზროვნებამ კიდევ უფრო მეტი სიმაღლე მისცა „ივერიას“ და ამაშიცაა ჩვენი ხელოვნების საზოგადოებრივი მნიშვნელობის მაღალი ფუნქცია.

თბილისის ცენტრი თბილისის გარეუბნებითაც დაშვენიდა. დიღმის ტერიტორიაზე აშენდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალი კეთილმოწყობილი და ლამაზი შენობა, რომელიც სიხარულით აცხვებს პატოსანი კაცის გულს. საქართველოში მცხეთის გზით სტუმრად მოსული მეგობრები დიღმის ველზე დადგმული ამ დიდებულ ნაგებობის მასშტაბითა და ლაზათითაც გაზომავენ იმ საერთო სასიკეთოს, რაც კეთდება ჩვენს დედაქალაქში და ჩვენს რესპუბლიკაში სხვა ხალხების სადამდებროდაც, დიადი საზოგადოების სადიდებლად.

მრავალი ახალი საცხოვრებელი სახ-

ლი აშენდა მიმდინარე წელს საქართველოში და ყველა ამაში თვინათი სიოცხლისა და შემოქმედების ნაწილი ჩადეს ქართველმა არქიტექტორებმა. მრავალი ახალი საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის შენობა აღმოცენდა ქალაქებსა და სოფლებში, გზებსა და გზაჯვარედინებზე, რათა ადამიანებმა უკეთ დაისვენონ, იმზავლონ კმაყოფილება, ხსარონ საკუთარი ქვეყნის მშვენიერებით, ზარდონ ძალები ახალი შრომითი შემართებისათვის.

ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ რჩება ხალხს და მაღლიერებით იხსენებს ყველას, ვინც თაოსნობს ამ დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ვინც მონაწილეობს მალაღობაში და ეროვნულ გარჯაში, ვინც აშენებს და ქმნის ქვეყნისა და მამულიის სასიკეთოდ.

მიმდინარე წელი გამორჩეული იყო საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და მასშტაბური მხატვრული ღონისძიებებით, რომელთა შორის აღსანიშნავია მოსკოვის კულტურის დღეების ჩატარება თბილისში, საქართველოს კულტურის ცივილიზაციის მოწვევა მოსკოვში, უნგრეთის დეკადის გამართვა საქართველოში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის ათდღიური ორგანიზაცია ჩვენს რესპუბლიკაში. ყველა ეს ღონისძიება ხალხთა ძიშობისა და მეგობრობის მაღალ იდეალს ემსახურება და ჩვენი დიდი მოძღვრების საერთო დინების ღრმა შენაკადი იქცა. როგორც ამ წელიწადს, არასდროს არ ყოფილა საქართველოში ადამიანი სიხარული და კმაყოფილება. ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებლები ადგილზე გაეცვენნენ მეგობარი ხალხების კულტურას და მათაც უჩვენეს საქართველოს მხატვრული ცხოვრების მაღალი დონე. ამისი დადასტურებაა დედაქალაქის მხატვრული ანსამბლების გასტროლები ჩვენი ქვეყნის სახეგრებს ვართ და რუსთაველის ნახელობის თეატრის სტუმრობა რუმინეთში, როცა პირველად ქართული

თეატრის ისტორიაში ჩვენი თეატრი უცხოელთა წინაშე წარსდგა. რა გვიშლიდა ხელს, რომ აქამდეც ვაგუსულიყავით საზღვარგარეთ? ბევრ შემთხვევაში საერთო სინდნელები, ბევრჯერ კი საკუთარი უთაოსნობა და გულგრილობაც. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში მიიყვინეს რუსთაველის თეატრი უცხოეთში, მაგრამ შინაური წინადაუხედაობით, სუბიექტური „ჩემი — შენაინობით“, შურით და სულმძაბლობით, და ბოლოს, ხელმძღვანელთა უთაურობის წყალობით ადვილად ჩაიშალა რუსთაველის თეატრის დასახეული გასტროლები უცხოეთში, — საფარბეგეთში, იტალიასა და ამერიკაში. ახლა ეს გამოსწორდა. ხალხმა და თავაკოცობამ ჯანსაღად განსაჯა წარსულის სიმცდარე და ევროპაში ქართული თეატრის ფარდა გახსნა. ეს კარგი ნაბიჯი კიდევ იმით არის მოსაწონი, რომ პირველს მიორცვ მიჰყვება და ქართული თეატრი მუდმივი სავასტროლო მგზავრობის კუთვნილ ლიტერის მოიპოვებს.

ყოველივე ეს შეუმჩნეველი არა რჩება ხალხს და მაღლიერებით იხსენებს ყველას, ვინც თაოსნობს ამ დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ვინც მონაწილეობს მალაღობაში და ეროვნულ გარჯაში, ვინც ქმნის ქვეყნისა და მამულიის სასიკეთოდ.

მიმდინარე წელი გამორჩეული იყო იმითაც, რომ საქართველოში შეიქმნა ორი ახალი ქართული თეატრი. ეს კი უფრო მწილი საქმე იყო, ვიდრე მშენებლობის მასშტაბებით ათჯერ უფრო სხვა დიდი შენობის აგება. დიდხანს არ დაგავიწყდება იმ ერთი ვოლიუნტარისტის ხელმძღვანელის ახივება, ვინც გულთან ახლოსაც არ მიიტანა საქართველოს შრომელების წყურვილი ჩვენც გვექონოდა სპორტის სასახლე, ანგარიში არ გაუწია რესპუბლიკის დიდი და პატარა ხელმძღვანელის მონადომებს საქართველოშიც ამოყვანათ ათთათასიანი კაცის ერთად თავშესაყრეში დარბაზის საძირკველი, სათვალავში არ ჩაავდო თბილისელი

ახალგაზრდობის ენთუზიაზმი — საბათობებით მოერთოთ და მოეკახათ სახატრული სპორტული სასახლის კედლები. იმ თავნება ვოლიუნტარისტმა ხალხის ხმას ანგარიში არ გაუწია და მდიდურობით დაგვიწუნა ჩვენი ხელით აგებული სასახლის შენობა, თუმცა ვერ წავართმევთ, — დიდად ეკაყოფილი დარჩა ჩვენეული კერძით: „ქართული საწველდანი კერძი იმდენად გემრიელია, რომ ლურსმანსაც კი გადაუღებავს“.

მაგრამ, ეს დრო ისტორიას ჩაბარდა. რესპუბლიკის დიდი და პატარა შვილი ახლა უფრო მეტყველად ხედავს საკუთარი შრომის ნაყოფს. ამიტომ დიდის სიხარულით შეხვდა ხალხი ახალციხეში მესხეთის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის აღდგენას, რომელიც სწორედ იმ ახივებული ვოლიუნტარისტის ხელის ერთი ქმნივით დაიხარა ათი წლის წინათ. წელს დაიხარდა რუსთაველის სახელმწიფო თეატრიც, რომლის კოდექტივმა უკვე უჩვენა მშვენიერი სექტეალები და გაამართლა ხალხის ნდობა უწყვილი. ეს და მრავალი სხვაც მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, ჩვენი რესპუბლიკის საერთო წარატებებათა სათვალავში.

ყოველივე ეს შეუმჩნეველი არა რჩება ხალხს და მაღლიერებით იხსენებს ყველას, ვინც თაოსნობს ამ დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ვინც მონაწილეობს მალაღობაში და ეროვნულ გარჯაში, ვინც ქმნის ქვეყნისა და მამულიის სასიკეთოდ.

ასევე გვეარს, გვემზავლოს და გვეთქვას: სიოცხლე და დღეგრძელობა ახალისა და პროგრესულის შემოქმედ ხალხს. დიდება შრომა-შემოქმედებაში ნასახილვე წლებადღე თორმეტ თვეს და კეთილი მობრძანება მომავალ ახალ წელს, რათა კარგმა იმრავლოს და ნაკლმა იკლოს, სიყვთიმ იბარტყოს და კეთილშობილებამ გაიზარდოს.



ქართული
სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

ალტერ
ლპიხტი
და
მომღერალი
გერმარტ
ფრაიხე



ბრანდენბურგის კარები



ბერ-ის მუსიკალური კულტურა

ვაჟა გვახარია

უსამართლო გერმანიის ნანგრევებზე შრომისმოყვარე გერმანელმა ხალხმა ორი ახალი სახელმწიფო აღადგინა, რომელთაც ჯერ ვერ გამოხატეს საერთო ენა, მათ ჯერ კიდევ აყფით უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი საზღვარი. სახელმწიფო წყობილება, დიამეტრულად საპირისპირო იდეოლოგია. ბრანდენბურგის ტიშკართან დაიწყო პიტლერელების თავაშვებული მარში. დასავლეთ ბერლინი სისხლიანი წარსულის ძველად ძმათა სასაფლაო აღმართულა. ერთი სისხლისა და ენის ხალხი ერთგან სოციალისტურ გერმანიას აშენებს, ხოლო მეორეში გერმანელი კომუნისტები მაქს რაიმანის ხელმძღვანელობით იბრძვიან პროგრესული იდეების დანერგვისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ემყარება სოციალისტური ქვეყნების მდიდარ გამოცდილებას, იგი შენდება აქვე ჩასახული მარქსისა და ენგელსის მოძღვრებით, რომლისთვისაც იბრძოდნენ ერნსტ ტლმანი, როსა ლუქსემბურგი. გერმანია გენიოსების: ჰენდელის, ბახის, ჰაინდის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შუბერტის, შუბანის, ვაგნერის, ბრამსის... სამშობლოა. აქ მოპოვრობდა „შტურმ უნდ ღრანგი“, რომლის წარმომადგენლები იყვნენ გოეთე, ჰერდერი, შილერი... უკანასკნელი საუკუნეების გერმანული ფილოსოფია ისეთივე ბრწყინვალეა, როგორც მისი ლიტერატურა და მუსიკა. მან მისცა კაცობრიობას კანტი, ჰეგელი, ფიხტე...

თანამედროვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იდეოლოგია ემყარება ორ ძირითად ფაქტორს: ეს არის ერთი მხრივ წარსულის კლასიკური შემოქმედების პროპაგანდა, მისი

ლმად შესწავლა, ხოლო მეორეს მხრივ სოციალისტური სამყაროდან ათვისებული ახალი მიმართულების დანერგვა. ეს ორი ხაზი პარალელურად ვითარდება თანამედროვე გერ-ის კულტურის ყველა სფეროში. შეტყვევლი ისტორიული დოკუმენტები ცხადყოფენ ისეთ დიდ კონტრასტებს, როგორც არის, ვაშინზის შემოქმედება — ბუხენვალდის სასაკალო და ჰუმანისტური გერმანიის დროინდელი ქალაქები: ვაიმარი — ლისტის, გოეთეს, შილერის სახლ-მუზეუმებით, გოეთესა და შილერის ძეგლით, ძველი თეატრით. (სადაც პირველად ლისტის ხელმძღვანელობით აქლერდა რ. ვაგნერის „ლოუნგრინი“), ქალე — ბაზრის მოედნით, ჰენდელის სახლ-მუზეუმით, მისი ძეგლით, კომპეზით... აქვეა ამერიკელთა მიერ უღმობლად დაბოძილი დრეზდენის ნანგრევები, სადაც თვითველი სახლი უფრო მნიშვნელოვანია თავისი ისტორიული წარსულით, ვიდრე მეთორმეტი სილაშაზით, ვიდრე XX საუკუნის ბევრი ცათამბჯენი.

1949 წლის 7 ოქტომბერს შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. აღორძინდნენ ძველი კულტურის კერები — ბერლინის, ლაიფციგის, ქალეს, იენის, როსტოკის უნივერსიტეტები (იენის უნივერსიტეტს კი, როგორც ვიცი, მჭიდრო ურთიერთობა აქვს თბილისის უნივერსიტეტთან). ნიშანდობლივია, რომ ყოველ უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებულია მუსიკის ინსტიტუტი, რომელიც შეესაბამება ჩვენს ფაკულტეტს. ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტის მუსიკის ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ და ამჟამადაც ეწევიან ჰედაგოგორი-საკვლევო მუშაობას პროფ. ე. შ. მაიერი, პროფ. ე. გნებლერი.



საქართველოს
ენციკლოპედია




გეორგი ფრიდრიხ ჰენცელი

მცენიერებათა აკადემიასთან არსებობის ფოკალორის ინსტიტუტი, სადაც მუშაობს დოქტ. ე. შტოკანი. პალეს ლუთერის სახელობის უნივერსიტეტსა და ლაიფციგის უნივერსიტეტში მუსიკათმცოდნეობას განაგებს ვალტერ ზიგმუნდ-შულცე. აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მკვლევარები — მაქს შნაიდერი, ბ. ბენდური, ვ. სერაფი. ლაიფციგის უნივერსიტეტთან არსებობს შოლეს მსოფლიოში ცნობილი მუსიკალური საკრავების მუზეუმი. იენის უნივერსიტეტში მოღვაწეობს დოქტ. კ. კრეი და დოქტ. გ. გროში, გრასფელდის ერნსტ-მორიც-არნდტის უნივერსიტეტში დოქტ. ა. ელერი... უნივერსიტეტების გარდა მუსიკის მცენიერული შესწავლა მიმდინარეობს „ბაზის არქივი“ (ლაიფციგი) დოქტ. ნაუმანის ხელმძღვანელობით, ვაიმარის ფოკალორის ინსტიტუტსა და ლისტის სახელობის უმაღლეს სკოლაში — პროფ. დოქტ. კრაფტის ხელმძღვანელობით, ბერლინის მცენიერებათა აკადემიის ხელმძღვანლის ინსტიტუტში — პროფ. კ. შვანის ხელმძღვანელობით; ხალხური შემოქმედების

დრეზდენის სანაპირო




ცენტრალურ სახლში, სახელმწიფო ბიბლიოთეკის მუსიკის განყოფილებაში, ლაიფციგის წიგნის პალატაში, დრეზდენის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში... მუსიკის საკითხები ქვეყნდება „ბეოლიხის უნივერსიტეტის საკლავო ჟურნალში“, „გერმანულ ყოველწლიურ მუსიკათმცოდნეობის ჟურნალში“, „მუსიკათმცოდნეობის შესავალიში“. ამ ჟურნალებში თანაშრომლობენ გდრ-ის წამყვანი სპეციალისტები: გეორგ კენკლერი, ლორენც მანეა, პარი გოლდშიდტი, კარლ ჰაისე კოლერი, გოტფრიდ კოლერი, გუნტერ კრაფტი, ჰოსტ ზეიგერი. გერმანია ყოველთვის განთქმული იყო მუსიკალური გამოცემლობებით. დრეზდეს, წამყვანია ლაიფციგის საგამომცემლო ცენტრები: ბრაიტკოვის და პარტელის, პეტერსის, ფრიდრიხ ჰოფმანსტრის. აქვეა გამუდმული და ვოკალური მუსიკის ლიტოლოვის კოლექცია. ცნობილია აგრეთვე მუსიკის გამოცემლობა ბერლინში: „ახალი მუსიკა“, „ხალხი და ცოდნა“, ლაიფციგში: „პრომუსიკა“, „თანამედროვე სიმღერისა“ და „მსუბუქი მუსიკის“ გამოცემლობები ლაიფციგში. გერმანიაში გამოდის ჟურნალები: „მუსიკა და საზოგადოება“ (დაარსდა 1951 წ. პროფ. ე. შ. მაიერის მიერ), „მუსიკა სკოლაში“ (1949 წლიდან), „მელოდია და რიტმი“ (1957 წლიდან), „ხალხური შემოქმედება“ და „ხალხური მუსიკა“ (1957 წლიდან), „ახალგაზრდა ხელოვნება“ (1957 წლიდან), და „ხელოვნება და ლიტერატურა“ (1958 წლიდან). გდრ-ის ყველა ქალაქში შეიძლება პროფესიული მუსიკის მოსმენა. სათავეო თეატრებია: ალტენბურგში, ახაბურგში, ბაუტცენში, ბერლინში (ორი), ბარბურგში, ბონში, ბრანდენბურგში, კოტცესში, კრიმიტშაუში, დესაუში, ფრანკფურტში ოდერზე, ფრაიბურგში, გრაიფსვალდში, ჰალეში, კარლ-მარქს შტადტში, დრეზდენში, აიზნახში, ერფურტში, მაისენში და ა. შ., მაგარე მათ შორის მთავარი თეატრებია ბერლინის სახელმწიფო კომპოზიტი, ლაიფციგისა და დრეზდენის საოპერო თეატრები. თეატრები ყველა ქალაქში უაღრესად თვითმყოფადი მხარათულებს და ტრადიციებისა. ჰალეში ქანდელის ოპერები ცოცხლებია, შაფენბურგი — ტელუნიკის, თვით ბერლინის სახელმწიფო თეატრს ძალზე მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს. აქ იღვებდა ძველი კლასიკა: ვლუკის „იფიგენია ავლიონში“, ჰენდლის „არბოდატე“, რიჩარდ ვაგნერის შვდვერები „ლომბოთების დაღუპვა“, „ტრისტან და იზოლდა“, რუსული კლასიკა: „თავადი იგორი“, „ევგენი ონეგინი“, „სოფია-შინია“, „გედის ტბა“, რიჩარდ შტრაუსის „ელეტრა“, ლ. იანაჩეის „იფიგენია“, ა. ხაჩატურიანის „გაიანე“, ვან კერტ ფორესტის „სამარალ კონრადი“, ე. სუხონის „კურტნიუვა“ და სხვ. მაგარე გერმანიაში განსაკუთრებით მაღალ დონეზეა სიმფონიური მუსიკა. გერმანია სამშობლოა გამოჩენილი დირიჟორებისა: აქ არც თუ ისე შორეულ წარსულში მოღვაწეობდნენ პ. აბნდოერი, კონიგნი, ჰანს კნაპერტსბუმი, ამბაზა პორს შტანი, ჰანს ლოვლიანი, ვერნერ შტოლცე, არტურ აპელტი, ჰელმუტ კოხი, კურტ ზანდერლინგი. ყოველ ქალაქშია სიმფონიური ორკესტრი, ზოგში რამდენიმე. მათ შორის გამოირჩევა დრეზდენის ფილარმონიის, ლაიფციგის გეიანდჰაუსის ბერლინის რადიოსა და ტელეგადამცემთა, პალეს საფესტივალო ორკესტრები გდრ-ში ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო ფესტივალები: ი. ს. ბაზის — გრასივალდში, ლაიფციგში, აიზნახში; გ. ფ. ჰენდლის — ჰალეში, რ. ვაგნერის — დესაუში, რ. შუმანის — ცვიკაუში, ფ. ლისტის — ვაიმარში. მაისტრინზერების ძველი ტრადიციის მიხედვით მომღერალთა შეჯირბება იმართება ლუთერისა და ლუკას კრანხის სახელობით დაკავშირებულ ვარტბურგის ციხე-დარბაზში. გდრ-ში იმართება მუშათა სიმღერების ტურიზმის ფესტივალი, ახალგაზრდა შემსრულებლებისა — ჰალეში, ახალი მუსიკის კვირეულები ბერლინში, თეატრალური ფესტივალი დრეზდენში. გდრ-ში ჩა-




ტარდა საერთაშორისო მასშტაბის იუბილეები: ბახისა — 1950, 1954 და 1964 წლებში — ლაიფციგში, ლ. ბეთოოვი-ისა — 1952 წ. ბერლინში, ფ. შუბერტიასა — 1944 წელს ბერლინში, რ. შუმასისა 1956, 1964 წელს ბერლინსა და ცვიკა-უმი, ჰენდელისა — 1959 წელს ჰალეში. გდო-ის მუსიკალურ კულტურას განაგებდა კულტურის სამინისტრო (მუსიკის ხელ-მღვაწელია დოქტ. ვერხერ რაკიცი) და კომპოზიტორთა კავ-შირი (თამაჯდომარე დოქტ. ხათ. ნოტივიცი). სხვადასხვა ქალაქებში ხათ აქეთ ხელმძღვანელი ფილიალები. ბერლინის კომპოზიტორთა კავშირში წარმოდგენილია: მუსიკათმცოდ-ნეობის, სიმფონიური და სავერდო, საოპერო, კამერული, ხალ-ხური საბავშვო და სკოლის სასულე ორკესტრის, შაუბუქი — საცეკვაო მუსიკის სექციები. გდრ-ს ყავას თვალაწინო კომპო-ზიტორები, რომელთა შორისაც შეიძლება დავასახელოთ: იოან ჩილენსევი, პაულ დესაუ, აწ განსწავებული ჰასს აისლერი (მობიფიგის მოწაფე), ოტმარ გერსტერი, ჰანს-გიოგერ კორბე-რი, გუნტერ კოსახი, ერნსტ ჰემან მაიერი, ფრიც რუტერი, კურტ შვაბი, ლუო შპიზი, იოან პაულ ტილმანი, გერჰარდ ვოლ-გენუტი და სხვ... თუ გადავხედავთ მუსიკალურ დღესასწაულებე-ზე მამულეთა დასწრების სტატისტიკას, ყველაზე დიდი პრო-ცენტი, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მოდის სიმფონიურ და კამერულ მუსიკაზე. ეს გასატეხივაცაა, გერმანულ სიმფონიზმს, ხომ უდიდესი ტრადიციები აქვს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია მუსიკათმცოდნეობა ძირითადად იფარავლება კლასიკური შემ-კვიდრების შესწავლით, ან კიდევ ისეთი ულტრათანამედროვე პრობლემებით, როგორიცაა მუსიკა და კიბერნეტიკა, მუსიკა-ლური სოციოლოგია; იგი ნაკლებად სწავლობს თვით თანამედ-როვე მუსიკალურ მიმართულებებს, ახალ სისტემებს. კომპო-ზიტორები კი, პირიქით — წყურჩ სრულიად ახალი გნით, ეხარებიან ულტრა-თანამედროვე მუსიკალურ მიმართულებე-ბებს. მათ შემოქმედებაში წამყვანია სიმფონიურ-კამერული შემოქმედება, შემდეგ მასიური სიმფონები, მარშები და ბო-ლის — ოპერა და ბალეტი.

კომპოზიტორები აქტიურად ემხურებიან თანამედროვე პროგრესულ იდეალს. რომლებიც მეტწილად ვლინდება ისეთ მასიურ საშუალებებში რანეტებში, როგორიცაა კანტატა, ორატორია, მასიური სიმღერა. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს განვითარება აღფ. ბოქმანის კანტატა „უბერაჟს ქარი აღმო-სავლელიდან-დასავლეთისაკენ“ (1952 წ.), მაქს ბუენიგის ოთხი კანტატა „ომის შემდეგ“ (1948 წ.), კ. ბ. დივანის „ბუნებულის ბოგმა“, „ტრეპტოვის შესავალი“, „მივაბიჯებთ ჩვენს რეკომში“, „ოდ მუხმეს“, „მთფლიის დედა“ (1958), ჰანს აისლერის „კანტატა ლენინის გარდაცვალებაზე“ (1937), „ომი არის ბუნების კანონი“ (ფიფრის მიხედვით), ფ. ფინკის „ნაციონალური ფორმის სიმღერები“, იან კურტ ფურტის „ლენინის კანტატა“, „კარლ მარქსი ცხოვრობდა, გავაწავილდა“ (1953 წ.), ოტმარ გერსტერის კანტატა „სიმღერა ბუნაზე“, „წითელი დროშა“, „გუნტერ კოსახის „მთფ-ლი ახალაზრდა“, (პაულ ვინის მიხედვით), იანგე ლამელ-ის „სიმღერა 1948 წლის რევოლუციასზე“ (1957 წ.), „სიმღ-ერა ფიშინის და ომის წინააღმდეგ (1958 წ.), „სიმღერა I მისზე“ (1958 წ.), ფედე მალევისის „კანტატა მთელი ხალხების მშვიდობასა და დემოკრატიაზე“, ერნსტ ჰერმან შა-ერის „სიმღერა ახალაზრდაზე“, „მშვიდობის დღე“, „ბუნებულის კარი... გდრ-ის ახალაზრდა რესპუბლიკის მუდმივ ნაწარმოებზე: ფრედ მალიგე — „კანტატა რესპუბ-ლიკისათვის“, გუნტერ ფრიდრიხსა „ჩემო სამშობლო“, ზიგ-ფრიდ კოლერმა „ბერმანია, ჩემო სამშობლო“ (1955 წ.), კურტ შვანს „ჩემო მშვენიერი სამშობლო“, ბრეტის თემა-ტია შოკერების წყაროდ იქცა გერმანული კომპოზიტორე-ბისათვის, ამ მხრივ აღსანიშნავია: ჰანს აისლერის — გერმა-ნული სიმფონია (1936, 1937 წ. წ.), „ამ საუკუნეების შუა

წლები“ (1950), „არაინ, ან ყველა“, „მშვიდობის სიმღე-რები“, „კანტატა ამსტაიკის გარდაცვალებაზე“, პაულ კურც-ბახის „ბრეტის კანტატა გუნდისა და ორკესტრისათვის“ (1950 წ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია კამოჩენილი კომ-პოზიტორის პაულ დესაუ ნაწარმოებები ბრეტის თემატი-კაზე: 1959 წელს მან დაწერა ოპერა „უბრეტოლა“, „ბატონ ბიურგერის ცნობარი“ (1951 წ.), თეატრალური მუსიკა: „შინი და გასაქირი“ (1938 წ.), „დღეა კურატი და მისი შვილები“ (1946 წ.), „ვეთილი კაცი სეხუნიდან“ (1947 წ.), „გამო-ნაკლისი და წესი“ (1948 წ.), „ბატონი პუნტოლა და შახუ-რი მატტი“ (1949 წ.), „იკეი-ადამიანია“ (1951 წ.), „იკე-კასიის ცარცის წრე“ (1953 წ.) და სხვ... გდრ-ის კომპოზი-ტორთა შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს გერმანულ ექოსსა და ლირიკას, რომლებიც ეხმარებიან ყველა თაობათა ინტერესებს. ამ მხრივ აღსანიშნავი ნაწარმოებებია: ალფრედ ბოქმანის საორკესტრო მუსიკა „ეუმონაული ზღაპრების სამ-ყაროდან“ (1952 წ.), „სურათები ზღაპრების წინდინა“ (1953 წ.), ვალტერ დრაგერის „გულგური ლეგენდები“ მამა-კაცთა გუნდისათვის, ვერნერ ჰენსენის „იაკობ გრემის ათი ზღაპარი სტენისათვის“, ჰანს ჰენგერის „ქვემო გერმანული ხუთი მშობლიური ცეკვა“ (1953 წ.), იოან ჩილენსევის „ხუთი სატრფიალო სიმღერა“ (1953 წ.), მაქს დენტის სამი ლი-რიული სცენა გიოგერ მაურერის ლეგენდის მიხედვით, „მოვადე და ადამიანი“ ჰანგე შოლდერის მიხედვით (ვიკალური ცეკ-ლი), „საყვარლის ციკლი“... გდრ-ის კომპოზიტორთა შემ-ოქმედებაში თვალაწინო ადგილი აქვს დათმობილი კლასი-კოსთა შემოქმედებას. აღსანიშნავია: ზიგფრიდ კოლერის „გოეთეს კანტატა“ გუნდისა და საკრებულისათვის (1955 წ.), ზიგფ. კურტის „გულტვი ლეო ბერლინიენენ“ გოეთეს დრამის მიხედვით, „ზაფხულის დღის სიზმარი“ შექსპირის მიხედვით, კურტ ფორსტის „დონ-კიხოტის სიზმარი“ (ბალეტი), პაულ დესაუ — გოეთეს „ფაუსტის“ I ნაწილზე დაწერილი მუ-



კომ. იოსებ ჩილდუხევი



კომ. ჰ. ჰ. ასლუგი



კომ. ლ. ლ. შვენი

საქართველო
24-10-1953

სიკა (1949 წელი), „დონ-ჟუანი“ მოლიერის მიხედვით (1952, მუსიკა სპეტაკალისათვის), „ორფეოსი“ (ტექსტი რობერტ ზაიტცის, 1931 წ.), კარლ ჰაინც დიჰმანის მუსიკა გოეთეს „ფაუსტის“ II ნაწილზე. გერმანელი კომპოზიტორები დიდ ყურადღებას უთმობენ დემოკრატიული ქვეყნების თემატიკასაც. ამ მხრივ აღსანიშნავია კურტ შვანის მიერ დამუშავებული საკვანტეტო სუიტა აგებული ჩეხური, გერმანული, ფრანგული და კართული სიმღერის ინტონაციებზე. ფიდელიო ფ. ფიხტეს „ათი სიმღერა ძველი რუსული ხალხური სიმღერებიდან“, თეოდორ ლოუშეკის „ვარიაციები სლავურ თემასზე“ ორკესტრისათვის (1955 წ.), „მუსიკა ბოჰემურ ხალხურ სიმღერებზე ორკესტრისათვის“ (1955 წ.), „კარლ რუდი გრიზმარის „სამი სიმღერა ლერმონტის მიხედვით“ (1946 წ.), „ოცი რუსული ვოკალური სიმღერა“ (1947 წ.), ჰანს ჰელმუტ ჰენდერის ვარიაციები — „რუსი მუსიკაურების ციკვი“ (1951 წ.)... ოპერებიდან აღსანიშნავია გერმანელი ვოლფგანგ ჰაინცის „ტილი“, მისივე ბალეტი „პროვინციული სიყვარულის სიმღერა“, პაულ დესაუს „ლუკულურის განაჩენი“, სასცენო ორატორია „ჰაგადა“ მაქს ბროდის მიხედვით, „საბრალო კონსადი“ ფრიდრიხ ვილჰელმის მიხედვით (1911 წ.), ოტმარ გერსტლის „მადამ ლონგოტე“ (1933 წ.), თ. გრიზმარის „კოლუმბი“ (1959 წ.), მისივე საბავშვო ოპერა „თოვლი“ (1956 წ.), ზიგფრიდ კოლერის ოპერა მუშათა თეატრისთვის „მსაჯული პოპენბერგიდან“ (1955 წ.), პაულ კურტბახის „თომას მიუნცერი“ (1955 წ.), „სუსანას ისტორია“ (1948 წ.)... გერმანელი კომპოზიტორები დიდ ყურადღებას უთმობენ სპორტულ მუსიკას, გინოს და დრამატული თეატრის მუსიკალურ გაფორმებას. განსაკუთრებული ყურადღება აქვს

დათმობილი სხვადასხვა ასაკის საბავშვო რეპერტურას, მასში ჭარბადაა ნაწარმოებები ცალკეული ინსტრუმენტებისათვის: კლარნეტის, ფლეიტის, ვალდორნის, საყვირისათვის, — გერმანიას და ჩეხოსლოვაკიაში კამერული ანსამბლები ოჯახებშიც კი შეგვხვდებათ, სტუმრობისას შესაძლოა მოისმინოთ ანსამბლური შესრულებით, ძირითადად, კლასიკოსთა რეპერტუარი. საშემსრულებლო კულტურა ხშირ შემთხვევაში უსუსტი, შედმეტად აკადემიურია, ემოციური ფაქტორი მსღავრდა დაქვემდებარებული ინტელექტის კონტროლს, თვალში მოგვხვდებათ ნაწარმოების ღრმა გააზრება და ტენიციკრად სრულყოფილი შესრულება. ანსამბლურობის გრძნობა უბადლოა და უმაღლეს დონეზეა აყვანილი.

გერმანული მუსიკათმცოდნეობა მტკიცედ მიჰყვება იდიოლოგიის მარქსისტულ შესწავლას. ამ მხრივ საკმაოდ გამართული გამოკვლევების გეგმით, გზებით ეულგარულად ათვისებულ მატერიალისტურ კონცეფციებსაც. ამ მხრივ აქ ყოველივე ძიებისა და შესწავლის პროცესშია, ბევრი მათგანი მოგვგონებს ისეთსავე ხასიათის გამოკვლევებს, როგორც იწერებოდა ჩვენში 30-იან წლებში, მაგრამ ამ დიდუღების გადაღმახის გაუმე ძნელია დაეუფლო ახალ იდიოლოგიას, მითუმეტეს, რომ ფაშიზმის ბატონობის დროს ეს იდიოლოგია დევნას განიცდიდა. იგი დამკვიდრდა მხოლოდ მაშინ, როდესაც დანერგულ ფუნდამენტზე ახალი სოციალისტური სახელმწიფო წარმოიშვა. მარქსისტულ-ლენინური მოფიქმედელობით არის დაწერილი გიორგ კნეჰლერის „XIX საუკუნის მუსიკის ისტორია“ ორ ტომად. საბჭოთა და რუსული კლასიკის შესწავლა-ახალი იდიოლოგიით მოქმედებისათვის გულ. ზიგმუნდ-შალუცე გამოკვლევებში: „მუსიკათმცოდნეობის და მუ-

პროფ. მაქს შნაიდერი


კომ. პაულ დესაუ

პროფ. გ. ზიგმუნდ-შალუცე





კომ. გერსიმოვი



პროფ. გერსიმოვი



პროფ. ზიგვიროვი

სიკვლური აღზრდის ამოცანები სოციალისტური ქვეყნების უნივერსიტეტებში, „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — ჰუმანიტური ნაციონალურ-კულტურული მემკვიდრეობის დამცველი“, „მუსიკალური კვლევის ძირითადი პრობლემები“, „ქალთა ტრადიციები მუსიკის ისტორიისათვის“, „მინიელ გლინკა რუსული მუსიკის პირველი კლასიკოსი“, „მოსტაკოვიჩის ოცდაათი პრელუდია და ფუგა“, „კლასიკური მუსიკალური რეცეპციის მიებათა ძირითადი საკითხები“. ვერნერ ფელქის ეკუთვნის ნარკვევი „პარტიულობა მუსიკაში“, პარი გოლდშმიდტს — „აზრები და შეგრძნება — ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მუსიკალური უსტეტიკის მიმართ“, გუნტერ კრატს — „მუსიკალური ურთიერთობანი რუსეთსა და ტურინიანის შორის XVIII-XIX საუკუნეებში“, „მომღერალი და მებრძოლი გოტობოა“, კარლ ლაუკს — „მუსიკა რუსეთსა და საბჭოთა კავშირში“, ათი წელი გღრ-ის მუსიკალური ცხოვრებისა“, ე. პ. მაიერს — „რეალიზმი — სიოცლის წყარო გერმანული მუსიკისათვის“, „რეალიზმი საბჭოთა კავშირის მუსიკაში“, ნათან ნოტოვიცს — „ფორ-მალიზმისა და რეალიზმის საკითხი“, „საბჭოთა მუსიკის ავტავება“, „ალექსანდ სეროვი“. მუსიკალური უსტეტიკის, იდეოლოგიის საკითხებზე ბევრს წერენ ვერნერ რაკიცი, იოანა რედოლიფა და სხვ.

გერმანული მუსიკათმცოდნეობის ძალა განიზომება კლასიკური მემკვიდრეობის ღრმა შესწავლით. გერმანული მუსიკათმცოდნეობის გამოკვლევები ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. გერმანელების მიდრეკილება კლასიციზმის კორიფეობისა და ულტრათანამედროვე მუსიკისამდე არ არის შემოხვედრისა. მათ ვეკვალე უფრო თვალსაჩინო მოხვედრეები ჰყავთ XVIII


საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე უკანასკნელ წლებამდე. XVIII საუკუნეში მისცა გერმანიას გ. ფ. ჰენდელი და ი. ს. ბახი. ბახის შემოქმედების ცენტრი ლაიფციგია. თომას ტაძარში განისვენებს იგი, თომას ტაძარშივე აარულება მის შემოქმედებას განთქმული ბავშვთა გუნდი, აქვე ატარებებს მის გენიალურ ნაწარმოებებს გეჰანდჰაუსის ორკესტრი. ვეჰანდ-ჰაუსი და თომას ტაძარი ეს არის მრავალსაუკუნოვანი, დიდი ტრადიციის მქონე გერმანული და მსოფლიო მუსიკის კულტურის კერები. ლაიფციგში დაიბეჭდა 1961 წელს დიდი ჰუმანისტის და მუსიკათმცოდნის ალბერტ შვაიციერის კლასიკური გამოკვლევა ი. ს. ბახზე (არსებობს რუსული თარგმანი ი. ს. დრუსკინისა, მისივე წინასიტყვაობით და შენიშვნებით). ი. ს. ბახის დოკუმენტები გამოსცა ბახის არქივმა ლაიფციგში. აქვე გამოიცა კომპოზიტორის ფაქსიმილზე, ბერლინში გამოვიდა ვ. ნეუმანის „ბახის სიოცლების გზა“, კომპოზიტორის შემოქმედებას მიუძღვნეს გამოკვლევები კ. ბესილერმა, მ. შნაიდერმა, ბ. გოლშმიტმა, კ. კოლერმა, გ. კრაფტმა და სხვ.

თუ ლაიფციგში ი. ს. ბახით ამაყობს, უძველესი ქალაქი ქალე გ. ფ. ჰენდელის მუსიკის დღესასწაულებს ცენტრია. დიდი ნიკოლოზის ქუჩაზე, № 5 სახლში დაიბადა ჰენდელი. დღეს ამ სახლ-მუზეუმში, მისი დირექტორი კ. სასეჟ განაგებს გენიალური კომპოზიტორის შესახებ დაცულ მდიდარ ფონდებს. კ. სასეჟ შეადგინა კომპოზიტორის ვრცელი ბიბლიოგრაფია, გამოსცა ოთხ ტომად საარქივო მასალები. 1966 წელს გამოიცა შარლ ბურნის საარქივო მასალები, ვ. ზიგმუნდ — მულცემ გამოაქვეყნა ჰენდელის ოპერა „რადამისტის“ ფაქსიმილე; მასვე ეკუთვნის ჰენდელის ბიოგრაფია; ილუსტრირე-

კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ნათან ნოტოვიცი



კომპ. ერნსტ ჰერმან მაიერსი



პროფ. მაინრის ზესელერი





დირიჟორი
პ. შტაინი

იბეჭდება ცნობილი ნაწარმოებების ლიბრეტოები. კლასიციზმის ბიოგრაფიები გამოდის ილუსტრირებული დასათმობით.

მუსიკის ისტორიის ზოგადი კურსისათვის ძირფასი მასალა მოგვება არნოლდ შერინგს — „მუსიკის ისტორია საერთო მავალითებით“. პ. ბესულერისა და მ. შნაიდერის ხელმძღვანელობით გამოდის სერია „მუსიკის ისტორია საერთო მავალითებით“. გამოვიდა ოთხი ტომი: პ. ჰიკმანის „იგვიპტე“, მ. ვიგნერის — „საბერძნეთი“, გ. ფლიმასკურის „ეგვიპტე და რომი“, გ. ფარმარის „ისლამი“. მუსიკის თეორიის შესახებ ბრწყინვალე გამოკვლევები მოგვრებათ პ. ბესულერს — „მუსიკალური სმენის ძირითადი საკითხები“, „მუსიკალური ესთეტიკის ძირითადი საკითხები“, „ახალი ეპოქის მუსიკალური სმენა“. ზ. ზიმერტი მუშაობს მუსიკის ფსიქოლოგიისა და ესთეტიკის საკითხებზე. მისი გამოკვლევებია „მუსიკალური ფსიქოლოგიის შესავალი“, „მუსიკალური სმენის ფსიქოლოგია“, „მუსიკალური შემოქმედების ესთეტიკა“... მუსიკის ფსიქოლოგიის საკითხებზე მუშაობს პ. გოლდშმიდტი: „მუსიკალური აფეთქების შესწავლა“, „მუსიკალური სახე“; ალბერტ კრაუსი მუშაობს რიტმის პრობლემებზე, ორკესტრბაში მოგვრება გამოკვლევა ე. პ. მაიერს — „ეგროპული საკრავიერი მუსიკა 1500-1700 წლებში“, „ინგლისური კამერული მუსიკა“, „ინსტრუმენტული-საცეკვაო კომპოზიციისა და XVI საუკუნის გერმანული ხალხური მუსიკა“, „რენესანსის საკრავიერი მუსიკა“. პ. მიშელს აქვს გამოკვლევა „მუსიკალურ ფსიქოლოგიაზე“. ელექტრო-აუსტიკურ მუსიკალურ საკრავებზე გამოკვლევა ეკუთვნის ე. შტოკმანს. მასვე ეკუთვნის გამოკვლევა ბურდული ტიპის ქართულ მრავალხმიან სტრუქტურაზე და ეგროპული ხალხური საკრავების კლასიფიკაციის შესახებ. ლიფცივიში გამოქვეყნ. კ. ივსეხინის „კონტრაპუნქტი“. ბრწყინვალე ნაშრომი რ. შტორის „მუსიკალური ფორმა“ და ე. აპელის „პოლიფონიური მუსიკის ნოტიკა“, ვალტერ ფეტერის ორტიმული, „მითი მელოსი — მუსიკა“. კ. ფ. მ. ბაჩი მუშაობს საფორტეპიანო ტექნიკის სრულყოფის საკითხებზე. ამ შროგი საყურადღებოა მისი ორი გამოკვლევა: „ძირბანი საფორტეპიანო შესრულების ნამდვილი ტექნიკისა“ და „დახვეწილი საფორტეპიანო ტექნიკა“. ვ. ბახმანი ეკუთვნის გამოკვლევა „სიმებიან საკრავებზე დაკავრის დასაწყისი კურსი“, პ. ბენარს „XVIII საუკუნის გერმანული კომპოზიციის შესწავლა“, ა. ბაიშლაგ „მუსიკის ორნამენტკა“, ს. ბიმერტს „საგუნდო შესრულების მუსიკალურ-პედაგოგიური საფუძვლები“, ფ. ბალმეს „პარმონიის ამოცანები“, პ. ბროკს „მუსიკალური თეატრის სკოლაში“, ან. ჟანს „საქილიონი შესრულების მეთოდიკა“, კურტიონენს „საფორტეპიანო შესრულების უნერების გზები“, რ. და ოინენს „ტონი და სიტყვა ქორალში“, კ. ჟენკის „საკრავიმცოდნობა (ორ ნაწილი)“, კ. ა. მარტინენს „ინდივიდუალური საფორტეპიანო ტექნიკა“, ე. ფონდერ ოსტენს „მუსიკალური ფორმა“, ფრ. რუბერტს „X საუკუნის პარმონია“, „ეგვიპტე — ბანის პრაქტიკული შესრულება“, „პარტიტურების პრაქტიკული შესრულება“, გ. როოს „ფორტეპიანოზე ვირტუოზული შესრულების მეთოდიკა“, კურტ შვეს „ხალხური საკრავების ორგანიზირება“, ალ. სტიმდერს „სადიოფონო შეკრვენება“, პელ. ცერამის „ორგანტიკა“, თილმანს გამოკვლევა ახალ მუსიკაზე. 1966 წელს გამოვიდა მუსიკალური ლექსიკონის ორი ტომი.

როგორც ამ მიმოხილვით სატიკიდან ჩანს, გერმ. მუსიკალური კულტურა ისეი დონეზეა, რომ რაც არ უნდა ჩქარა დასავლეთში მისი როლი, სერთოფილი მუსიკისათ მათ მონაპირის გვერდს გერ აუღლის. გერ-ის მუსიკალური მემკვიდრეობა საერთაშორისო მუსიკალური საცანძურის ძვირფასი შენაძენია.

ბული ბიოგრაფია გამოსცეს ვ. რაკვიცმა და პ. სტეფენსმა. ჰენდლის საერთაშორისო საზოგადოებას წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მკვლევარი მაქს შნაიდერი. „ჰენდლის წელიწადეულში“ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის გამოჩენილი მკვლევრები აქვეყნებენ საყურადღებო შრომებს. ამ ფუნდამენტი იბეჭდებოდა რ. ი. გრუბერის, უ. შ. შმიდტის, პ. იანგის, კ. ამელის, ალ. მენის, ე. პ. ლარსენის, ე. ზ. შულცეს, კ. სასანს, პ. რიკუერტის, ი. რუდოლფის და სხვების სატიკებით, რომლებშიც ბრწყინვალე მასალებია მიღლი იმ ეპოქის მუსიკალური კულტურისა და შემდეგი პერიოდის მემკვიდრეობის შესახებ. ყოველწლიურად გამოდის საყურადღებო საკვლევი ხასიათის პროგრამები.

გერმანული მუსიკათმცოდნეები საცანვებო ყურადღებას უთმობენ სარკივო მასალების გამოყენებას. ამ შროგი საყურადღებოა ბეთაოვენის, შუმანის წერილები — გამოვიდა ჰერმან აბერტის კაპიტალური გამოკვლევა მოცარტზე და მოცარტის სრული ბიბლიოგრაფია, დიწურა გამოკვლევები ბეთაოვენზე, შებერტზე, შუმანზე, შტრაუსზე, ვაგნერზე... ფაქტია, რომ გერმანული მუსიკათმცოდნეები ძირითადად ისახდებიან გერმანული კლასიციზმით, ძალზე ცოტაა უცხოეთის კლასიციზმზე დაწერილი გამოკვლევები. ამ შროგი გამოხატავის წარმოადგენს პ. პინენის, პ. ვოლფის, რ. ზიცკის, პ. გოლდშმიდტის, გ. კნეპლერის ცალკეული გამოკვლევები. რაც უფრო მოვიდით ერთ თანამედროვეობისაკენ, მით უფრო მცირდება და უშუალო ხდება მუსიკათმცოდნეების შემოქმედება. გერ-ში მოღვაწეობს მაღალკალიფიციურ კომპოზიტორთა არმია, რომელთაც ნაკლებ პროპაიანდას უწევენ მათი მკვლევარი კოლეგები. ახალი გერმანული მუსიკის შესახებ ჰარზად იბეჭდება სანოტიო ლიტერატურა. გამოვიდა ოცდარი ცალი ხანგრძლივი დაკვრის ფირფიტების სერია — „Neue Musik“, ბროშურებიც კი გახსნასდრება კლასიციზმთა რეპერტუარი, „რეკლამის“ მიერ

უცხოელი სტუმრები, მართალია, ჩვენთან ვერ ნახავენ ვერც ახმეტელისა და ვერც მარჯანიშვილის ძეგლებს, მაგრამ ისინი ადვილად დარწმუნდებიან, რომ როგორც ჩვენთან, ასევე დემოკრატიულ გერმანიაში ბევრი სხვა ისეთი დრამატული თეატრიცაა, რომლებიც ეროვნულ სახეს ერთნაირად გამოხატავენ თავიანთი ჭეშმარიტი შემოქმედებით და ამით ხსენებულ რეჟისორების ხელთუქმნელ ძეგლებსაც ქმნიან. როგორც ჩვენთან, ასევე იქაც ხშირად ყურადღებას იპყრობენ ერთდროივად დრამატურების: შექაპირის, შილერის, სოფოკლეს, გოგოლის, ისტროვსკის, გორკის, ბრეჰტის, მილერის, როზოვისა და სხვათა პიესების დადგმები.

სასიამოვნოა დემოკრატ გერმანელ ხალხთან ჩვენი სარეპერტურაო გემოვნების ამგვარი მსგავსება, რადგან შექაპირის, შილერის, ბრეჰტის, მილერისა თუ სხვა კუმიანისტი დრამატურების გამგებ ხალხს შეუძლებელია არ ჰქონდეთ ერთმანეთის პატივისცემა, მშვიდობიანი, მეგობრული თანაარსებობის სურვილი.

ქართული მკითხველი და მყურებელი მუდამ აფასებდა დიდი გერმანელი კუმიანისტების საცაყობრიო აზროვნებას. იგი ახლაც დიდი სიყვარულით ხვდება უბოროტლო გერმანიის იმ გამორჩენილ მოღვაწეებს, რომელთა უშუალო მონაწილეობით აქმნება ახალი გერმანული ხელოვნების ისტორია.

„გერმანელი მომღერალი აწ და მარად შენ ადიღე უბოროტლო გერმანია, რომ სიმღერამ განამტკიცოს ჩვენი სული, სასახლო საქმისათვის შეფიქვლო, ძღვევისილ მარცელუთა ჰიმნის დარად“¹.

ჰაინრიხ ჰაინეს ამ ლექსს „ტენდენცია“ ეწოდება, ხოლო საუკუნეზე მეტი ხნის წინ პოეტის ოცნებაში გატარებულმა ამ ტენდენციამ პირველად ორი ათეული წლის წინ ჰოვა ჭეშმარიტი გამოხატულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ცხოვრების შეცვლის ღრმა პროცესმა, ახალმა გეოგრაფიულმა და პოლიტიკურმა პირობებმა ახალი სუნთქვა მოიტანა ხელოვნებაში და, მამასადამე, თეატრშიაც, სადაც კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა ფაშისტური დიქტატურისაგან თავისუფალი ხალხის ჯანსაღი სიცოცხლის შეგრძნება, მისი ნიჭი, ფანტაზია და გონებაშახელობა. თეატრი გამოცოცხლდა და თავისი დემოკრატიული მისწრაფებებით მკვეთრად დაუპირისპირდა დასავლეთის რეაქციულ ხელოვნებას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თეატრმა საყოველთაო აღიარება დაიმსახურა იმით, რომ მას ღრმად აქვს ფესვები გამდგარი ხალხში. იგი ფაქტად უფროსილიდება ხალხთან მტკიცე კავშირის ისტორიულ ტრადიციებს.

ეს ის ტრადიციებია, რომელიც სათავეს იღებს ჯერ კიდევ ძველი საერო, რეალისტური ტენდენციების მატარებელ სხვადასხვა სასცენო შემოქმედებითი ფორმების საწესო თამაშობებიდან (დემოკრატიული მოტივების მქონე ნახევრად ლიტურგიული დრამა, გარდამავალი ხასიათის მიზრაკლი, მისტერია, მორალიტე და სხვ.).

ეს ის ტრადიციებია, რომელმაც დიდი სახალხო ომების წლებში თეატრალური ხელოვნება მკიდროდ დაუკავშირა

¹ თარგმანი აკაკი ჯიქაძისი

სიპარტლის

ბზიმი

გივი ბარამიძე



ქართული თეატრალური ცხოვრებით დაინტერესებულ გერმანელ სტუმრებს უმაღლეს რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებზე მიუთითებენ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თეატრალური ცხოვრების გაცნობის მსურველთ კი — ბერლინის რაინჰარტის და კაპერული თეატრების სპექტაკლების ნახვას ურჩევენ.

ბერლინის ორივე ამ თეატრის წინ ამაყად გამოიყურებიან დიდი გერმანელი რეჟისორების — ოტო ბრამისა და მაქს რაინჰარტის ბიუსტები.

რევოლუციურ ბრძოლას, სახალხო იერი მიანიჭა მესისტრზინ-გერგზის შემოქმედებას, ხოლო გერმანიის ნაციონალური გა-ერთიანებას იღის დაცვისა და გერმანული ენის სიწმინდისა-თვის მიმდინარე რევოლუციულ მოძრაობაში (რომელსაც ხელმძღვანელობდა მარტინ ლიუტერი) ჩააბა 1523 წელს აჯანყებული გერმანელი რაინდები (ფრანც ფონ ზიკინგენი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ძვირფასი და დაუფიყარია გლეხთა ომის (1514-1525) დროს ფეოდალური მონობისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლი სამხრეთ გერმანიის ყმა გლეხების მიერ გამოშვებული მანიფესტი — „12 თუხსი უბრალო აღმავიანსა“, რომელშიც ბევრი ისეთი მოთხოვნები იყო წამოყენებული (სიტყვისა და ბეჭ-

დის თავისუფლება, შვედების თავისუფლება, ხელისუფლების საარჩევნო სისტემა და სხვ.), რომლებიც ოთხი საუკუნის შემდეგც მარქსისტული რევოლუციური მოძრაობის თემატიკაზე ბელი გახდა და რომელთა განხორციელებაც შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ სოციალისტურ სისტემაში.

როგორც ვთქვით, თვატრი თავისი პროგრესული იდეების განსამტკიცებლად ზწირად მიმართავს კლასიკოს და განსაკუთრებით ლსინგის, შილერისა და გოეთეს ეროვნულ, ჰუმანისტურ შემოქმედებას. ფრთხილ შეისმა „ქარიშხლისა და შეტყვის“ მოგვიანი თაობის მეთაურის — შილერის მიერ „ყაჩაღების“ ეპიგრაფად აღებულია აფორიზმმა — სადაც უძლეურია წამალი, იქ რკინა და ცეცხლი შევლისო, ფრთხილ შეისმა გოეთეს მიერ „ფაუსტის“ ბოლოში ნათქვამმა რევოლუციური ხასიათის სიტყვებმა: „თავისუფლების და სიცოცხლის ღირსი ის არის, ვინაც ყოველდღე, განუწყვეტლივ ამისთვის იბრძვის“. ამის გამო აღნიშნავს ვალტერ ულბრიხტი: „გოეთეს, შილერისა და ლსინგის დიდი ჰუმანისტური იდეები დღეს ხომ პირველად განხორციელდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რამეთუ შრომელებმა საამისო სოციალ-დემოკრატიული საფუძვლები შექმნეს“.

ბერტოლტ ბრეჰტი და პაულ დესაუ



რაკი გერმანიის ისტორიაში პირველად ამ ორი ათეული წლის წინ გამოჩნდა მტკიცე ბაზა პროგრესული-რეალისტური თვატრის საფუძვლიანი განვითარებისათვის, ბუნებრივია, რომ ნაციონალური თვატრები მტკიცედ დაემყარნენ აგრეთვე ძველი თაობის ისეთ პროგრესულ გერმანულ დრამატურგებს, როგორიც არიან: ბ. ბრეხტი, ფ. ვოლფი, კ. გრიუნბერგი, ხოლო ახალი თაობიდან ვ. ნეეგეიმს, კუშისი, გომის და სხვ.

ამ დროს დასავლეთ გერმანიაში ამერიკის შერეული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საოუპაციო ხელმძღვანელობამ თვატრის შევიწროება დაიწყეს. პირველ ხანებში შტუტგატრის 14 თვატრიდან 11 დაიხურა, მსახიობების 70% უშეშვარი დარჩა. არსებული თვატრებიც მტად მკაცრ ცენზურულ პირობებში აღმოჩნდნენ. მათ საგრძნობლად მოაკლდათ ის კლასიკური პიესები, რომელშიც თავისუფლების სიყვარული და ჰუმანისტური იდეებია ჩაქოვილი. სამაგიეროდ ფართოდ გაიკვლია გზა რეაქციულ-დეადენტურმა მიმართულებამ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვატრი მტკიცედ დაადგა შემოქმედებითი აღმავლობის გზას. რეალიზმის მტკიცება, მშვიდობისათვის ბრძოლის თემა, დრმა ჰუმანიზმი იქცა რაინპარტისა და ბერლინის ანსამბლის თვატრების, გაიმარის ეროვნული თვატრის, დრეზდენის, პოტსდამის და სხვა ქალაქებში აღდგენილი თვატრების, ასევე ბერლინის ახალი ტიპის — ახალგაზრდობის თვატრის („შეგობრობა“) და სხვათა შემოქმედებითი მუშაობის წარმართველად. ის ფაქტი, რომ 1949 წელს თვატრალურ ხელოვნებაში ნაციონალური პრემიები დაწესდა, უკვე ძალიან ბევრს ლაპარაკობს იმის შესახებ თუ რა დიდი გულისყურით გვიდებან თვატრს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელები. ახლახანს გახ. „კომუნისტის“ მეთხველები გაეცნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის — ჰორსტ ბრამის წერილს (16 ნოემბერი, 1957 წელი), რომელშიც გარკვევითაა

„სასკალოს
მუს.
წინდა იონა“
ტიტპულკოვი
დარკოლინი



აღნიშნული, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში სულ უფრო მეტად დაწინაურდნენ სხვადასხვა საოპორი დრამატული კოლექტივები: ბერლინის გერმანული თეატრი და ვაიმარის თეატრები, რომელთაგან თითოეულს თავისი შემოქმედებითი სახე ჰქვს, მაგრამ ყველას აერთიანებს მისწრაფება სოციალისტური ხელოვნების განვითარებისადმი, რაც შეესაბამება მშრომელთა მზარდ მოთხოვნებს... შეიქმნა ბევრი ახალი ტრადიცია. თითქმის ათი წლის განმავლობაში აწყობა ფესტივალები, რომელთა დროს თავიანთ საუკეთესო ნამუშევრებს გვიჩვენებს პროფესიული და თვითომკმედი ხელოვნება რესპუბლიკას ყველა კუთხიდან... წელს განსაკუთრებული სიხარული მოგვანიჭა იმან, რომ ჰენდელის საზოგადოების გამგეობის წევრად ავირჩიეთ ცნობილი ქართველი მუსიკისმცოდნე.

ყოველივე ეს შესანიშნავად მტკიცეობს, როგორც ხალხთა მეგობრობის განმტკიცების, ასევე ეროვნული კულტურის აყვავებაზე.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განსაკუთრებით ძლიერ უყვართ ბერტოლტ ბრეტკი. თითქმის აცრეტი თეატრი არ დარჩენილა, რომ ბრეტკის პიესა არ დაედგას. ბერლინის ანსამბლი ხომ ძირითადად ამ შესანიშნავი დრამატურგის ნაწარმოებთა ინტერპრეტაციაზე მუშაობს. უნდა ითქვას, რომ ბრეტკი პოპულარობით სარგებლობს დასავლეთ გერმანიაშიც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მას სრულიად სხვა, არასწორი ინტერპრეტაციით წარმოადგენენ ხოლმე. გაუგებარი რჩება ბრეტკისეული რეალიზმი. თვითონ დრამატურგი ამბობდა: „სიმათლემ შეძილება მრავალი საშუალებით მიჩქმალვის და მრავალი საშუალებით აისახოს“. ხშირად ასეც ხდება: რეალიზმის ბრეტკისეული გაგება მთლურად ახიბრებულ, მშრალ ინტელექტუალობას დაქვემდებარებულ უკიდურეს პირობათობადად მიჩნიათ. მაგალითად: ბრეტკის „შიში და სილატაკე მესამე იმპერიაში“ ხშირად იდგმება როგორც დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ასევე ფედერაციულშიც და ამ ორი სამყაროს დადგმებში თითქმის ყოველთვის აუკლებელია, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდეს ორი სხვადასხვა ინტერპრეტაციაც. დემოკრატიულ რესპუბლიკაში დრუხდენის სახელმწიფო თეატრს კაპრულ სცენაზე მას წარმატებით უჩვენებენ 1958 წლიდან. დაიდა იგი დასავლეთშიც — ბრემენში, მიუნხენში, ბრანსუე-ოფში და სხვაგან. გასაგებია, რომ ამ ანტიკომისტურ ნაწარმოებს სრულყოფით ვერ განასახიერებდნენ იქ, სადაც კვლავ ცოცხლობს ფაშისტური იდეები, მაგრამ საკმე ისაა, რომ მაინცდება მხატვრული სიმართლეც. როცა დრუხდენის გამერულ სცენაზე მხატვრმა ვერნერ ცინზურმა მიმართა მხატვრული გაფორმების უკიდურეს პირობითობას და მუქ ფონზე დადგმული ჩარხო კარებად წარმოადგინა, ხოლო გალბერ-შტადლიმ სასარლო თეატრის სცენაზე (1957) მხატვრულად ედმუდ ბრანდერმა გამოიყენა ორიგინალური „ფრანგმეტისტლური“ გაფორმება და შირმითა და თოვზე ჩამოკიდული ჩარხოთი ოთახის ინტერიერი შექმნა, ბრეტკის რეალიზმს მიივს არ დაუკარგავს არაფერი, რადგან ამ დადგმებში წინა პლანზე იდგა მოქმედების სიმათლემ, მხატვრულ-იდუერი სიმახილემ, დასავლეთმა კი უმეტესად თავისი დეკადენტური მიმართუ-

ლებს შესატყვისად გამოიყენა თვითონ ბრეტკის ორიგინალური სტილი და სიბუბუქ, მოდერნისტულ სანახაობს შესწირა სოციალური სიმახილემც. ახლა, როცა ბრეტკი ცოცხალი აღარაა, ეს არც თუ ისე გასაკვირია, რადგან ამგვარ დამახინჯებებს ადვილი ჰქონდა მამინაც, როცა ავტრი თავისივე სიცოცხლეში ამათ აცხადებდა პროტესტს მისი ზოგიერთ პიესის ყალბად გაგების წინააღმდეგ. იქ მას ვერ გაუგეს ვარსუც-გული ატკინა დრამატურგს თავისი ცნობილი „სამგროზიანი ოპერის“ საფუძველზე, დასავლეთის მიერ 1931 წელს შექმნილმა ფილმმა, რომელშიც მსუბუქ სანახაობას შეეწირა სიმათლემ.

როგორც აღვნიშნეთ „ბერლინის ანსამბლს“ დიდი ტრადიცია გააჩნია ბრეტკის დრამატურგის ათვისებისა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მისი პიესები აქ ყოველთვის ერთფეროვანი სტილით იდგმება. თვითეული პიესა თავისებურადაა წარმოდგენილი. ისინი იმდენად არ ჰგავანან ერთმანეთს, რომ ერთი შეხედვით არც კი გვეგონებათ თუ ისინი ერთი და იგივე დრამატურგის ნაწარმოებთა საფუძველზეა შექმნილი და მარცხ შენარჩუნებულია ბრეტკის ცნობილი დევიზი: „სიმათლემ შეძილება მრავალი საშუალებით აისახოს“. მთლიანობაში ეს მინც ბრეტკია. თვითონ დრამატურგმა 1957 წელს დატოვა თავისი პიესის („გალოლის ცხოვრება“) უკანასკნელი ორიგინალური დადგმა ბერლინის ანსამბლში. მართალია, მისი დამთავრება ვერ მოასწრო და იგი მისმა მეგობარმა, რეჟისორმა ერხი ენგელმა დაასრულა, მაგრამ ეს სუბექტიური არა მარტო დემოკრატიული რესპუბლიკის თეატრის ისტორიაში, არამედ მსოფლიოში აღიარებულ საუკეთესო ბრეტკისეულ ნაწარმოებად დარჩა. როგორც თავისი პიესის მეორე ვარიანტი,

ბრექტი ამ დღემდეც გალილეის ბედს უკავშირებს თანამედროვე ატომისტ-ფიზიკოსების დალატს კაცობრიობის წინაშე. იგი წერდა: „ატომური ყუმბარა, როგორც ტექნიკური და საზოგადოებრივი მოვლენა საბოლოო შედეგია გალილეის მეცნიერული მიღწევებისა და საზოგადოებრივი უსაფუძვლობისა“. და, აი, 1965 წელს ბერლინის ანსამბლმა სრულიად სხვა პიესის განხორციელებაში პირველად შეინარჩუნა ბრექტის „გალილეის ცხოვრების“ დადგმის სტილი, რამაც სამაგიეროდ სწორედ ამ მსგავსებაში ჰმოვა თავისი ორიგინალური გამოხატულება. მწერალ კიხარტის ინსცენირების საფუძველზე დაიდგა „ოპენგეიმერის საქმე“ (რეჟისორები მ. ვევერტი და ი. ტენენტი). „გალილეის“ დადგმის სტილის გაგრძელებით თითქოს ერთგვარად ვაფართოვდა ჩარჩო თვითონ გალილეის ცხოვრებისაც. ცნობილია თუ რა დიდი გამოხმანუება აქვს მსოფლიო თეატრებში ატომური ბომბის მამის — რობერტ ოპენგეიმერის ისტორიას, ოპენგეიმერისა, რომელიც გალილეის შემდეგ სამი საუკუნის დაცვალებით საბრალდებლო სკამზე დასვეს იმის გამო, რომ თურმე კომუნიზმს თანაუგრძნობდა. სპექტაკლში ოპენგეიმერის პროცესი მის ისტორიულ განვითარებაში იქნა ნაჩვენები, ამავე დროს კრიტიკა იმასაც აღნიშნავს, რომ თუ ბრექტი თავის „გალილეის ცხოვრებაში“ იძლევა მთელ სამყაროს, კიხარტმა და დამდგმელებმაც „ოპენგეიმერი“ შემოფარგლეს მხოლოდ იმ დოკუმენტური მასალებით, რაც თვითონ პროცესს ელო საფუძვლად და მიუხედავად იმისა,

რომ საერთოდ დადგმა კარგი გამოვიდა, მას მაინც არ გააჩნია „გალილეის“ ფართო ქვერადობა.

როგორც აღნიშნეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თეატრები უნაზღვრებს იპრომენ თავისი მრავალფეროვანი რეპერტუარი. მათ არ აზინებთ განუწყვეტელი ექსპერიმენტები, არც დრამატურგიაში და არც ცალკეულ დადგმებში, წარმოადგენენ, თეატრალური პროგრამების მსატრულთა გაფორმებაშიც კი, სადაც ყოველთვისაა ცდა იმისა, რომ ორიგინალური ხერხებით მყვრებულს წინასწარი განწყობილება შეექმნას პიესისა და დადგმის შესახებ, სულერთია ეს ოკეისის „აღლისფერი მტვერი“ იქნება (მხატვარი ანდრეას რანინარტი) თუ გოგონის „ქორწინება“ (ბერლინის ანსამბლში), ხოხუტის „მეფისანაცვალი“ (გერმანული თეატრი) თუ პეტერ ვაისის „მარატა“ (როსტოვის თეატრში), ა. ოსტროვსკის „როგორ კვიდება კარიერა“ („ყოველ ბრძენს თავისი უბრალოება აქვს“, ბერლინის გერმანული თეატრი) თუ ბ. ბრექტის „სასაბალოს მუშა წმინდა იოანე“ (დრეზდენში) და სხვ.

სპექტაკლების უშუალო ნახვისა და განცდის გარეშე მძლეა სრული წარმოდგენა იქონიის ადამიანმა თეატრზე, მაგრამ არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა არც თეატრის ისტორიას, არც დრამატურგიას და არც თეატრის შესახებ გამოქვეყნებულ პერიოდულ მასალას, რომ ზოგადი წარმოდგენის შექმნა არ შეძლოთ ამა თუ იმ ქვეყნის თეატრალურ ხელოვნებაზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თეატრს კი უკვე გააჩნია თავისი სახელოვანი ისტორია. იგი სულ უფრო მდიდრდება ახალ-ახალი ტრადიციებითაც: რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის პროფესიული და თვითმოქმედი თეატრალური ხელოვნების ფესტივალები, შექპირის დღეები ვაიმარში, ბალტიის ზღვის კვირეული როსტოკში, ბაისის სსოვნის დღეები და ბაისის სახელობის კონკურსი ლაიფციგში, ქენდელის ფესტივალები ჰალეში, კულტურის სამინისტროსა და სახალხო განათლების სამინისტროს შორის დადებული შეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ხელოვნების სწავლების ახალი გზების შესახებ და სხვ.. საუკეთესო ფაქტური დადასტურებაა როგორც თეატრის, ასევე საერთოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის აყვავებისა, მილიონობით ადამიანის სულიერი სიმდიდრისაგან სწრაფვისა. როგორც ვალტერ ულბრიხტმა აღნიშნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობაზე, კულტურა სულ უფრო დიდ როლს შეასრულებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის გრძნობებში, აზრებსა და მოქმედებაში. ამიტომ საერთოლივი ვადისათვის გათვალისწინებული გეგმის მიზანი ის არის, რომ შედინერებისა და ტექნიკის მაღალი დონის შესაბამისად გამრავლდეს აგრეთვე სულიერი ფასეულობა და ამადლდეს ადამიანის მორალური ღირსება.

სრული საფუძველი არსებობს იმისა, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებულად ჩაითვალოს დიდი პოეტის — პაინრიხ კაინეს მიერ წინასწარმეტყველურად ნათქვამი:

„ვეშნას მოკლე, შენ დაგვრება
მისი ქება, განათო საუცხ
ვაშა! როგორ დაშვენილება
ოქონის ყელა მაშინ თავზე!“



ბერტოლტ
ბრექტი
სამოქროშაინი
ოპერა-
ხეივანების
თეატრი
1957 წ.



კადრი ფილმთან „პროფესორი მამლოც“



გეგრიკოლი და გოაზროვნე ქონო

ოთარ სეფიაშვილი



ხლა გერმანულ პრესაში არცთუ იშვიათად შეხვდებით გამოქვეყნებას — „ნული წელიწადი“. ასე აღნიშნავენ ხოლმე 1945-ს. ეს გამოქვეყნება ერთგვარად სიმბოლურია. მასში გაშლავებულია ის ტიპიკურობები, როცა ხალხი ურას ამბობს თავის გარკვეულ წარსულზე, და ის შემარბილებელია, როცა ხალხი ბრძოლას იწყებს თავის ახალი ისტორიისათვის. თანამედროვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოხელოვნება ამ ბრძოლის ერთ-ერთი გულანთებული გამოხმაურებაა და აქტიური მონაწილეა.

ესადა, ერთ ზვიერე საუბრნალო წერილში დღევანდელ გერმანულ კინოზე ამოწმურავად დასაბუთო შედრდებელია. ძლიერ რთულია ის პრბილებები და შეგად მრავალფეროვანია ის თემატიკა, რომლებსაც იგი მოიცავს, ხოლო ბრძოლის ფორტი დაკვირვება წარსულის მიმე გადმონათობის დაძლიედან — ადამიანთა წყნებაში ახლის დამკვიდრებად.

რა არის დასაფარი — ბერს ჭერაც არ გამოიღებია ის შხამი, რომლითაც მესამე რაიხი მასობრივად წაშლავდა ადამიანის სულსა და გონებას, ასახირებდა და დანაშაულისაკენ წარმართავდა მას. ძნელად ამოსაძრკვე ვეარძლი დატოვებს ურავ რიფენშტალის „ნებისყოფის ტროუმის“ მსგავსსა და ფაშისმის აპოლოგეტმა სხვა ფილმებმა, რომლებსაც ჰიტლერისმის სერიოზული უხვად უშვებდა გერმანული გენშტაბისა და მეგზავ ქრესის კვლავ აღორძინებული ეს კინოოცენრნი და მილტარისტული რეჟისორისტული სკოლისკვეთების — „ექლში ტელინგრადიდან“, „ემპეი უერას ზალადაკა ზე“, „მავთელმტარები და კარგი ამხანაგები“ და სხვა მსგავსი ფილმებით ცდილობს ნაციტური წარსულის ავტედიოი არჩიდელების გამოწვევას, ახალგაზრდობის სულის გახრწანას.

ამდენად ვასაგები ზდება შოლიანად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოხელოვნების, კვლავ პატოსანი გერმანული კინომხატვრის უპირველესი მისწრაფება — ახილის ფაშისმის სისხლიანი, ანტიუმანისტური ბუნება, გამომეფავნოს მისი ძირები, ახლა ასეთი ანტიუმანისტური ფილმების უზრალო ჩამოთვლაც კი ძლიერ შორს წავიგევანდა, და თუ ზოგიერთის გასცნებას მაინც ვერ ავადებთ, პირველ რიგში ისეც დავასახელებთ ამ რამდენიმე წლის წინათ „პროფესორი მამლოც“.

1910 წლის შემოდგომაზე დაკრძალეს სახელგანთქმული რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი. მეფის მთავრობა ფარულად ცდილობდა პოპულარული მწერლის დაკრძალვა ნაკლები ხმაურით ჩატარებულიყო, არ დაეშვა ხალხი, განსაკუთრებით სტუდენტობა... მშებმა ჯაფარიძეებმა თავიანი მხრებით ზიდეს დიდი მწერლის კუბო, მოწინავე სტუდენტობასთან ერთად, რკინიგზის სადგურიდან სოფელ იასნაია პოლიანამდე; როგორც პროცესის მონაწილეები, ისინი გადაღებულინი არიან კინოფურნალში „ლევ ტოლსტოის დაკრძალვა“, რომელიც დღეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის იშვიათი კინოლოკუმენტია.

მშები ჯაფარიძეები მანამდეც არა ერთხელ მენახა რაჭაში, როგორც სცენისმოყვარენი, ხან ონში სახელდახელოდ აგებული სცენის ფიცარნაგებზე, ხან წესში და ხან ამბროლაურში... მეტად მახარებდა მათი ახალგაზრდული შემართება სოფლის კულტურული ცხოვრების იმ დროს საკმაოდ რთულ და ძნელ სარბიულზე. და როცა ისინი მოსოკოვი ვნახე, უფრო დავეახლოვდი, ალბათ იმიტომაც, რომ მშებს დიდი ღვთაება ჰქონდათ სასივითი ხელოვნებისადმი (მთუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში სწავლობდნენ), კარგად ხატავდნენ და ხშირად ნახავდით ხოლმე სახმატროს სასწავლებლის სტუდენტთა წევრები; ერთხანს ფიქრობდნენ კიდევ ჩვენს სასწავლებელში გადმოსვლას, მაგრამ უნივერსიტეტის სიყვარული, მისი დიდი ავტორიტეტი ვერ დათმეს. ეს შეიძლება იმიტაც აიხსნას, რომ იხანად გატაცებული იყვნენ ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციით რუსეთის ფართო საზოგადოებაში და ჩვენი კლასიკოსების პიროვნულ ნაწარმოებებს თარგმნიდნენ¹. მართალია, მშებმა ჯაფარიძეებმა ამით ძალზე დიდი ერთვული საქმე გააკეთეს, მაგრამ სახვითი ხელოვნების გზას

იგი ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც მხატვრობასა და სამხატვრო განათლებაზე ჩვენში ლაპარაკიც არ იყო. მაშინ ამ დარგში ორიოდე შემოქმედი თუ მოგვეძეოდა.

მით უფრო დასაფასებელია მათი მოღვაწეობა დღეს, როდესაც ადამიანის ყოველი დამსახურება და დავალი მადლიერი ხალხის გულსა სწვდება და იქ დრმად ინახება.

მშები ჯავარძიძეები! — ასე მოიხსენიებდნენ მათ, მოსოკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს — გრიგოლ და ვლადიმერ ჯაფარიძეებს; ტყუებები ისე ჰგვანდნენ ერთმანეთს, რომ საერთო გაკვირვება იწვევდნენ, რის გამოც მათზე მახვილი და საინტერესო ანეკდოტებიც კი დადიოდა. პოპულარულნი იყვნენ და საერთო სიმპათიითაც სარგებლობდნენ, რამეც მეტად უწყობდათ ხელს მომ-

ხილავი ქართული გარეგნობა, ბუნებრივი თავაზიანობა და მოკრძალები.

რეაქციის წლები იდგა — 1906... იმხანად მოსოკოვი ვსწავლობდი სამხატვრო სასწავლებელში, ალექსანდრე ციმაკურიძისთან ერთად; ხშირი სტუმრები ვიყავით ჯაფარიძეების, რადგან მათთან ვხვდებოდით ხოლმე საქართველოს ბედის ირგვლივ მოდევნე და მოპაექრე ახალგაზრდობას, ინტერესით ვუსმენდით მათს დაუსრულებელ კამათს და მსჯელობას ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

ჯაფარიძეების ბინა მოსოკოვი ამ მხრივ მოწინავე ქართველი სტუდენტების ნამდვილი შტაბი იყო. და არც გასაკვირია, რადგან ისინი ფართო დიპლომატიის ახალგაზრდები იყვნენ, სტუდენტურ „ზემილიაჩესტვის“ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებ-



შოთა რუსთაველი



იმედიანი

კომუნის

კომუნის...
საქართველო...
საქართველო...
საქართველო...

საქართველო...
საქართველო...
საქართველო...

დიმიტრი არაუშვილი

ამის გამო ისინი კიდევ უფრო დაშორდნენ.
სხვათა შორის, ძმებმა იმხანად მაინც შეკამნეს მეტად სიმპათიური პორტრეტი იმ დროს მოსკოვში მცხოვრები ჩვე-


ნი სახელოვანი კომპოზიტორის დ. არაუშვილისა. ეს პორტრეტი შემდეგში ერთ-ერთ ქართულ ჟურნალში დაიბეჭდა² და ქართველი საზოგადოების გულთბილი გამოხმებაურება პპოვა.

გრიგოლ და ვლადიმერ ჯაფარიძეებს დამსახურებულად და დამაჯერებლად გაუთქვა სახელი ქართულ საზოგადოებაში „შოთა რუსთაველის პორტრეტმა“. გენიალური პოეტის სახე მათ წარმო-

ილია ზავთაიძე



ივანე მანაბილი





ალექსანდრე ყახიძე



გვიდგინეს ავთანდილისებრი ჭაბუკის მსგავსად, სრულიად ახალი ინტერპრეტაციით. ეს პორტრეტი ხშირად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და პოპულარობა მოიხვეჭა¹. ეს იყო პირველი ცდა რუსთაველის სახის არა ტრადიციულად, არამედ სხვა ასპექტში, სხვა ასაკში წარმოსახვისა. ავტორებმა ამოცანა, უნდა ითქვას, ორიგინალურად და საინტერესოდ გადაწყვიტეს.

ასანინშანავა, რომ მძებრი ჯაფარიძეები მუდამ ერთად მუშაობდნენ, ერთად თარგმნიდნენ და ერთად ხატავდნენ კიდევ, რაც იმ დროისათვის შეტად უჩვეულო იყო, დღეს კი ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს გარემოება არ დარჩა შეუმჩნეველი მაინდელ ქართულ პრესას. გაზეთში „ცნობის ფურცლმა“ მათზე მეტად მოსწონებული მეგობრული შარჯი დაბეჭდა წარწერით: „ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღვრიან“.

შეჩვენებო ორივე ძმამ პროფესიად მასწავლებლობა აირჩია. მათ არა ერთი თაობა გამოსარდეს საქართველოს საშალო თუ უმაღლეს სკოლებში მოღვაწეობისას. მათივე დამსახურება იხივ, რომ სახვითი ხელოვნებისადმი დიდი სიყვარული ჩაუწერეს თავის ნიჭიერ უმცროს ძმასაც დღეს სსრ კავშირის სახალხო მხატვარს უჩა ჯაფარიძეს, თავიანთ შვილებს და ბევრ სხვას.

ძმები ჯაფარიძეების მხატვრობის ძირითადი თემა ჩვენი დიდი ერთგული მოღვაწეების პორტრეტები. შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი ვაჟა, ყაზბეგი, ი. გოგებაშვილი, ი. მანაბელი, ნიკო ლომოური... აი, ის არასრული სია ჩვენი დიდი მწერლებისა, რომლებიც ჯაფარიძეებისეული პორტრეტები დღესაც ამშვენებს საქართველოს სახ. ლიტერატურის მუზეუმისა თუ საკურამოს ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმის კედლებს.

პოპულარობა ხვდა დიდი მწერლის და მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის პორტრეტსაც. ეს ნამუშევარი მოთავსებული იყო გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ იმ ნომერში, რომელიც დიდი მწერლის დაბადების მეფაც წლისთავს

მიეძღვნა. აგრეთვე გაზეთ „საბჭოთა საქართველო“ იმავე 1937 წლის მაისის ნომერში. ეს პორტრეტიც, ისევე როგორც მრავალი სხვა, ექსპრესიითა და ორიგინალური გადაწყვეტით ხასიათდება და ავტორთა ერთ-ერთ საყურადღებო ნამუშევრად შეიძლება ჩაითვალოს.

კარგა დიდი მეოხნის აკაკის პორტრეტიც (პროფილი), რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდეა შესრულებული და შთაგონებულია დიდი პოეტის მოეზარობით რაკა-ლეჩხუმში 1912 წელს. არაერთგზის დაინტერესებულან გრიგოლი და ვლადიმერი ალ. ყაზბეგის მადლიანი სახის დახატვით. ერთ-ერთი მათი ნამუშევარი (1948) ექსპონირებულია ილია ჭავჭავაძის სახელობის საკურამოს მუზეუმში.

მხატვრობის მოყვარულ ძმებს წიგნის გრაფიკაშიც უცდიათ თავი. საინტერესოა ერთ დროს საკმაოდ გახმაურებული ჟურნალის „ციცხური ყაწყაწის“ გარეკანის მხატვრული გაფორმება.

გრიგოლი და ვლადიმერი ჯაფარიძეებმა თავისი ლამაზი, ლირიკული ხასიათის შემოქმედებით არა ერთი ქართველი მკითხველის გული გაათბეს ესთეტიკური სიამოვნებით ამ უკანასკნელი ექვსი ათწლეული წლის მანძილზე.

ათ წელზე მეტა, რაც გრიგოლი გვერდით ადარ უღვას თანმშრდილ ძმას. ვლადიმერს დაბეს უემისოდ უხდება შეხვედრა მათი დაბადების ერთ-მოცი წლის თავისა, რომელიც ერთად უნდა აღენიშნათ.

ძმებმა ჯაფარიძეებმა — გრიგოლმა და ვლადიმერმა საკუთარი სიტყვა თქვეს ქართულ სახვით ხელოვნებაში, დაეარც ისე მაღალი და მჭკაერ, მაგრამ უთუოდ ლამაზი და საინტერესო.

¹ გრ. და ვლ. ჯაფარიძეებმა თარგმნეს ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, აკაკის „ამბო-აჟუკი“, ა. ყაზბეგის რამდენიმე პატარა მოთხრობა და სხვა, რომელიც ცალკე წიგნებად იქნა ფართოდ გავრცელებული მოსკოვის გამომცემლობა „პოლხას“ მიერ.

² იხ. ვახ. „საქართველოს“ სტრატეგიაში დამატ. № 29, 1916 წლის 29, 31; იხ. ვახ. „თქმობი“ № 119, 15, 17, 1913, ვერ. „ოქტობის ვერობი“ № 1 ქთუ. 1913 წ. მაისი. „Заря востока“. 2. X. 66. გვ. 4 და სხვ.



სიძლარი

ქვეყნი

გზებზე

თინათინ აბულაძე



ავშობიდან ვატაცებით მღეროდა... ოცნებობდა მომღერლის კარიერაზე... იშვიათი მუსიკალობა, ლამაზი ტემბრის ხმა შემეფიქრებოდათ დედისაგან მიიღო. სიმღერისადმი უსაზღვრო სიყვარული, მაღალი გემოვნება პოლიკარპე ფალიაშვილმა ჩაუნერგა.

ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას ლილი გეგელიას სიმღერა ყველას ხიბლავდა, უნივერსიტეტში შემოქმედებით სადამოუბნე დიდი წარმატებით გამოდიოდა, თავყანისმცემელთა რიცხვი

დღითიდღე მრავლდებოდა... მაღალი პასუხისმგებლობის გრძობა, მოკრძალება და დიდი მომთხვეწელობა შემოქმედებითი ზრდის საწინდარი იყო, მაგრამ ამავე თვისების გამო დიდი აუდიტორიის წინაშე წარდგომას ვერ ბუღავდა. თუმცა მისი ნიჭის თავყანისმცემელნი დატინებით მოითხოვდნენ მის გამოსვლას ესტრადაზე.

ლილი გეგელიას დებიუტი რადიოკომიტეტში შედგა. მაღლიერებით ისვენებს მომღერალი ანტონ კეღეუჯერიძისა (რადიოკომიტეტის ყოფილი თავმჯდომე-

მარე) და აკაკი ძიძიურის (მუსიკალური რედაქციის მამინდელი უფროსი) გულისხმიერებას. სწორედ მათი ინიციატივით ფირზე ჩაიწერა სიმღერები ლილი გეგელიას შესრულებით, ეთერში გაისმა მისი ფაქიზი, დახვეწილი და წრფელი სიმღერა... რადიოსმენელები აღტაცებული წერილებით გამოეხმაურნენ ახალი საესტრადო მომღერლის პირველ გამოცდას.

დაუვიწყარია ეს დღე ლილისათვის, მისთვის იწყებოდა ახალი ცხოვრება, საიდუმლოებით იყო მოცული საესტრადო კარიერის პერსპექტივები. დაიწყო ძიების, შემოქმედებითი სრულყოფისა და აღიარების ნაყოფიერი წლები. იგი დაუკავშირდა ჭარბული ესტრადის ბედ-იღბალს, რომლის მატიაწეში ლილი გეგელიას შემოქმედებით ახალი ფურცელი ჩაიწერა.

1956 წელს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ინიციატივით ჩამოყალიბდა საესტრადო ორკესტრი „რეო“. ლ. გეგელია სოლისტად მიიწვიეს.

ახლაც ბევრს ასოსვს ამ შემოქმედებითი კოლექტივის პრემიერა, განსაკუთრებული მოწონება, მხურვალე ოვაკიებით. ლ. გეგელიას ხედა, ალბათ მისმა ხელუფლებამ შთააგონა კომპოზიტორი ლილი იაშვილი, რომლის წარმატები სიმღერა „ია, ია“ მომღერლის მდიდარ მუსიკალურ სამყაროს ისე ორგანულად შეერწყა, რომ დღეს წარმოუდგენელია ეს სიმღერა სხვისი შესრულებით, სხვა



ლ. გვეგელა ჩეხოსლოვაკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ზდენეკ ნეველისთან

ვერავინ იმღერებს მას ასეთი ოსტატობით, დახვეწილი ლირიზმით, კლამპოსილებით. ბუნებრივია, რომ სიმღერა „ია, ია“ ლ. გვეგელას შემოქმედების განუყოფელი თანამგზავანია, მისი ფაქიზი განცდის მესაიდუმლოება.

სიმღერის სამყაროში ღრმა წვდომა, სიტყვისა და მუსიკალური ინტონაციის გააზრებული ადრეობა, ღრმა განცდა და აქტიორული ტაქტი ლ. გვეგელას შემოქმედების ტიპიური თვისებებია.

1959 წ. მოსკოვის თეატრების მუშაკთა სახლში ქართული ესტრადის კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო. აქვე იყვნენ საბჭოთა ვოკალური ხელოვნების ცნობილი ოსტატები — ბარსოვა, უტიოსოვი, კოსლოვისი და სხვები. დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ოვაკონებით გამოხატა თავისი აღტაცება, კოსლოვისი კი შემდეგი სიტყვებით გამოსთქვა თავისი შთაბეჭდილება: „ქრემლები მომადავა, თქვენმა სიმღერამ უსაზღვრად ამაღლეს“.

ფართო და მრავალფეროვანია ლ. გვეგელას სამეორეულებო რეპერტუარი. ქართული, რუსული და დასავლეთ ევროპის საესტრადო სიმღერებს ლ. გვეგელა მუდამ მაღალი გემოვნებით, დახვეწილი არტისტული მანერით, ტემპარიტო შემართებით და ინდივიდუალური მიდგომით ასრულებს. ვიციკური სიმღერებ, ფერადვანი ქვარადობა, სინატიფე და, რაც მთავარია, უსაზღვრო მუსიკალობა განსაკუთრებულ ცხოველმყოფელობას ანიჭებს თვითვე

სიმღერას. ვისაც ერთხელ მაინც მოუხმენია ლ. გვეგელასთვის, მის სიმღერას ვერასოდეს დაივიწყებს. ასეთი სიმღერა მხოლოდ ღამაზე გულისა და ღრმა განცდის ადამიანს შეუძლია. ნამდვილ სიყვარულს, მშვენიერებას, სიცივლას და ერთგულებას იგი გატაცებით უმღერის. ამიტომ მოიპოვ. ლ. გვეგელამ ხალხის სიყვარული, ამიტომ მოიპოვა ასეთი პოპულარობა. ლ. გვეგელას ნიჭის აღიარებას მოწმობს მრავალრიცხოვანი სიგალები, ჯილდოები, საქართველის დამსახურებული არტისტის წოდება.

მრავალრიცხოვანი რეცენზიები ერთნმად აღიარებენ მომღერლის ოსტატობას: „ლ. გვეგელა არის საბჭოთა ესტრადის ერთ-ერთი ძლიერი მომღერალი“, „ყველაზე ძვირფასი იყო წუთები, როდესაც ლ. გვეგელა მღეროდა“ და სხვ.

დღეს ლ. გვეგელას იცნობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, მას ტაშს უკრავდნენ პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ინგლისში, შოტლანდიაში, პოლანდიაში, გერმანიაში და სხვ.

პოლონელი მაყურებელი ალტაცებამი მოიყვანა ლ. გვეგელას ოსტატობამ. ეურნალი „პოიაზნ“ წერდა: „დაუსრულებლად ისმობა ლ. გვეგელას შესრულებით ქართულ კომპოზიტორთა სიმღერები და რომანსები, იგი გასაოცარი მგრანდიორობით, ოსტატობით და გატაცებით მღეროდა. 3000 მაყურებელი

დაკინებით იხმობდა მას სცენაზე. მსმენელი დატყვევდა ლილი გვეგელას შესრულებით სიმღერამ „წაბლის ხეები“ და განსაკუთრებით რ. ლაღიძის სიმღერამ „თილისხუ“, რომელსაც იგი ვოკალურ ანსამბლთან „შვიდკაცასთან“ ერთად ასრულებდა“.

არა ნაკლები წარმატება ხვდა მომღერალს ინგლისსა და შოტლანდიაში. გასტროლები ქალაქ შეფილდში დაიწყო. აი რას გვიამბობს მომღერალი:

„კონცერტები თეატრ „ოდეონში“ უნდა გაგვემართა. გაგვაფრთხილეს — ინგლისელი მაყურებელი ცოტა ცივია, თუ დიდ ოვაციებს არ გამართავენ ნუ შესწუხვდებითო. მაგრამ თუკი ინგლისელებს რაიმე ძალიან მოსწონთ, მათში თავის შთაბეჭდილებას სტვენით, ხმაურით, ყვირილით გამოხატავენო, უჩვეულოდ გვეჩვენა მოწონების ამგვარი გამოხატულება, მაგრამ სასიამოვნო იყო, როდესაც თვითველ ჩვენგანს მოწონების შემხილებით აცილებდნენ. მეორედღს შეფილდის მცხოვრებლებმა გულთბილი შეხვედრა მოგიწვეს, სამახსოვრო საჩუქრები მოგართვეს და ქართული სიმღერების ნოტები გვთხოვეს“.

ლონდონის გაზეთები ასეთივე აღტაცებით გამოხმობდნენ ლ. გვეგელას გასტროლებს. გაზეთი „სტენჩინ“ წერდა: „საქართველოს მომღერალი ლ. გვეგელა ისეთი გულითადადობით მღეროდა მშობლიურ სიმღერებს, რომ მის რბილ ხმას, ხაერდოვანის განცდა ვერაფრის ვეწოდებთ“. ხოლო გაზეთი „დეილი უორკერი“ აღნიშნავდა: „გამოვიდა ულამაზესი მომღერალი საქართველოდან, იგი აჯადოებდა შეხმენს“. მშვენიერ ენდებურები გაზეთი „იენინგ დისპეჩერი“ ასე გამოხმობდა ლ. გვეგელას კონცერტებს: „ულამაზესი საქართველოდან ჩამოვიდა მათვალა ქალი, იგი სასუვეთოსო იყო იმ არაჩვეულებრივ პირობაში“. გლაზგოში ასე შეფასეს ლ. გვეგელას ხელოვნება: „ქართული ქალი ლ. გვეგელა ბრწყინვალე მომღერალია“.

ქალაქ ნიუკასლში სასტუმრო „იმპერიალში“ გაჩრდნენ. აი როგორ ითვინებს იმ დღეებს ლ. გვეგელა: „არასოდეს დამავიწყდება სასტუმროს პატრონი, მისი სიხვი, მან პირველად ცივად მივიღე, ჩვენთან საუბარს ერიდებოდა. კონცერტზე მივიწვიეთ. სასტუმროში რომ დაბრუნდით, სადარბაზოში შემოგვგვდა შოტლანდიური ცისი ხელში და აღფრთოვანებით მოგამართა: „შესანიშნავი იყო თქვენი კონცერტი“, მსჯავსი მან არასოდეს მინახავს, ყველაზე მომწონებ, მაგრამ ქართული სიმღერის ენში შეუდარებელი იყო“. მისთვის „სულიკო“ მემღერა,

მოხება შევესრულე, მოხუცი დიდად წამამოვინებინე და გვერდითაა.

განსაკუთრებით შეიყვარეს ლ. გველი ჩეხოსლოვაკიის მსმენელებმა, იგი ხელმძღვრედი მიიყვანეს გასტროლებზე, იგი თვის განმავლობაში ლ. გველია ქართული პანგებით ავადობდა ჩეხოსლოვაკიის მრავალი ქალაქის მცხოვრებლებს. იგი ირეი პროსპასკასა და სლოვაკების სავსტრადო ორკესტრთან ერთად გამოდიოდა.

„ვერნი პრალა“ წერდა: „ასეთი უნდა იყოს ესტრადი. სამბოთა ესტრადის მისიაა მაყურებელთა გემოვნებისა და კულტურის დასველა. იგი არ მიისწრაფვის მხოლოდ მსმენელთა გართობას. ანკარა, რომ ჩვენი ესტრადის სხვაგვარი მოთხოვნებს უყენებენ. ჩვენს წინაშე იყო საქართველოს ფოლკლორის სოციალისტი ლ. გველია. მისი შემოქმედება მაღალი ხელოვნების, დიდი აღაზიარების სიბრტყეზე და კეთილშობილების მაგალითია. მსმენელი დიდხანს იყვება მას ბისზე. ავადებულა მის მიერ შევსრულებულ ჩეხურმა და სლოვაკურმა სიმღერებმა“.

ამგვარი რეცენზიები მრავლად არის მიმობნეული სხვადასხვა ქვეყნის პრესის ფურცლებზე. ლილი გველია დღესაც ნიუბის თაყვანისმცემელთა აღტაცებულ წერილებს სხვადასხვა კუთხიდან, ისინი გულწრფელად გამოისქვამენ შთაბეჭდილებებს, მაღლობს უხილავს.

ლ. გველიასათვის განსაკუთრებით ძვირფასია ერთი ბარათი ჩეხოსლოვაკიიდან: „მოხუცდდი, სარეცელს მივაქვეული ავადმყოფი ვარ, მოგისმინეთ თქვენი ხელოვნობა. ძალზე მომიწონა თქვენი სიმღერა. ბედნიერად ჩავიგე თაყვანს, თუ კი ინებებ ჩემთან მობრძანებას — პირად და მუსონ თვენი გაცნობა, განთქმული ქართული სტუმართმოყვარეობით ვერ დაგივდებთ, მაგრამ შესევდების იმედი მაინც მაქვს“. ამ ბარათს ხელს აწერდა მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ზდენეკ ნედელი. ლ. გველია ეწეოდა პატრუნიანე მასპინძელს, გატაცებული უმღერდა ქართული სიმღერებით, ცრემლმორეული მასპინძელი ამბობდა:

„ქართულმა სიმღერებმა მომაჯადოვა, საიცარი ხალხი ხართ ქართველები, ამდენ სიბრტყე აფრქვეთ და მაინც სიბრტყე არ გაკლებთ, თქვენმა სიმღერამ განმეურნა, გამაახალგაზრდავა, სიცოცხლე მომაწვეურა“.

მეცნიერმა ჭეშმარიტი სიხუსტით განსაზღვრა ლ. გველიას შემოქმედების ცხოველმყოფელი ძალა.

ლ. გველიას ხშირად მიმართავენ შეიკითხები:

— რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი სიმღერა?
— რომელიც ჯერ არ მიმღერია... — პასუხობდა იგი.

მართლაც მრავალი ახალი სიმღერის შთაგონებულ შესრულებას მოუთმენლად ელიან ლ. გველიას თავყინი მცემლები.

საყოველთაო აღიარება, მსმენელთა სიყვარული, პოპულარობა თან ახლავს ლ. გველიას მუდამ ახალგაზრდა ხელოვნების, მისი სახით ქართულ ესტრადის ჭეშმარიტი მხატვარი, შთაგონებული ხელოვანი და დიდი ოსტატი ჰყავს.

იკაოკის უილაგის უსტივალი თბილისი

თბილისში პირველად მოეწყო იაონური ფილმების ფესტივალი. 14 დღეებზე კინოთეატრ „რუსთაველის“ ფსადი მართული იყო ახალი იაონური მხატვრული და დოკუმენტური ფილმების სარეკლამო დაფებით, აფიშებით. საღამოს კი, ფესტივალის გახსნას, კინოთეატრის ეკრანსაინა ბოგირანზე ავიდნენ სსრ კავშირში იაონის საელჩოს მინისტრი ბატონი კესეუე არტა, როზალი აუ კულტურულ ღონისძიებათა დაკავშირებით სპეციალურად ეწვია მუდღეობითი საქართველოს დელეაქაქს, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი არჩილ გიგოშვილი, საქართველოს თავმჯდომარე შველა საღარაძე, მისი მოადგილე ვიორკა ვიკალაშვილი, არქანდელის კინემატოგრაფისთა კავშირის თავმჯდომარე, სსრკ სახალხო არტისტთა სკოლის დირექტორი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ჭ. ვიკალაშვილმა დამწერელ წარუდგინა ბატონი კესეუე არტა, ზოლოდ შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოასთქვა შველა საღარაძემ: — ჩვენ მობარძული ვართ მრავალმხით საბჭოთა საქართველოს დელეაქს თბილისში იაონური ფილმების ფესტივალთან დაკავშირებით. — მობარძა სტუმარს შ. საღარაძეს — ჩვენს რესპუბლიკაში კარგად იცნობენ იაონური კინოხელოვნებას, ავანებენ და ხალხი იცნობენ იაონური კინემატოგრაფიის ნიჭიერ წარამოებებს, მისიკურ, რეგისა და ახლა კი — თბილისში ჩატარებულ იაონური ფილმების ფესტივალთა უფოთად ხელს შეუწყობს იაონიისა და საბჭოთა კავშირის ხალხების კულტურულ დასვენებათა უფოთიერეკულს კოლონიზობიურ საქმეს. დარწმუნებულა ვართ, რომ ჩვენი მუხრებელი ამერადი და რისეულად შეფასებს იაონური კინოს ახალ წარამოებებს.

საპასუხის სიტყვით გამოვიდა ბატონი კესეუე არტა. მან ბახვასით აღნიშნა მიმდინარე კინოფესტივალის, როგორც სსრ კავშირსა და იაონიას შორის კულტურული ურთიერთობის გაუმჯობესების ერთ-ერთი საშუალების მნიშვნელობა. შემდეგ მან სიამოვნებით განაცხადა, რომ ამჟამად მისი ქვეყნის ქალაქებში მიმდინარეობს საბჭოთა ფილმების ფესტივალი, რომლებზეც უჩვენებენ სსრ მხატვრულ კინოსურათს.

იაონური ფილმების ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ფერადი მხატვრული ფილმი „დაუნა“ (ლიჩნეგე), რომელიც ვიბილეთ იაონურ კინოს ცნობილ ვარსკვლავში მამიკო კოს, იოკო სუკასა, რეიკო დანი და იორიკო ხოსი. ფილმი, რომლის სცენარის ავტორია მქნო მაცუბა კინოფორმა „ტობო ეივა კაბუსიკი-კასიას“ სტალინმა დადგა მასში შემოიტომო. მკვე ეუთუნის მორე მხატვრული სურათის — „მამები და შვილები“ დადგამც, იორიკ სურათი შესანიშნავად გადაულა ოპერატორ ზორიკო ოკაძისი, ზოლო მესუკა ეუთუნის ცორორ უფინაურას, ფესტივალზე წარმოდგენილი მესამე მხატვრული ფილმის — „უხეიკი-გავა“ (მღინარე უხეიკი) — ავტორია სირიკო ზუკავა. — ზოლო დამგებელი რეჟისორია კესეუე კინოსტა, ოპერატორი — ზორიკო ეუსუვა. — ამით ვარდა კინოფესტივალზე წარმოდგენილი იყო ძალზე სირიკოტული დოკუმენტური ფერადი ფილმები: „თორიკო მქერა“ (ლიჩნეგე) და სირიკოტული კანან იქორაორტებლის წარამოები, „ბირანკეუ — იაონური თორებების თორებ“ (საქურა ეივასი კინოსტეული) და „იაონური სახალხო ხელოვნების ოსტატები“ (კინოფილმის კინოსტუდიის წარამოები).

თბილისელმა მაყურებელმა გულბოლად მიიღო იაონური კინოხელოვნების ახალი წარამოებები.

ჩეოქოუთიის პერიოდის საქმეაქლეი

ეთერ გუგუშვილი

1904 წლის ზაფხულში, პერმში ყოფინისს, მარჯანიშვილი კვლავ უბრუნდება „მეშინების“; როგორც ჩანს, ერთობ შეუყვარდა მას ეს პიესა, ერთობ ნათლად გრძნობდა მის თანამედროვე არომოსს.

სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია ამ სპექტაკლის რამდენადმე დაწვრილებით აღწერას. პრესის ძუნწი გამოძახებით, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ მარჯანიშვილის ეს ნამუშევარი გამოირჩეოდა გაასრების სიღრმით და გულმოდგინე დამუშავებით. მაგრამ, ირკუტსკელი რეცენზენტისაგან განსხვავებით, პერმის გაზეთის რეცენზენტი გორკის პიესაში ხაზს უსვამდა „მამებსა“ და „შვილებს“ შორის გაშლილ კონფლიქტს, ფიქრობდა, რომ ამ კონფლიქტის საფუძველზე „სხვადა დიდი შტაკებანი, თითქმის ხელჩართული ჩხუბი და მთელი სახლი თავდაყირა დგე-

გაგრძელება, დასაწყისი იხ. № 11.

ბა“¹⁸. მ. გორკის პიესაში რეცენზენტის მიერ განსაზღვრული კონფლიქტი, როგორც კონფლიქტი „მამებსა“ და „შვილებს“ შორის, ცხადია, შეიძლება არც დამთხვევად რევისორის ტრაქტავსა. ამას ადასტურებს თუნდაც „მეშინების“ წინა დადგამა — ირკუტსკის თეატრის სპექტაკლი, სადაც რევისორმა უკვე ცხადყო პიესის კონცეპციის დრმა გაგება. ამიტომ, საუკეთესოა, რომ თავის პერმულ სპექტაკლში იგი ასე ადვილად იტყოს უარს თავის ადრეულ მონაპოვარზე და დასთმობდა უკვე მოპოვებულ პოზიციებს. მითუმეტეს, რომ პერმის დადგამში გამოვლინდა კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი, რომელიც მხოლოდ ადასტურებს ახალ ძვრებს რევისორის მიერ პიესის პრობლემატიკის გადაწყვეტაში. პერმის გაზეთი სპექტაკლში ნილს უწოდებდა „ტიპურ და ძლიერ სახეს“¹⁹. ეს არ იყო ახალი რამ მარჯანიშვილისეულ ტრაქტავაში — ნილს სახე მას სწორეთ ამგვარად ესმოდა. რევისორის მუშაობაში ახალი შტრიხი სხვა აღმოჩნდა. იგი ამჯერად განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ნილს განსხვავებას არა მარტო „მეშინებისაგან“, არამედ ტეტერევისგანაც. პერმის გაზეთის რეცენზენტი, ამ შემთხვევაში ყურადღებას მიმართავდა იმაზე, რომ სპექტაკლში „პიესის დრამატული ბრძოლისაგან განცალკევებულ დგას ორი პიროვნება — მგალობელი ტეტერევი (ნიკიტინ-ფაბიანსკი) და მიწანტროპი-ფილოსოფისი პერჩინინი“²⁰. ამით თითქოსდა მტკიცდებოდა ის აზრი, რომ ეს პერსონაჟები არ თანაურდობოდნენ ნილს, ისინი განცალკევებულნი იყვნენ, რადგან ძლიერი ნებისყოფის კაცია ნილი არც უმწუხრ უსულო ტეტერევი და არც უბოროტ პერჩინინი. და ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო — მამასადამე, კ. მარჯანიშვილმა გადალახა კიდევ ერთი „მიჯანა“ და თითქმის მჭიდროდ მიუხალოვდა გორკისეული შეფასების საზღვრებს.

„მეშინების“ დადგმის რამდენიმე დღის შემდეგ პერმის პრესაში გამოჩნდა განცხადება იმის შესახებ, რომ პერმის თეატრალურმა ანტრეპრიზამ მიიღო გორკის პიესის „ფსევრზე“ დადგმის უფლება. მარჯანიშვილი აქაც თანამიმდევრული იყო — როგორც ჩანს, მას ძალიან უნდოდა განმტკიცებინა ყველა ის მონაპოვარი, რაც საცნაური იყო ირკუტსკის დადგამში. და იგი ხელისუფალთაგან კვლავ მოითხოვს ახალ ნებართვას, მიზანს აღწევს და 1904 წლის შუა ივნისში ახორციელებს დადგმას.

მეშინების დადგმა დიდი წარმატება ხვდა წილად სპექტაკლს. პერმის გაზეთებმა ორჯონის შეფასეს მისი ღირსება. კვლავ აღინიშნებოდა სპექტაკლის ანსამბლურობა, მისი მაღალმხატვრულობა, ცალკე იყო ლაპარაკი თვით მარჯანიშვილზე, როგორც სერიოზულ, გამოცდილ, თავისი საქმის მცოდნე რეჟისორზე. „შესანიშნავ შემოსავალს შევსაბამებოდა სრული გარეგნული წარმატებაც. და ამავე დროს ეს წარმატება სავსებით დამსახურებულა, როგორც დადგმით, ასევე შესრულებით“²¹.

ასე თანდათანობით უახლოვდებოდა კ. მარჯანიშვილი თავის სახელგანთქმულ დადგმას — „მოთავარაკებს“, რომელიც

¹⁸ «Перские ведомости», 27 мая, 1904 г.
¹⁹ იქვე.
²⁰ იქვე.
²¹ იქვე 20 июня, 1904 г.

1904 წელს განხორციელდა რევოლუცია. ეს სპექტაკლი შევიდა რევოლუციამდელი რუსული თეატრის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენა. ამ სპექტაკლის წინმართობაში მით უფრო დიდია, რომ მასზე მუშაობაში უშუალო მონაწილეობასღებულობდა თვით პიესის ავტორი მაქსიმ გორკი.

კ. მარჯანიშვილის ბიოგრაფიაში რიგის პერიოდი განსაკუთრებით წინმწინველია და უაღრესად საინტერესო რევიზიონის მიხედვით მომდევნო სვედების გასაგებად.

აქ, რევოლუცია, კ. ნეშლობინის ანტრეპრეზანში, იგი პირველად შეხვდა და პირადად გაეცნო ალექსანდრე მაქსიმეს ძე გორკის. ამ გაეცნობის მარჯანიშვილისათვის უდიდესი წინმწინველობა ჰქონდა — მან გაგვინა იქონია არა მარტო მის ესთეტიკურ შეხედულებებზე, არამედ წინმწინველობაში როლი ითამაშა მის პოლიტიკურ ფორმირებაში.

თავიანთი შეხედულებებით თეატრზე, მის დანიშნულებასა და მიზანზე მ. გორკი და კ. მარჯანიშვილი ძალიან ბევრი რამით უხსოვრდებოდნენ ერთმანეთს. ისევე როგორც გორკი, მარჯანიშვილიც გამოდიოდა წარსულის საუკეთესო დემოკრატიული ტრადიციების მხურვალე დამცველად, ყოველთვის მიიწარაფოდა რეპერტუარის მაღალი დერეფნისაკენ და მტკიცედ იდგა რეალისტური ხელოვნების პოზიციებზე; ისევე როგორც გორკი, იგი მტერი იყო მოწყენილობისა და ერთფეროვნების, ხალხურისა და უსამართლობის სენაზე, ვერ იტანდა მცოცხე ემიზიონს და პირქუშ, დამამძიმებელ გამტანჯველ, ადამყოფურ აღფრთოვანებას, უყვარდა ცხოვრება, მისი მხენე, ჯანსიღუნეობა. გორკისა და მარჯანიშვილის სიმპათიები განსაკუთრებით მჭიდროდ გადაედუნენ სამხატვრო თეატრისადმი მათს დამოიდებულებებში.

თუ რა იყო სამხატვრო თეატრი გორკისათვის, ეს საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ეს თეატრი კ. მარჯანიშვილის ყველაზე ძლიერი სიყვარულის საგანი იყო. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ნაკლებად ცნობილი რევიზიონი ქედს იხრიდა სამხატვრო თეატრის ხელოვნების წინაშე. „...მე მზიბლავდა მისი (ე. ი. სამხატვრო თეატრის — ე. გ.) სპექტაკლების მოლიანობა, მისი სიმართლე და რეალიზმი“²² — აღიარებდა იგი შემდეგ და სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩინოს თეატრისადმი ამ თავიანთი ცემის წყალობით განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა იგი გორკისათვის.

მარჯანიშვილი პირდაპირ შეეყვარებულ იყო გორკიზე. „განსაცხერებელია გორკის მომხმარებლობა, — წერდა იგი თავის მემუარებში, — შესახებდა ეს პირქუში და აღაპარკიმი თითქმისდა უნემი ადამიანი, რომელიც ვოლგური აქცენტით: „ო-ზე სავადა მავსილთ, ოროოდე ფრასის შემდეგ ხიბლავდა მისაბოხრს და დავიწყარ შთაბეჭდილებას ახენდა მასზე. ეს ბრძნობა მე საკუთარ თავზე გამოცადე ოცდაერთ წელს, რადა უკანასკნელად შეხვდი ალექსეი მაქსიმეს ძეს. მასზე ისევე ნიყავი შეეყვარებულ, როგორც პირველი გაეცნობისას. დაწერე ვი ყ ვ ი შე ყ ვ რ ბ უ ლ ი და არ შემიძლია ამ სიტყვის შეცვლა, ვინაიდან, მართლაც, მთელი ჩემი ცხოვრ-

ბის მანიღლებე ისე არავინ მყვარებდა, როგორც იგი მიყვარდა“²³.

რა შეიძლება ამ ალტაცებულ სიტყვებს დაეუმატოთ? მხოლოდ ის, რომ გორკი იმავე სიყვარულითა და გულთბილობით ვასუსხებდა მას. თეატრში გორკი ორ ადამიანს გამოჰყოფდა — სტანისლავსკისა და მარჯანიშვილს. „Красавец-человек“ — თქვა მან ერთხელ სტანისლავსკის შესახებ, „Святая душа“ — ამბობდა იგი მარჯანიშვილის შესახებ. ადამიანური პიროვნების ეს ორი დიდებული დახასიათება მისცა მან ამ ორ რევიზიონს. ორივე ეს დახასიათება სამუდამოდ დარჩა მათი არსის გამოხატველ გორკისეულ ფრთიან თქმად.

გორკი, ენდობოდა მარჯანიშვილს, სწამდა და აჯეროდა მისი. ეს მათ ურთიერთობაში არაერთგზის გამოვლინდა უკვე პირველსავე შეხვედრაში, 1904 წელს.

რეოლუციური კვირპალი იყო — 1905 წელი. რუსეთს უფრო და უფრო ედებოდა რევოლუციური ბრძოლის ცეცხლი. რუსეთი — ლენინის სიტყვებით რომ თქვათ — ძილისკან, მიზნობისა და თვლემისგან ფხიზდებოდა.

პროლეტარული მოძრაობის ტალღები თავლმუედამ სიყრცეებს სწვდებოდა, ქვეყნის ყველაზე მიყვარდნილ კუნძულებში გრცელდებოდა მღელვარება და გაფიცვები სულ უფრო ხშირად მოაგრდებოდა პოლიციასთან აპარატ შეტაკებით. რევოლუცია ყოველდღიურად იგრებდა ძალეს.

მარჯანიშვილი ამ დროს რევოლუციურ მოვრბადა და პირდაპირ მოვედენის მუაგულში მოექცა. ამ დროისგანვე, დაუდგრომელ და თამამ ადამიანს იზიდავდა რევოლუცია, იგი მხურვალედ ცდილობდა ჩასწვდომოდა მის არსს. მას რა ჰქონია გარკვეული პოლიტიკური შეხედულებანი და მიყვებოდა მის ყოვლისმძლე მშფოთვარე მზინარებას. რეოლუციური იდეებით ამ გატაცებამ იყო რადაც სტიქიური, ბოლომდე გაუაზრებელი. მაგრამ „დროის სულითკეთების“ შეგრძნება და ფაქიზი საზოგადოებრივი ალღო განსაზღვრავდა მის მოქალაქეობრივ შემოქმედებით სახეს ამ წლებში.

გადაუარებლად შეიძლება ითქვას, რომ მარჯანიშვილი, უფრო მეტად, ვიდრე იმ დროის სხვა რომელიმე დიდი რევიზიონი, მჭიდროდ იყო დაკავშირებული პროლეტარული განმართავისუფლებელი მოძრაობის იდეებთან. იგი რეოლუციის ტალღამ ზეიტაკცა. თავის შესანიშნავ მემუარებში წერს მის შესახებ, თუ როგორ დარბოდა იგი ამ მრისსანე ვამს ერთი მიტინგიდან მორბოვ და ყველადა თვითმპყრობლობის წინააღმდეგ მგზნებელ სიტყვებს წარმოიტკამდა.

ეს იყო 1904 წელი, — იგონებს მარჯანიშვილი, — ინტელიგენცია თიხზოდაათიანი წლების ძილიდან იღვიძებდა. მუშათა მასები აშკარად გამოსთქამდნენ თავიანთ სიძულვილის თვითმპყრობლობისადმი. იგრძნობოდა მისაბოლებული რევოლუციის ჭეჭა-ქუხილი. რეპტიციებიდან მივიდოდით მიტინგებზე. უამრავი რაოდენობით ვვიხთხობოდით და ვტკებოდით არალეგალური აღმშენებლები, ვეცნობოდით სხვადასხვა პარტიების პროგრამებს. ვცდილობდით გვეპოვნა საკუთარი თავი რუსული საზოგადოების დიფერენცირებულ წრეებში.

1905 წლის იანვარმა საბოლოოდ გაგვარეოლუციონერა

²² Сб. «Котэ Марджанишвили», т. 1, стр. 9.

²³ იქვე, გვ. 13.



ყველანი. ჯერ გამორკველი არ გვექნადა არცერთი პლატფორმა, გარკვეული არ ვიყავით იმდროინდელი პარტიების არცერთ პროგრამაში, ჩვენ უბრალოდ გვცადა თვითმპყრობელობა. არ ვიფარავდებოდით მართოდღენ მიტინგებზე უბრალო სიტრინით, ბევრი ჩვენგანი გამოდიოდა მეფის სახელეული რეჟიმის დამხობის მოწოდებით²⁴.

ამ აღსარების რამდენადმე გაყენებული ხასიათის მიუხედავად, მამუი ჟღერს სოციალური მოძრაობის მხამათ მართებული შეფასება, მხატვრის მიერ ისტორიის მაქისცემის მხაფერი შეგძინება. რეჟოლეციური ბრძოლებისადმი მარჯანიშვილის ამ ლტოლვაში დიდი როლი ითამაშა მისმა შესუვედრებამ გორკისთან. თავის მემუარებში მარჯანიშვილი დაწვრილებით აფვივრის გორკის დაპატიმრებას რიგაში, 1905 წლის იანვარში, როცა სისხლიანი კვირის შემდეგ გორკის ის იყო დაბრუნდა პეტერბურგიდან და თან ჩამოიტანა დემონსტრანტების მხეკური დახვერტის დამადატურებელი რამდენიმე ნივთიერი საბუთი, კერძოდ ვიბორკის რაიონის წითელი დროშა. გორკის ბინაზე შემთხვევით შესული მარჯანიშვილი მუწერლის დაპატიმრების მოწმე გახდა, ესწრებოდა ჩხრეკას, ჟანდარმების წინაშე საკმაოდ გამოშვევდა ეჭირა თავი, უარი თქვა მიეცა მათთვის პატივსიანი სიტყვა, რომ ნანახ ამებზე კონტრატს არ დასძრავდა და მერე, როცა გორკი წაიყვანეს, შვერბა ქართული სახელსიტომის სტუდენტთა ჯგუფი, რათა პოლიციელთაგან დაეხსნა გორკი.

თანდათანობით მარჯანიშვილი სულ უფრო დაუახლოვდა გორკისა და მ. ფ. ანდრეევსა. მიმიდ დაავადებული მ. ანდრეევი სწორედ მას სთხოვდა დახვედროდა გორკის სადაგურზე, როცა იგი პატიმრობიდან განთავისუფლებული ბრუნდებოდა რიგაში. სწორედ მარჯანიშვილს დაავალა გორკიმ თხოვნით მისუფიყის მილიონერ სავა მორთოვთან, რათა მას ლონიდ ანდრეევის დანახსნელად გირავოდ ხუთი თასიანი მანეთი გაედლო. ეს დაავალება ერთგვარად კონსპირაციული იყო — იგი ლ. ანდრეევის დაპატიმრებას უკავშირდებოდა. სწორედ გორკის მუშეგობით მიმართავდა მარჯანიშვილი ყველა იმას, ვინც იმ წლებში თეატრისათვის ქწინდა და სწორედ მისი წყალობით იქცა რუსი მწულებების პიესების პირველ ანდრეევად. გორკის იგივე მწულებების დაუკავშირდა იგი ლონიდ ანდრეევს, ე. ჩირიკოვს, ა. ბლოკს, კოსოროტოვს, მასაკვირვლია, მარჯანიშვილის ფორმირებაზე უდიდეს გავლენას ახდენს ის, რომ გორკი ხშირად ესწრებოდა მარჯანიშვილისა და ნელსობინის საბუნების თეატრის პრობლებზე, მონაწილეობას ეღებოდა და რეპერტუარის შერჩევაში. მ. გორკის მომხიბვლელობამ და ავტორიტეტის ძალამ ათქვეინა სწორედ მას უარი ა. ლენსკის წინადადებაზე წასულიყო რეჟისორად საიმპერატორო სცენაზე და მცირე თეატრთან ნავარაუდევ ახალგაზრდულ თეატრში. კ. მარჯანიშვილი რიგაში დარჩა.

ყოველი დღე ახსოვებდა მარჯანიშვილს გორკისთან. ეს სახალგავე განსაკუთრებით გამოჩნდა რივის თეატრში გორკის „მოაგარაკენის“ დადგმისას.

ვიდრე თავის განთქმულ სპექტაკლს „მოაგარაკენს“ დადგამდა ნელსობინის თეატრში, მარჯანიშვილმა აქ განახორ-

ციელა მისთვის უკვე ცნობილი „მემარანები“ და „სტუდენტები“ განახლებული სპექტაკლები იყო, წინა სესონებშიაც იდგმებოდა; მარჯანიშვილმა განახალა მ. გორკის უშუალო მონაწილეობით და გასაკვირი არაა, რომ ეს დადგენი შეიცავდენ მარჯანიშვილის მიედი იმ გამოცდილებას, რაც მან გორკის დრამატურგიაზე მუშაობით შეიძინა. ჩვენამდე არ მოუღწევია გახვეწილს გამომხილებლს მარჯანიშვილის ამ სპექტაკლებზე — მხოლოდ მუწერი ინფორმაციები გვაქვს ხელთ. აქ ლაპარაკია სპექტაკლების უდიდეს წარმატებებზე, განსაკუთრებით რივის სტუდენტების შორის, ლაპარაკია იმაზე, რომ ყოველ სპექტაკლს სრული შემოსავალი ქწინდა, და რომ სპექტაკლები მუშაობაში მონაწილეობას თვით გორკი ეღებოდა. ამის შესახებ თვით კ. მარჯანიშვილიც წერს თავის მემუარებში, მოგვხიბობს იმ ამბავზე, რაც მიხდა „გორკის ერთ-ერთი პიესის (არ იგულებლობა „მოაგარაკენი“ — ე. გ.) რეჟეციციაზე, როცა ლოგაში გორკი იჯდა“²⁵. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმის გასაგებად თუ როგორ თანდათანობით იზრდებოდა შემოქმედებითად და მწიფდებოდა პოლიტიკურად რეჟისორ მარჯანიშვილი, როგორ ძლიერდებოდა გორკის პიესების მიხედვლ ინტერპრეტაციაში სოციალური აქცენტი და უფრო ნათლად იკვეთებოდა კონფლიქტის სიმაფიერე. საფიქრებელია, რომ მარჯანიშვილი გორკის რჩევითა და მითითებებით ხელმძღვანელობდა. სპექტაკლი „მოაგარაკენი“ განსაკუთრებული სიძაფრით გვარწმუნებს ამ აზრის სისწორეში.

ვიდრე მარჯანიშვილის „მოაგარაკენზე“ ვილაპარაკებდეთ, აუცილებელია მოკლედ მაინც გავიხსენოთ წინასიტრია, რაც უკავშირდება სამხატვრო თეატრის სცენაზე ამ პიესის განზრახულ (და განუხორციელებელ) დადგმას.

1904 წლის მარტში ნემიროვიჩი-დანჩენკომ გორკის კითხვით პირველად მოისმინა ცალკეული სცენები ჯერ დუშოვარებელ პიესისა. მან ბევრი რამ მიიღო იქიდან, რაც უკვე იყო დაწერილი, მაგრამ მთლიანად პიესა ჯერ ნელ ნასალად მიიჩნია, რომელსაც შემდგომი დამუშავება სჭირდებოდა. ამას იგი წერილობით ატყობინებს კ. სტანილაჟსკის²⁶.

ამავე დღეებში მ. გორკი რწერს ე. პეშუვას: „ჩემთან იყო ნემიროვიჩი, წავუკითხე პიესის ნაწყებები. იგი ამ ნაწყებებს ძალიან აუტეს, მაგრამ მე მისი არ მჭერა. პიესა რძეძელი და მოსაწყენია“²⁷. იმავე წლის 18 აპრილს გორკი პიესას კითხულობს სამხატვრო თეატრის დასში, რომელიც იმხანად გასტროლებზე იყო პეტერბურგში. გორკი პიერდება ნემიროვიჩს, რომ ზაფხულის მანძილზე დაამოკურებს პიესას და აფგისტოს შუა რიცხვებში გაუგზავნის მას. მაგრამ თავისი დანაპირები არ შეუსრულებია, ვინაიდან კატეგორულად გადაწყვიტა არ მიეცა პიესა სამხატვრო თეატრისათვის. ამის მიზეზი იყო შეფასება ნემიროვიჩი-დანჩენკოს, რომელმაც პიესას უსიციოებლო და ნაკლებ მხატვრული უწოდა²⁸.

²⁴ იქვე 33-15.

²⁵ Сб. «Котэ Марджанишвили, «Творческое наследие», т. 1, «Заря Востока», стр. 12.

²⁶ об. Л. Фрейдкина — «Дни и годы Вл. И. Немировича-Данченко», Летопись жизни и творчества. ВТО, 1962 г. стр. 194.

²⁷ იქვე.

²⁸ ამის შესახებ დანიშნულებით იხილეთ — Архив А. М. Горького, шифр ЕГ-ДН-7-6-8.

„მოგარაკენსი“ ავტორისთვის სპეციალურად დაწერილ რეცენზიაში (1904 წ. აპრილი — მაისი) ნემიროვიჩ-დანჩენ-კო უაღრესად გულახდილ შეფასებას აძლევს პიესას, გორკის უსაყვედროდ „გაბიროტებულს“, „ტენდენციურს“, „მიკერძოებულს“ მიდრეკილ ინტელიგენციისადმი, მოთხოვს პიესის გაწმენდას ბანალურობისაგან.

რეცენზიის მიღებისთანავე, გორკიმ უპასუხა: „ყურადღებით გადავიკითხე თქვენი რეცენზია ჩემს პიესაზე და დაინახე პრინციპული უთანხმოება იმ საკითხებზე, რომლებიც ჩემთვის საბოლოოდ განუხრელად გადაწყვეტილია. თქვენი შენიშვნები მითვის მიუღებელია, ამიტომ მე შესაძლებლად არ მიმაჩნია მიწვევ პიესა თვატის, რომელსაც თქვენ უღდაგხართ სათავეში“²⁹.

ნემიროვიჩ-დანჩენკო მაინც არ კარგავდა პიესის მიღების იმედს³⁰. „შესაძლებოა გორკი კვლავ დაგვიბრუნდეს. მინდა წერილი მივწერო მას“ — აცხობინებს იგი კ. სტანისლავსკის 1904 წლის 13 ივლისს. მას კიდევ სჯერა, რომ „მოგარაკენსი“ დადგენის შესაძლებლობა მაინც არ დაკარგულია. მიუხედავად პიესისადმი თავისი თავდაპირველი შეურიგებელი პოზიციისა იგი სწერს გორკის, რომ ელის პიესის გადაკეთებას და მზადაა იგი განახორციელოს თეატრის სცენაზე. მაგრამ გორკი არ ღებულობს ამ თხოვნას, სამაგალი უკმეტი ტონით უბნება უარს და თავის უარს ხსნის იმ მოტივით, რომ პიესა მართალია მზადაა, მაგრამ განზრახული მაქვს ჯერ მისი დასტამბვა, ხოლო შემდეგ დადგმის უფლების გაცემა. კ. პ. პატიცისკისადმი მიწერილ ერთ წერილში იგი იხსენიებს ნემიროვიჩ-დანჩენკოს თხოვნას და ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მას არ სურს მისცეს პიესა სამხატვრო თეატრს. რაცა გაზეთში „наша жизнь“ დაიბეჭდა ცნობა, იმის შესახებ, თითქოსდა სამხატვრო თეატრს არ სურს „მოგარაკენის“ დადგმა³¹, გორკიმ გაზეთში მოათავსა საპროტესტო წერილი, სადაც აღნიშნა, რომ თვით მას არ სურს ეს პიესა მისცეს თეატრს. სწორედ ამ პერიოდში (1904 წლის ივლისი-აგვისტო) ცხოვრობს იგი სტარაია რუსიაში, ხვდებდა მარჯანიშვილს და გადამწყვეტს თავისი იტიესი ბედი მას მიანდოს.

რიგის თეატრი და პირველ რიგში რეჟისორი მარჯანიშვილი უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ სპექტაკლს. პიესას იბინი ამზადებდნენ დაიბნედა და გულმოდგინედ, ოცდართი რეპეტიცია, რომელიც მიეძღვნა „მოგარაკენს“ — ქუმარტაძე გაუგონარ რამ იყო პროვიცნიული ანტრეპრიზების სინამდვილეში.

კ. მარჯანიშვილის მუშაობა გორკის პიესაზე მიდიოდა პარალელურად. ამავე პიესის რეპეტიციები ტარდებოდა პეტერბურგში ე. კომისარევესკაიას თეატრის სცენაზე³². და ამას თანხილ განსაკუთრებულ აზრით ჰქონდა. რიგელები საქმის კურსში იყვნენ. იქაური გაზეთები სისტემატურად ბეჭდვდნენ

ცნობებს ორივე თეატრში მიმდინარე რეპეტიციებზე. ასე დედაქალაქის პრესა თვლენდა. 1904 წლის 9 აგვისტოს „Петербургский дневник театра“ და „Рижские ведомости“ ორიდროდღა იტყობინებოდნენ, რომ გორკიმ ამ დღეებში თავისი პიესა „მოგარაკენსი“ წაიკითხა კ. ნ. ხლონინის ანტრეპრიზაში. 8 ოქტომბერს რიგის გაზეთი წერდა იმის შესახებ, რომ „მოგარაკენსი“ ორივე თეატრში მზადდება დასადგმელად, ხოლო 12 ნოემბრს იმავე გაზეთმა გადმოიბეჭდა სპეტაკია პეტერბურგის გაზეთ „новости“-დან, სადაც თქმული იყო, რომ „მოგარაკენსი“ პეტერბურგში დიდად გასამართლდა, რომ იგი დიდი, მაგრამ არათანაბრი წარმატებით მიიღეს, რომ გორკის პიესა „საერთოდ... არაა ბრწყინვალე და ხელოვნურია“... „სახეები ესკიზურადაა მოხაზული, მოცემული მდგომარეობანი ერთობ შემთხვევითია და ძირითად აზრს ვერ ნათელსკობენ“³³.

„მოგარაკენის“ პირველი წარმოდგენა (1904 წლის 30 ნოემბერი) დიდის წარმატებითა და სრული ანშლავით წავიდა. მეორე დღესვე გაზეთებში დაიბეჭდა რეცენზიები, რომლებიც სპექტაკლის მაღალ შეფასებას აძლევდნენ.

გაზეთები წერდნენ იმ ოცაიებზე, რომლებიც გაუმართეს თეატრში მყოფ ავტორს. რეჟისორს აქებდნენ „მ. გორკის სცენების იმეათა სილამაზითა და მონდომებით დადგმის, სპექტაკლის ანსამბლურობის, ბრწყინვალე „შეთამაშებისა“ და დეტალების უნაკლო განლაგების (მხატვარი ნ. ვ. იგნატოვი) და კარგი მსახიობური შესრულების“ გამო³⁴.

პრესის ამ გამოხმარებით კვლავ ნათელი ხდება, რომ სპექტაკლი „მოგარაკენის“ მარჯანიშვილის მიერ დადგმული იყო რეალისტური თეატრის მიული „კანონებით“. ისევე როგორც დღე, გორკის დრამატურგიაზე შექმნილ სპექტაკლებზე, ახლაც რეჟისორი მტკიცედ უარყოფდა ყველაფერს ხელოვნურს, გაზეინადებულს, გულმოდგინედ ცდილობდა რეალისტური დამაჯერებლობის მიღწევას. მას უფრო და უფრო იტაცებდა ცხოვრების სიმარტლე: მარჯანიშვილი ეძიებდა ამ სიმართლეს როგორც სპექტაკლის საერთო დადგმით ჩანაფიქრში, ისევე მსახიობთა სცენურ ურთიერთობაში, მათს ჩანაშკოლობაში, პავილიონების „ნატურალობაში „ავრთვე“ სააგარკო ცხოვრების „საერთო კოლორიტში, მის უდარდელ და გარეგნულ სილამაზეში, რომელიც არსებითად სულსშემსუთველი და დამაყაბებელი ატმოსფერო იყო „ცხოვრების მიძიდარი მოგარაკენისა“, რომლებმაც რეველუციურ ქარიშხლებს კეთილმოწყობილ ოთახებში შეაფარეს თავი.

მარჯანიშვილი, რომელსაც ეძინდა მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა გორკისთან, ღრმად სწვდებოდა პიესის კონფლიქტის არსს. მას ესმოდა, რომ ინტელიგენციის და ხალხის კონფლიქტის პრობლემა, რომელიც ასე მწვავედ იყო დასმული გორკის პიესაში, სრულიადაც არ გადაწყვედებოდა რაღაც მექანიკური დაპირისპირებებით. გორკის კვლავ, რეჟისორს ამ პრობლემის გადაწყვეტას ეძიებდა თვით ინტელიგენციის წიაღში არსებულ ღრმა შინაგან წინააღმდეგობებში. მან იცოდა: ეს წინააღმდეგობა უკვე მოწოფიდა, იგი ყოველთვის არ ძეის ზედა-

²⁹ სიტატა წიგნიდან — Л. Фрейдкина, «Дни и годы» Вл. И. Немировича-Данченко. М., 1962 г., стр. 136.

³⁰ Вл. И. Немирович-Данченко. Избранные письма, «Искусство». М., 1959 г., стр. 266.

³¹ იხ. «Наша жизнь», 14 ноября 1904 года.

³² გორკის პიესა „მოგარაკენსი“ ამ წლებში დღებოდა დონის რისტოვი, ორლში, ნიჟნი-ნოვოროდში, ვილნისა და სხვა ქალაქებში.

³³ «Рижские ведомости» 12 ноября 1904 г.
³⁴ იხ. «Рижские ведомости» 1 декабря 1904 г.

პირზე, საჭიროა მათი ძიება, გახსნა და დაუნდობელი მხილობა.

„მ. გორკის მიერ ფსევდო-ინტელიგენციის განადგურება“ — ასეთი სათაურით მოათავსა რეჟენზია პიესაზე და სპექტაკლზე გავსებმა „რიჟსკი ვესტნიკი“მ. მხოლოდ ეს სათაურები კი მოჰმობდა დადგომის მებრძოლ, მამხილებელ ხასიათს, ნათლს ხვდია, რომ მასში გარკვეულად და მკვეთრად იყო მოცემული „მოგარაკეთა“ განიკესვის ტენდენცია. მართლაც, რეჟისორი ხაზს უსვამდა სპექტაკლში მოქმედი მებრძოლი ძალების არსებობას და ცდილობდა ეჩვენებინა ამ ბრძოლის სიმძაფრე, რისთვისაც მან კონფლიქტის არსში აქტიური შუქრის გზა აიჩრია. იგი მკვეთრად გამოჰყოფდა ადამიანთა ერთი ნაწილის პატიოსნებას, რადიკალურობას, შურიგებლობას — და მეორე ნაწილის „მოყრებულობას“, თავებდ „სიმშვიდეს“, გულგრილობას, შეშვებულობას, ცინიზმს და მორალურ უნდარებობას. და ძნელი სათქმელი იყო რომელი მხარე სძლევდა ამ ბრძოლაში მეორეს — მარჯანიშვილი არც ცდილობდა წინ წამოეწია ერთი რამ განსაკუთრებული და დაეჩრდილა მეორე. მას სწყურებდა ამ ბრძოლის პროცესის ჩვენება და მებრძოლი მხარეები მაქსიმალურად იყო დახატული მის მიერ.

ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება ყურადღება მივაქციოთ ერთ დავას, რომელიც გაჩაღდა გაზეთ „Рижские ведомости“-ს რევენუზენტსა და თეატრს შორის. რევენუზენტის კრიტიკული შენიშვნები გამოიწვია თეატრის მიერ ინტეგრირებული ადვოკატ ბასილის სახემ (ამ როლს ე. ნეზლომინი თამაშობდა). რევენუზენტი სთვლიდა, რომ ბასილი ეს არის „ცხოვრების ნაგავი“, ეთანხმებოდა თეატრს ამ სახის გამოსახვაში, მაგრამ თეატრს და როლის შემსრულებელსაც უთიენებდა, რომ მათ არ ისურვეს ბასილით დაენახათ „გულგრილი პოშლიაკი“, „კაი ბიჭი“ და მინაიჭა მას „სრული გონებრივი შეზღუდულობის კოლორიტი“³⁵.

პრესის ამ შენიშვნიდან ჩანს, რომ თეატრის რეჟისურამ და მსახიობებმა უარი სთქვეს კომპრომისის უმეცრეს შესაძლებლობაზეც კი, უარი სთქვეს „დანაშაულის შემცირების“ ყოველგვარ ინტენაციებზეც, და არ სცნეს შეფასებთა „ორჭოფულობა“. თეატრი უმოწყალო და კატეგორიული იყო თავის სოციალურ დასჯებებში. თეატრს არ გამოუვდა „გულგრილი პოშლიაკი“ და „კაი ბიჭი“. რეჟისორის ესმთა: „მოწის ტალახი“ უნდა მოისპოს შეწყალების რაიმე გრძობის გარეშე და შემთხვევითი არაა, რომ რიგის გაზეთი წერდა: „მაყურებელი თითქმის სიგეიმედე მიდის, იგი თავს ძლივს იკავებს სცენაზე ავარდნიხვანა, რათა დაღუწოს, გათელოს, პირისგან მიწისა აღგავოს ყველა ეს ბუზღუნა თუ ენაბლუ პოშლიაკი“³⁶.

მარჯანიშვილი ყველაფერში თანამიმდევრულად მიჰყვებოდა გორკის: — უხამაობის, სიღარბის, რენეგატობის გაიკცება იქნებოდა ეს თუ ცხოვრების დამკვიდრება და რწმენა ცხოვრებისა.

სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის მ. გორკის განთქმული წერილი მ. რენეგატრისადმი. ამ წერილში მოცემულია ზუსტი დახასიათება რუსეთის ინტელიგენციისა, რომელიც ძრწოლას

განიკვლიდა ცხოვრების წინაშე და რომელმაც დაკარგა მომავლისადმი რწმენის გრძობა, თავი გაიწვია მასპიტკვიზო უსაქმურიისათვის, უღალბა დემოკრატისა და მინტაგინი გადაეშვა. „აი, დრამა — როგორადც მე იგი მესმის — დასკვნის გორკი. ამ დრამის გასაგებად, ჩემის აზრით, მარია ლეონას მონოლოგი მეოთხე აქტშია“³⁷.

ინებოდა თუ არა ამ წერილს კ. მარჯანიშვილი? ამ კითხვზე პასუხის გაცემა ძნელია. მაგრამ ერთი რამ უკველია: რენეგატრისადმი მინაწერ წერილში ჩამოყალიბებული გორკის პოზიცია კარგად იყო ცნობილი მარჯანიშვილისათვის. როგორც რეჟისორი, იგი მტკიცედ იდგა ამ პოზიციებზე. ყოველ შემთხვევაში ეს პოზიცია მას ამოსავლად მიანდა სპექტაკლზე მუშაობისას. ინტელიგენციის დრამის გასაგებად მასაც მარია ლეონას მონოლოგი მიანდა გასაღებად. ამ სახემ ყველაზე გამოჩრდილი ადგილი დაიკავა სპექტაკლში, იქვე იმ ფოკუსზე, სადაც თავი მოიყარა მეოთხე პოზიტიურმა, ნათელმა, მიზანწრაფულმა, ძლიერმა მომენტმა.

მარია ლეონას როლს თამაშობდა მ. ანდრეევა. თამაშობდა ყოველგვარი პათოსისა და სიყალბის გარეშე, სადა, ადამიანურად და ამ სახემ აქმუვდა მიუღ თავის მომზიბულებლობას, ძალას და სითბოს. განა ანდრეევას სხვაგვარად შეეძლო ამ როლის თამაში? სამატკივრო თეატრის სკოლა ყველგან სჭევოდა — გმირი ქალის სულიერ სიღრმეში მსახიობის შტებრაში, მის მომზიბულებლობაში, მკაცრ ლაკონიზმში, სცენური ფორმის კეთილშობილებასა და შინაგან მითლიანობაში.

ნეზლომინის თეატრის მსახიობი ვ. ი. ლიხაროვი თავის მოგონებებში წერს: „ეს არ იყო ზღაპრული ფეცია, მიაბიტი, მოტყუებული ქალიშვილი, არამედ უბრალო, ორმოც წელს მიტანებული — ხალხის წილიდან გამოსული ქალი“³⁸. მოგონებათა ავტორი განაგრძობს: „მოელი თავისი შესრულებით მსახიობი არწმუნებდა მაყურებელს, რომ მარია ლეონა არანეღლებიერი ქალია, რომ თავისი ცხოვრების მთავარი მიზანა მას სიმართლის დამკვიდრების, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლა უქცევია“³⁹.

ტემსარიტად, ბევრი რამ იყო საერთო მარია ლეონასა და თეთი მარია ანდრეევას შორის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს მსახიობი — ბოლშევიკი ქალი შორს გასცდა და ძალიან წინ წავიდა პიესის გმირთან შედარებით. მაგრამ, მის ბავთვებში მარია ლეონას მუხებარე სიტყვები არანეღლებრივად ორგანულად, სარწმუნოდ და მრისხანედ ჟღერდა.

შემთხვევითი როლია, რომ იმავე მოგონებებში ავტორი წერს, რომ „ეს მსატრული სახე მ. ფ. ანდრეევას ჰტრიკულ ჟღერადობამდე აჰყავდაო“⁴⁰.

მარჯანიშვილის შემოქმედების მკვლევრისათვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამ კონტექსტში მოხსენებულია

³⁷ М. Горький. Собрание сочинений т. 28, стр. 345.
³⁸ Сб. «М. Ф. Андреева», «Периодика. Воспоминания. Статьи. Документы. Воспоминания о М. Ф. Андреевой — Искусство», М. 1961 г. стр. 395.
³⁹ იქვე, გვ. 396.
⁴⁰ იხ. «М. Ф. Андреева». Искусство 1961 г., стр. 396.

³⁵ «Рижские ведомости», 4 декабря 1904 г.
³⁶ «Рижский вестник» № 268, декабрь 1904 г.

მარია ლეონას მხატვრული სახის პერიოდიული ელვადობის ამავე. ქალური და მომხიბვლელი ანდრევეა — მარია ლეონა ატარებდა ძალის უხარმზარ მუხტს, შინაგან ნებისყოფას, ამაღლებულ პათოსს. და ეს გადაწვანა გიშრულის და სისადავას, ამაღლებულობას და ჩვეულებრივი ადამიანური უშუალოებას მარჯანიშვილის სპექტაკლის არსად იქცა. მარჯანიშვილის ამ ქვეყნად ყველაზე მეტად ეშინოდა ხალტურისა, ვერ იტანდა სიყალბეს, მაღალფარდოვნებს. შეიძლება იმის წარმოდგენა, როგორ განარიდებდა ყოველივე ამას მთავარი როლის შემსრულებელს, რომელმაც თავად სცენური რეალიზმის შესანიშნავი სკოლა გაიარა. მას ესმოდა, რომ როლს შეეძლო „გატყუება“ — ლოზუნისაკენ. მთავარი იყო ამის ძირშივე ადგეოთა. თითქოსდა ეს რევისორული აზრი ედამიონთა გაიგოვი, ადგილობრივი პრესა წერდა: „ქ-ნი ანდრევეა გვაძლევს ჭეშმარიტად მოწინავე, ყოველგვარი უხამაობის მოძულე, ცხოვრების ჯანსაღ საწყისების მამაცი ამტკველი ქალის ნამდვილად მიმზიდველ სახეს და ამავე დროს ამტკველებს გულთბილობას და სინაზეს“⁴¹.

მარია ლეონას როლი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა მსახიობის რეცელ რეპერტუარში. მის შესრულებას მაღალი შეფასება მისცა პიესის ავტორმავე. პიატინციასაში გაგზავნილი ანდრევეას წერილს (1904 წლის 4 დეკემბერს, ე. ი. პრემიერის მეოთხედ დღეს) მ. გორგიშ მიავსება: „აქ „მოგარაკენი“ გაყილებით უკეთ მიდის (ვიგრე პეტერბურგში, კომისარევიჭკაის თეატრში, ე. გ.). ძალიან, ძალიან კარგია მ. ლ. — მარია ლეონა“⁴².

მარია ლეონას სახის ტრაქტოვკა მრავალმხრივ განსაზღვრავდა რეჟისორის პოზიციას, რომელიც აერთიანებდა დაფუარავ ტენდენციურობას და ადამიანური სიმართლის ძალას. შემთხვევითი არ არის, რომ ერთ-ერთ რეცენზიაში როლის შესრულების დახასიათებისათვის ნაპოვნი იყო ერთობ უხუტი განსაზღვრა: „თამაშობს მონდებით, სულიერი აღმავრენი თ“⁴³, ხაზი ჩემია (ე. გ.).

ამ სულიერი აღმავრენით იყო აღბეჭდილი მეორე, უაღრესად მნიშვნელოვანი სახე პიესისა. ეს გახლდათ მხატვრული სახე ვარაერ მიხილონენასი, რომელსაც სამხატვრო თეატრის ყოფილი მსახიობი მ. როკსანოვა თამაშობდა. რეცენზენტის სიტყვებით, როკსანოვა თამაშობდა „თამაშად და ბრწყინვალე“⁴⁴, გვიჩვენებდა „ნაღვლივი ცხოვრების ჭეშმარიტ ძიებას, და ბოლოს, დამდეგულ წყევლას ყველაფერ იმისას, რაც შეივას სიკვდილსა და ხრწნას „მოგარაკე“ სასოფადობისა“⁴⁵. სცენურ სახეა გასანაში აქ კვლავ იგრძნობა სოციალური აქტუენტი. არა მხოლოდ გმირის შემოვრობა, არა მარტო მისი ძიებანი, არამედ მისი პროტესტის თამაში და ელვარე აღიზნებთქვა, „დამდეგული წყევლა-კრულვა“ შემდებულ ცხოვრებისა და, მამასადამე შინაგანი ძალა, აღმავრენა, უარყოფა. რიგის პრესას სპექტაკლის სწორედ ეს თვისებები ჰქონდა მხედველობაში, როცა წერდა მის უჩვეულო ხასიათზე, იმის

შესახებ, რომ მას არ შეიძლება მიუვდეოთ „საყოველთაოდ მიღებული მთარული სასოზებით“, ვინაიდან მასში ისევე, როგორც გორკის პიესაში, განხორციელდა „მწველი, მძაფრი და მგზნებარე ძიება პასუხისა დროის მრავალ საკვირობოტო კითხვას“⁴⁶. ამ გაზუთის აზრს სრულ სოლიდარობას უხსენებდა კრიტიკოსი ე. პოლივიანოვი და „Прибалтийский край“-ს ფურცლებიდან. კრიტიკოსი შემთხვევით არ ხედავს გორკის პიესის არს იმაში, რომ „იგი თანამედროვე უხამაობის, დოჟდაპიობის და მოშლილობის მოლიან პროტესტის წარმადადენს“⁴⁷, რომ მასში განსაზღვრულად და მკვეთრდაა გაყოფილი სხვადასხვა ძალები: — ერთ მხარეს არიან ისინი, რომლებიც ამანიჯებენ როგორც საკუთარ, ისე სხვების ცხოვრებას, სთესავენ სიცრუესა და სიბნებურეს; მეორე მხარეს კი, — რომელთაც ძალუთ იტენისიური პროტესტის გამოთქმა, მზად არიან რაღაცის შესაქნუნლად, ეგნით, რომ ამგვარად ცხოვრებად ამ შეტრნებებისა და მტკიცედ იცავენ ბრძოლის თავიანთ უფლებებს. როგორც ჩანს, კრიტიკოსის ეს მსჯელობა გაომოდინარებობად იმ შეტრნებებისა და ასოციაციებისაგან, რასაც მარჯანიშვილის სპექტაკლი ბადებდა — სტატია პრემიერის მეხუთე დღეს იყო ამბეჭდილი.

სპექტაკლი „მოგარაკენი“ იმ წლების რუსეთის თეატრალური ცხოვრების მოვლენად იქცა. მის ირგვლე ამტყდარი მითქმა-მოთქმა შორს გახლდა რიგას. მასზე წერდნენ არა მხოლოდ რიგის რუსული გაზეთები, არამედ ლატვიური და გერმანული გაზეთებიც⁴⁸.

ვასაკვირი არ არის, რომ ე. მარჯანიშვილის სპექტაკლის შეფასებისას ზოგჯერ სჭვიოდა შედარების მომენტი კომისარევიჭკაის თეატრის სპექტაკლთან და ეს შედარება სწორად რიგეთა სასარგებლოდ ჟღერდა.

პიატინციასაში გაგზავნილ ა. ანდრევეას წერილის გორკისეულ მინაწერში (რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ) უკვე ნათელია, რომ თვით გორკიც მარჯანიშვილის სპექტაკლს პეტერბურგულ სპექტაკლზე მაღლა აყენებდა. რიგის პრემიერიდან ერთი თვის შემდეგ, ა. დივილიკოსკისაში მინაწერ წერილში მ. გორკი კვლავ დადებითად აფასებს სპექტაკლს: „მოგარაკენი“ სჯანდალთ წაიდა — შე კმაყოფილი ვარ. პიესა ვერაფერი შვილია, მაგრამ რასაც ვემზინებდი, იმს მოვარტყი“⁴⁹.

სოლო გაზეთი „Прибалтийский край“ წერდა: „ჩვენ შეგვაყოობინებს, რომ გორკე კმაყოფილი დარჩა მისი „მოგარაკენის“ შესრულებით ჩვენს თეატრში და მიანიჩა, რომ ანსა მ მ ბ ლ ი ჩ ვ ე ნ თ ა ნ უ ე ე თ ე ს ი ა, ვ ი დ რ ე პ ე ტ რ ა ბ უ რ გ შ ი (ხაზი ჩემია — ე. გ.). ეს გასაგებია, ვინაიდან ამ პიესის მომზადებას უაღრესად დიდი გულისყურით მოვიდინენ“⁵⁰.

ორივე სპექტაკლს აბარებდა აგრეთვე „Петербургский дневник театра“: „რეჟისორ მარჯანიშვილის მიერ პიესა

⁴¹ «Рижский вестник», 22 декабря 1904 г.
⁴² Сб. «М. Ф. Андреева», «Искусство», 1961 г., стр. 70.
⁴³ «Рижские ведомости» 1 декабря 1904 г.
⁴⁴ «Рижские ведомости» 4 декабря 1904 г.
⁴⁵ «Рижские ведомости» 1 декабря 1904 г.
⁴⁶ «Прибалтийский край» 4 декабря 1904 г.
⁴⁷ პიესა და სპექტაკლი ვრლად ვარჩია გაზეთში „Düna Zeitung“-მა.
⁴⁸ М. Горький, Соч. т. 28, стр. 299 (??).
⁴⁹ «Прибалтийский край», 2 декабря 1904 г.

კარგადაა დადგმული როგორც დეკორაციები, ასევე მთლიანად დადგმა გაცილებით საინტერესო, ორიგინალური და მშვენიერი, ვიდრე კომისარჩევკაის თეატრის⁵⁰.

„მოგარაკეთი“ დღმა წარმატებამ რიგის რუსული თეატრის ხელმძღვანელებს სპექტაკლის მოსკოვში ჩვენების სურვილი აღუძრა.

ეს ერთობ თამამი აზრი იყო, მაგრამ მარჯანიშვილი ისე ანთო, როგორც მას მსგავს შემხვედრებში ჩვეულება და ენერგიულად შეუდგა მის განხორციელებას.

რიგაში წარმატებას მისთვის თავებურ არ დაუხვევია, არ წაურთმევია იმ უსარმაზარი პასუხისმგებლობის გრძობა, რომელსაც პირველ რიგში თვით იღებდა თავზე, როცა თეატრი მოსკოვში მიჰყავდა. წინ სერიოზული გამოცდა ელოდა თეატრს. აუცილებელი იყო ბრძოლა მისი მალე დაღინსათვის. „ხელმძღვანელები“ მარჯანიშვილი მუშაობაში ჩაეღო. იგი წინასწარ მიემგზავრება მოსკოვში — წინ უსწრებს დასს და ადრევე ჩაქვს დეკორაციების თვით უმცირესი წერილობა-ნების კი. მისთვის აღმასასიათებელი გულმოდგინებით და პასუხისმგებლობის გრძობით მუშაობს სპექტაკლის მონატაჟზე, ხოლო შემდეგ დასის ჩამოსვლისთანავე, მსახიობებთან და სპექტაკლზე. მას ესმის: ახალი გარემოცვა მოითხოვს ტექსტის არა მექანიკურ გამეორებას, არამედ „შინაგან განახლებას“. დიდი ხნის მერე თავის მემუარებში იგი იგონებდა ამ დღეებს, მსახიობებისათვის კარგად ცნობილ და მათ მიერ კარგად დამუშავებულ პიესის რეპტიციებს, უძლიერ გატარებულ დამეებს, იმ გრანდიოზულ წარმატებას (რამაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა), რომელიც სპექტაკლს მოსკოვში ხვდა.

მოსკოვში სცნო მარჯანიშვილი. სცნეს იგი სტანისლავსკიმ, ნემიროვიჩ-დანჩენკომ, სუბმათაშვილ-იუენმა და მოსკოვის სახე თეატსაჩინო თეატრალურმა მოვლევებმა. უმჯობესა: მარჯანიშვილის ეს პირველი შესვენება სტანისლავსკისთან და ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან სერიოზული საფუძველი იყო იმისათვის, რომ შემდგომ იგი მოსკოვის სამხატვრო თეატრში რეჟისორად მიეწვიათ. სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელების გამოცდილ მხერას ამ შემოქმედა ამ შემქმნია რეჟისორის ხელწერაში, სპექტაკლ „მოგარაკეთი“ რაღაც ნათესაურის საკუთარ რწმენის და პრიციპებისა, თეატრზე შეფუძნებათა ერთიანობა, მსგავსება არა მხოლოდ მსახიობთან მუშაობის მეთოდებში, არამედ პიესის იდეის ძიებისა და გახსნის ტუტებშიც.

ამ წლებში მარჯანიშვილს კიდევ ერთხელ მოუხდა გორკის დრამატურგიასთან შესხედრა; 1906 წლის ზაფხულში მან დასტავა რიგა და დროებით სარატოვში გადავიდა. აქ განახორციელა მან გორკის პიესა „პარზალოსები“.

გ. მარჯანიშვილისათვის ძნელი იყო გორკისთან და მის დრამატურგიასთან განმორება. მას ესმოდა: შეეცავლა დრო, გარემოება, რეჟოლუციის ტალა თანდათანობით ცხრებოდა. გორკის ნაწამოებებს უფრო მეტის სიმკაცრით კრძალავდნენ, ვიდრე ადრე. სამხატვრო თეატრი უკვე აღარ დგამდა მის პიე-

სებს. გ. მარჯანიშვილი რისხვე მიდიოდა. გაბეჭდულება და შემართების წყურვილი ყველაფერს სძლედა მასში.

ყოველგვარი სინთლის მიუხედავად მან დადგა „პარზალოსები“. არცა გასაკვირი, რომ პრესამ არ მიიღო სპექტაკლი, ანუ უფრო უხტად, მოიწვიანა მისი მნიშვნელობის დამცინება, არა იმიტომ, რომ პიესა ვერ გაიგო ან თვით სპექტაკლი სუსტი გამოვიდა. გახუტების გამომხურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პიესა სასენებო წორად გაგეთო რეცენზენტებს. სარატოვის გახუტი „Привольский край“ ახალირებდა პიესას, მის შინაარსს და წერდა, რომ „მსგავსად ისტორიული პარზალოსებისა (გულისხმობდნენ პიესის შთავარებების — ჩერკუნსა და დიკანოვს — ე. გ.) ისინი თავს დაატყდნენ მშვიდობიან, მყარ ცხოვრებას, დაანგრეს იგი, მაგრამ მის ნანგრევებზე ახალი არაფერი შეუქმნიათ“⁵¹. გახუტი, რომელსაც თუმც სწორად შეუნიშნავს პიესის კონფლიქტის არსი, მანაც ცდილობდა მკითხველისა და მაყურებლის ყურადღება ჩამოეცილებინა ყველაზე მძაფრი და სოციალურად მნიშვნელოვანი საკითხისადმი. რეცენზენტი ამტკიცებდა, რომ პიესა დაწერილია შალლორურად და მკრთალად და საკმაოდ უცნაურ დასკვნას აკეთებდა, რომ გორკიმ თავის პიესაში გამოხატა მოსაწყენი, ჩაფრთხილი და უსიხარულო ცხოვრება, ხოლო „ჩვენ დროში — დიდი გმირების და დიდ ტრაგეციის დროში — ცხოვრების ამგვარი ატქესაცია როგორღაც ანაქრონიზმია...“⁵².

ძნელია, რასაკვირველია, თვით გორკის პიესის ამგვარი „ატქესაციის“ წინააღმდეგ კამათი. ამ სტრიქონების ავტორს მხედველობის არღან სასენებით ეპარება აზრი გორკის პიესების მებრძოლ, შემტევე პათოსზე და ამით შეფასებამი აშკარა ტენდენციურობის ამცადებელი.

გ. მარჯანიშვილის მუშაობა გორკის დრამატურგიაზე პირველი რუსული რეჟოლუციის პერიოდში, სახელდობრ მის მიერ დადგმული პიესა „მოგარაკეთი“ ერთ-ერთი გამოხატულება იყო ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში ჩასახულ ახალ სოციალურ კულტურასთან ეპოქის მოწინავე დამაინების დაახლოვების რთული პროცესისა. ამ კულტურის პირველმა ყლორტებმა გორკის შემოქმედებაში იხარა. გორკისადმი — სოციალისტური რეალიზმის ხელუწების ამ ფუძემდებლისაკენ მისიწრაფოდა ყოველივე პროგრესული, რაც არსებობდა და მის ირგვლივ ირახმებოდა. გ. მარჯანიშვილი ამ პროგრესულ ძალთა შორის აღმოჩნდა. მიიქტურად მიუახლოვდა იმას, რამაც თავისუფალი სოციალისტური საზოგადოების მომავალ კულტურას ჩაუყარა საფუძველი.

რიგის თეატრში „მოგარაკეთის“ დადგმას უშუალო კავშირი ჰქონდა ლატვიის ეროვნული ხელუწების ჩამოყალიბების პროცესთან, ხოლო გორკის და მარჯანიშვილის ლატვიის ეროვნული თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითი თანამეგობრობა ერთგვარად განასახიერებდა პირველ ყლორტებს იმ ურთიერთშეგავლენას, რომელიც საბჭოთა ეპოქაში მრავალ-ეროვნული სოციალისტური კულტურის განვითარების ერთ-ერთ ძირითად კანონზომიერებად იქცა.

⁵⁰ «Песербургский дневник театра» № 49, 1904 г. стр. 5.

⁵¹ «Привольский край», 21 июля. 1906 г.
⁵² იქვე.



ოღღა

ქუხენიძე

დოდო ზურაბაშვილი



ლბათ, საქართველოს სიმშვენიერემ მიიზიდა გერმანელი ქალის ნინო შენროკისა და ვლადიმერ კუზნეცოვის მამა-პაპანი. აქ დაიდეს ბინა, ისე შეისისხლხორცეს ქართული ენა, ზნეჩვეულებანი, ხასიათი რომ მათთვისაც გამოცანად იქცა — რუსთა დიდ ქარვასლას გეგუთენოდნენ, თუ ქართველთა პატარა ოღღა.

ნინომ ორმოცი წელიწადი თბილისის საბურო თეატრში თავდადებულად იმუშავა. მისი გოგონა — ერთი ციცქნა ოღღა დღენიადაც კულისებში დაძვრე-

ბოდა. ცნობისმოყვარეობით შეჭყურებდა მსახიობთა შემოქმედებას, სცენამ იმთავითვე გაიტაცა. მომღერლის კარიერაზე ოცნებობდა...

ოღღა კუზნეცოვა ხშირად ხუმრობს: „ჯერ არ დაგბადებულყავი, რომ ოპერის ჭერქვეშ ვსუნთქავდიო“...

აღრე, ბავშვობაში აღფრთოვანება მოუტანა პატარა აღის როლმა (დარგომისკის „ალი“). მალე ხმაც აღმოაჩნდა, ტოლებში ჩადგებოდა, გატაცებით მღეროდა და წკრიალა ხმით ყველას ხიზლავდა. პატარა ოღღას ხმას ყურადღება

მიატყია ვოკალისტმა ელ. ტატიშვილმა, სტუდიაში მიიყვანა და მსმენელად ჩარიცხა. სტუდიის დამთავრების შემდეგ სწავლას განაგრძობს ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, პროფესორ ს. ინაშვილის კლასში. მაგრამ სახელოვანი მომღერალი ავადმყოფობის გამო სადღესამდე შესცვალა. გულისხმიერი და ყურადღებიანი პედაგოგი სადღესამდე ენერჯიასა და გამოცდილებას არ ზოგავდა, მომავალ მომღერალს ფრთხილად უნერგავდა ვოკალური ხელოვნების ჩვევებს.

კვებ სტუდენტობის წლებში ოღღა კუზნეცოვამ იშვიათი ვოკალური მონაცემებით, მუსიკალობით, ფაქიზი განცდის უნარით მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ხშირად გამოდიოდა სტუდენტურ საღამო-კონცერტებზე, თვალსაჩინო იყო მისი ზრდა, პროფესიული დაისტატება, გამომსახველობითი საშუალებების გამდიდრება. კონსერვატორიაში შეისწავლა რამდენიმე საბურო პარტია, რომელთა შორის



მარო („დაისი“)

განსაკუთრებით შეიყვარა ტატიანას (ჩაიკოვსკის „ვევინი ონეგინი“) პარტია.

1956 წელი, 3 იანვარი. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ჩაიკოვსკის „ვევინი ონეგინის“ მორიგი სპექტაკლი მიდის... ტატიანას პარტიას ასრულებს ახალგაზრდა მომღერალი ო. კუხნიცოვა. ეს საღამო მისი დებიუტი გახლდათ. მომღერალმა ღრმად განიცადა საყვარელი გმირის სევდა და სიხარული. თითქოს საკუთარ თავზე გადაიტანა ტატიანას განცდები, მის ხალხსა და მგრძნობიარე სამყაროს შევისისწორდა, მსუბუქი და გამომსახველი სიმღერით მაყურებელთა მხურვალე ოვაციები დაიმსახურა.

დაიწყო თავდაზოგავი მუშაობის წლები... ახალი საოპერო პარტიების შესწავლა, რეპერტუარის გაფართოება, მხატვრული ინდივიდუალობის თანდათანობით ჩამოყალიბება.

საოპერო სცენაზე მოღვაწეობის პირველივე წელი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. წარმატებით იმღერა ზემფირა

(რსბანიშვიტის „ალეკო“), გატაცებით შეუდგა ბატერფლაის ურთულესი პარტიის შესწავლას, რომელმაც მალე წარმატება მოუტანა. საყოველთაოდ ცნობილია პუჩინის ვოკალური სტილის სირთულე. მხოლოდ მაღალი პროფესიული ოსტატობით, ჭეშმარიტი არტისტული ბუნებით დაკვიდრებულ მსახიობს შესწევს ბატერფლაის გრძნობათა სამყაროს დამაჯერებლად წარმოსახვა. ამ პარტიით ო. კუხნიცოვამ ცხადყო თავსაჩინო ვოკალური და აქტიური მონაცემები.

1957 წელს ოლღა კუხნიცოვა ახალი პარტიებით წარსდგა მაყურებელთა წინაშე. მიქელა (ბიზეს „კარმენი“) და მარგარიტა (გუნოს „ფაუსტი“) ო. კუხნიცოვას შემოქმედებით ბიოგრაფიაში ახალ წარმატებებზე მიგვანინებენ.

1958 წლის სეზონში საოპერო თეატრის კოლექტივი ემზადებოდა ქართული ხელოვნების დეკადისათვის, რომელიც მოსკოვში უნდა ჩატარებულიყო. თეატრში მზადდებოდა კომპოზიტორ ალ. ბუკიას ოპერა „არსენა“ და თორაძის ოპე-

რა „ჩრდილოეთის პატარძალი“. ოლღა კუხნიცოვა ჩვეული გატაცებით შეუდგა მუშაობას. მის წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა იდგა: ერთის მხრივ, უნდა გამოეცადა თავის შესაძლებლობები თანამედროვე ქართულ საოპერო ხელოვნებაში, ხოლო, მეორეს მხრივ, დაეცვა ეროვნული კულტურის ღირსება მოსკოვში. განსაკუთრებული მოწონება ხვდა კუხნიცოვას მიერ შთაგონებით განსახიერებულ ნინო ჭაჭავაძეს („ჩრდილოეთის პატარძალი“). მომღერალმა წარმოსახა ქალური კდემამოსილებითა და კეთილშობილებით აღსავსე ქართული ქალის პორტრეტი. დიდი ადამიანური სითბო, სისპეტაკე და განცდათა სიღრმე. იშვიათი ვოკალური გამომსახველობა ცხოველმყოფელს ხდიდა ამ სახეს. ალბათ ამიტომ კომპოზიტორმა ნინოს პარტია ოლღას უძღვნა.

ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი“ ქართული და რუსი ხალხის მეგობრობას უმღერის. მოსკოვის აუდიტორიამ მაღალი შეფასება მისცა ამ ნაწარმოებს. დეკადის წარმატების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ოლღა კუხნიცოვაც გახლდათ. ამის დასტურები იყო მისი დაკვიდრება „საბატიო ნინოს“ ორენით.

ახალგაზრდა მომღერლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თანამედროვე ჩემი კომპოზიტორის სუსონის ოპერა „კრუტინიას“. მარკას პარტიამ — რეიტატივერ-დეკლამაციური სტილის დაუფლებამ შეაზიარა მომღერალი თანამედროვე ვოკალურ გამომსახველობასთან.

ამავე წელს მომღერალმა შეასრულა ოლღას (დარგომიშვიტის „ალო“) და ნენდას („კამაზუზი“) პარტიები. „კამაზუზი“ ო. კუხნიცოვა სრულიად ახალი მხატვრული ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. მას უნდა განესახიერებია თავისუფლებისმოყვარე გმირის სახე. მართლაც, მომღერალმა ნიშნულზედ შეათავსა ლირიზმი და სიღალღე, — ქალურ სინაზესთან და გრაციოზულობასთან. თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულმა ცნობილმა უნერვალმა მომღერალმა ნიკოლაი პერელამ, რომელიც ო. კუხნიცოვასთან ერთად მღეროდა „კამაზუზი“, აღტაცება გასმისთქვა.

ოლღა კუხნიცოვას რეპერტუარში



ხელა („ჯამბაზები“)



ბატრელი („ჩიო-ჩიო-სახი“)

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართულ საოპერო ხელოვნებას. იგი მაროს („დაისი“) პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო შემსრულებელია. მომხიბველი ლირიზმით და განცდათა უშუალობით, თავისუფალი და ემოციური სიმღერით ოლ. კუზნეცოვა ქმნის მაროს მიმზიდველ სახეს. განსაკუთრებული შთამბეჭდაობით ჟღერს ფინალური არია — მაროს ტირილი, რომელიც ქართული საოპერო მუსიკის ერთ-ერთი რთული და მაღალმხატვრული ნიმუშია. ოლ. კუზნეცოვა ითვლება მზიას (ოთ. თაქთაქიშვილის „მინდა“) ერთ-ერთ საუკეთესო ინტერპრეტატორად. თვალსაჩინო ადგილი ეთმობა აგრეთვე ლერწამისას (არ. კერესელიძის „ბამი-არჯი“) მხატვრულ სახეს.

განსაკუთრებული გატაცებით მუშაობდა მომღერალი შორენას (შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“) პარტიის შესწავლისას. მან წარმოსახა გმირის თვითმყოფადი სახე. ოლდა კუზნეცოვას შოაგონებული ხელოვნებით აღტაცებუ-

ლი კომპოზიტორი შ. მშველიძე ავტორგრაფში წერს: „ჩემს პირველსა და ერთ-ერთ საუკეთესო შორენას!“. ავტორის აზრით, კუზნეცოვა შესანიშნავი თინათინია მისსავე ოპერაში „ამბავი ტარიელისა“.

ო. კუზნეცოვას მხატვრული ინტერესების სფერო მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი გატაცებით სწავლობს სხვადასხვა კომპოზიტორების ოპერებს, ცდილობს ჩასწვდეს ვოკალური სტილის თავისებურებებს. პროფესიული ოსტატობის შედეგია, რომ იგი ყოველთვის შემოქმედებით ფორმაში იმყოფება. ყოველი ახალი პარტია მისი წინსვლისა და წარმატების ნათელი მაგალითია. ნიმუშად მოვიყვანთ ორ ძალზე განსხვავებულსა და რთულ საოპერო პარტიას: სოფიო ტკაჩენკო (პროკოფიევის „სემიონ კოტკო“) და დონა ელვირა (მოცარტის „დონ-ჟუანი“). თანამედროვე და კლასიკური საოპერო შემქმედრების ეს ორი ურთულესი ქმნილება ო. კუზნეცოვამ წარმატებით დასძლია, თვალსაჩინო

გახდა მომღერლის ვოკალური და აქტიური ბუნების ფართო დიაპაზონი.

ასევე მდიდარია ო. კუზნეცოვას კამერული რეპერტუარი. მაღალი პროფესიონალიზმით, იშვიათი სილამაზის ვოკალური მონაცემებით, გულწრფელი და ღრმა განცდით იგი მუდამ მხატვრულ სიაზონებას ჰკვირს მსმენელს.

მომღერლის შოაგონებულ შემოქმედებას კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში; ბევრი თაყვანისცემელი ჰყავს მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, ერევანში, ბაქოსა და კიევიში.

მის ნიჭსა და წარმატებებზე ხშირად იწყურება პრესაში. მომღერლის შემოქმედებით გამარჯვებებზე მოგვიხიბობენ მრავალრიცხოვანი რეცენზიები, წერილები, ავტორგრაფები. ამასვე ადასტურებს ახლახანს მინიჭებული საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

ოლდა კუზნეცოვა შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდია. ეჭვარგუნეა, რომ იგი კვლავაც მრავალჯერ გააზარებს მსმენელს ახალ-ახალი გამარჯვებით.

დიდი ქარხნის თვიომოქმედება

თამარ გომარტელი



ქვენი ქალაქის უხუცესი საწარმოს, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კლუბი დაარსების პირველი დღეებიდანვე მუშათა კლასის ინტერნაციონალური აღზრდის ნაწიელი კერაა. აქ ერთმანეთის მხარდამხარ შრომობდნენ და ჩვენი ნათელი დღევიან-დღელოებისათვის იბრძოდნენ ქართველი და რუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი, უკრაინელი და მრავალი სხვა ხალხის შვილები. მამათა ეს სასახელო ტრადიცია უფრო განმტკიცდა რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ერთობლივ ბრძოლაში.

1901 წელს რკინიგზის მთავარი სახელისნის რევოლუციურად განწყობილმა მუშებმა ფარულად ფული შეაგროვეს და ნაძალადეგში სოციალ-დემოკრატიული ბიბლიოთეკა შექმნეს. ქართველი ერის დიდი მოჭრინახულე ილია ჭავჭავაძე გახარებული შეზდა ამ მოვლენას, გახსნის ცერემონიალზე მამლიურების აღსასვე სიტყვა წარმოთქვა და ოქროს თუმანიანი შესწავლა.

დღეს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანასთან არსებული საქალაქო ბიბლიოთეკა ერთ-ერთი მოწინავეა და ყოველდღიურად ორასამდე მკითხველს ემსახურება. თუ დარასობდნენ 300 წიგნს თითვლიდა, ახლა 40 ათასს აღემატება მისი რაოდენობა. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოების გვერდით აქ ნახავთ რკინიგზული მუშების ლექსების, სიმღერებისა და მოხატობების კრებულს, აქვეა დაწული დიდი ილიას ნაწუქარი წიგნები...

დავუბნო აქ 3 ათასზე მეტი ახალი წიგნი შეიძინეს. ფონდში დაცულია იშვიათი და უნიკალური ლიტერატურა. ბევრი მათგანი წარმოდგენილია ახლახან გახსნილ გამოფენაზე, რომელიც მიქილდნა დიდი ოქტომბრის სახელოვან იუბილეს გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი X XIII ყრილობის მასალები, ნოემბრისა და იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებები. სამი სტენდი დაეთმო გენიალური ბელადის ი. ო. ლენინის ცხოვრებისა და საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის ისტორიულ ოქმებს.

ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს არა მარტო ორთქლმავალ ვაგონშემკეთებელ ქარხანას, არამედ ლენინის რაიონის მშრომლებსაც. მუდმივ მკითხველთა შორის არიან პრობანდისტები, ლექტორები, ავტობიოგრაფი, ინჟინერი, მოსწავლე ახლავარდობა. თავისი აქტივის უშუალო მონაწილეობით ქარხნის პლაქატებში ეწყობა ხმამაღლა კითხვა, ლიტერატურული დღეები, ახალი მხატვრული ნაწარმოებებისა და ფილმების გარჩევები და ა. შ.

აქტივის ზოგიერთი წევრისათვის ბიბლიოთეკაში საქმიანობა მთრე პროფესიადა იქცა. რკინიგზის ცენტრალური პოლიკლინიკის უფროსი ექთანი თამარ დოლიძე 25 წელია აქტიური მკითხველია, ბიბლიოთეკის საბჭოს თავმჯდომარეა და აქ ჩამოყალიბებული 19 მოძრავი ბიბლიოთეკიდან ერთერთს განავალს.

დღე დარბაზს ამშვენებს კედლის გაზეთი „მკითხველის ხმა“, რომლის პირი ბიბლიოთეკის საბჭომ გაუწვავა ქ. შხუბინის პლასკინის სახელობის ბიბლიოთეკას, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა აქვს.

ასევე კეთილი სურვილებით არის დაკავშირებული ქარხნის ბიბლიოთეკასთან პოლენური პოეტკ თადეუშ რუცივიცი. იგი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელსაც ომმა სიბატუვე წარათვა. მან ბიბლიოთეკას ახლახან სარეკლამ გამოუწვავა თავისი ლექსების კრებული. ეს წიგნი ყურადღების იკრებს მაღალი ლენინიზმით და მისი მრისხანე ტონი მიმართულია ომის გამამარტლების წინააღმდეგ.

აქ თვითუღწევი წიგნს სათუთად ველოან. იშვიათია შემთხვევა, რომ არ მოიხანოს მკითხველის სასურველი ლიტერატურა და სწორედ ამისათვის პირველადი მკითხველის ცენტრალურმა საბჭომ ბიბლიოთეკა დააკვირდოვა საპატიო სივლითი.

დღეს საბჭოთა წევრისა მ. გორკის მოვლების თანამად, ცნობილმა მწერლებმა: გიორგი ლეონიძემ, დენმა შენგელაიამ, სიმონ წყვარავამ და სხვებმა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანასთან საფუძველი ჩაუყარეს პირველ ლიტერატურულ წრეს, რომელშიც გაერთიანდნენ მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებული საწარმოს მუშა-მოსამსახურებელი, მათი ოჯახის წევრები და მოსწავლეები...

წრის ერთ-ერთი წევრი ამირან ადამაშვილი იკრებს: მიხეილ ჯავახიშვილის პირველად ჩვენ, მუშებს წავაგვიხანა თავისი „არენა მარადელი“.

მის შემდეგ სამ ათეულ წლებზე მეტი გავიდა, მაგრამ წრის როლი შეუწყვეტია საინტერესო შემოქმედებით ცხოვრება. მისი მხარის სტუმრები იყვნენ გულაკორნი ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, სიმონ ჩიჭოვანი. 1930 წელს კლუბთან არსებული ბიბლიოთეკის გამგის ფ. ჭოლოყავას ინიციატივით ლიტერატურული წრე გადაიტანეს კლუბის ბიბლიოთეკაში, რათა მასში გაერთიანებულიყვნენ როგორც ქარხნის, ისე ამიერკავკასიის რკინიგზის სხვა საწარმო-დაწესებულებათა მუშები და ოჯახის წევრები.

ჯერ კიდევ 1965 წელს, ლიტერატურულმა წრემ და კლუბის ბიბლიოთეკამ გიორგი ლეონიძის მოღვაწეობის 25 წლისთავი გადაუხადეს... აქვე მოიწყო გადაიტანის ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილისა და სხვათა შემოქმედებით საბაშობი. შხხვერდა მოუწყვეს მწერალ აკადემიკოს კონსტანტინე გამსხურდას.

სხვადასხვა დროს წრეს ხელმძღვანელობდნენ გ. ლეონიძე, ს. წყვარავანი, ვ. ვარტაძე, ამგანად წრის ხელმძღვანელია გ. გორგანელი. აქ გაერთიანებულია ოცზე მეტი დამწყები ავტორი. მის აქტიურ წევრებად ითვლებიან ქარხნის ახლემდე მწერლები, პოეტები და მუშა კორესპონდენტი — ო. გახარაია, მ. სარჯველაძე, რ. ჯამაშვილი, ზ. ჯაფარიძე, ჯ. ტეიშვილი, ჯ. სარჯველაძე, ზ. მემანშვილი, ზ. ანათური, ჯ. კარისლიძე, თ. დოლიძე და სხვები.

ხშირად ეწყობა დისკუსიები, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები მოწინავე ქართველ მწერლებთან, წარმოების ნოვატორებთან, დამწყებ ავტორთა ნაწარმოებების კითხვა-განხილვა.

ლიტერატურის მოყვარულთა შეკადინობა იმართება როგორც ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, ისევე ლენინის რაიონის სხვა წარმოებში. სათანადოდ შემუშავებული პროგრამის მიხედვით კვირაში ერთხელ ხდება დამწყებ

აჭკრთა ნაწარმოებების განხილვა, რის შედეგად ახალბე-
დნი იძინენ ლექსის წერის ტექნიკურ ჩვევებს, იმუშავენ
მხატვრული აზროვნების უნარს.

ახლანდ გამოვიდა ხელნაწერი ალმანახი „ჩინი სამშობ-
ლზე“ და გახუთი „ლიტერატურული ფურცლები“, რომლებშიც
იბეჭდება ჩვენი დიდი სამშობლოს ზრდისა და წინსვლის,
სამკობა ადამიანის შრომისა და ცხოვრების მასხველი ლექ-
სები, პოემები, მოთხრობები.

ალმანახის ფურცლებზე მკითხველს შესაძლებლობა ეძ-
ლევა გაეცნოს ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ჯარბნის
სიარული სამშობლოს ო. გვახარიას შემოქმედებას, აქვეა მო-
თხრობები ვ. ი. ლუბინის სახელობის ელმავალ-სამშენებლო
ჯარბნის ინჟინრის ე. კაზაროვის მოთხრობები, იუმორისტული
ნაწარმოებები და ახალგაზრდა პოეტების ლ. ჭავჭავაძის,
ტ. დობინასა და სხვათა ლექსები.

რეიონული შრომის სიყვარულითა და დიდი პატივის-
მცემი სიბრძნისა ავტორები თანაგრძობენ დღევანდელ მისი ინი-
ციაციებით ხშირად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, ახა-
ლი ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვა-განხილვა. იგი
აჭკრედ მონაწილეობს წრის შემადგენში. შექმნილია სამ-
ქრის მონივნად ხარტა აქტიური მუშა-კორესპონდენტი
ვ. გვახარია თავის მდღიარ გამოცდილებას გაუთიხის საშუა-
ლებით უზარტებს მთელ კოლექტივს. ვ. გვახარია 1959
წლიდან „ზარია ვოსტოკას“ მუშა-კორესპონდენტთა საბჭოს
წევრია. მისი წერილები იბეჭდება გახუთ „რეიონულის
ფურცლებზე“, ხოლო ლექსი „ნოვატორი მჭადელი კონსტან-
ტინე ილურიკი“ უხერულ ენაზე ითარგმნა და ხალხურარტე
რადიოთი გადაიკა.

ლიტერატურის მოყვარულმა ვ. ნაზარბეგვამ გამოაქვეყ-
ნა წიგნი „ქარბნის გმირული შრომის დღეები“, რომელშიც
ასახულია მონივნად მუშების სახელოვანი საქმეები.

ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ჯარბანში ზვიტი ქვეყნის
ბეგრ ამართილი მოღვაწის უშუაგვლა, მათ შორის მ. გორ-
ის. ამბობენ წრემ ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელ საწარ-
მოს ბიბლიოთეკასთან ერთად მოაწყო მ. გორკის ლიტერატუ-
რული მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამო.

ქარბნის საერთო საცხოვრებლო აღნიშნეს დიდი ინდო-
ელი მწერლის რაბინდრანათ თაგორის დაბადების ასიწლის-
თავი. საწარმოს ორთქმავალების ამწყობ სამაქროში ვი გაი-
მართა უკრანელი ხალხის სახელოვანი შილოს ტარას შვე-
ჩენკის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი დღია.

ქარბნის წიფთი კუთხეში გაიმართა ლიტერატურული
დღია თემაზე: „შხვიდობა — ხალთა ოყენბა და სისარ-
ლია“. მიუყურო მკითხველთა კონფერენცია „ვალდებო-
რლიას თე ლუბინის სახე მხატვრულ ლიტერატურაში“.

თავის არსებობის მანძილზე წრეს ერთხელაქამ შეუყ-
ვეტია მუშობა. სამაშელო ობის დღეებში მისი წევრები აქ-
ტიურად გამოდიოდნენ მებრძოლების წინაშე და ათაფრო-
ვანებდნენ მხატვრული სიტყვით, მართადადნენ ლიტერატურულ
საღამოებს ჰოსპიტალიში. წრის წევრებმა — ვ. ნაზარბეგვამ,
გ. ტაბიძემ და თ. დოლიძემ დაწერეს სამშობლოს სიყვარუ-
ლით აღსავსე ლექსები და მოთხრობები, რომლებიც მებრძო-
ლებს სამშობლოს გამარჯვებისათვის ბრძოლისაქენ მოუწო-
დებდნენ.

წრის წევრების დახმარებით ბიბლიოთეკამ მკითხველებ-
ში შეატარა ორთაასამდე პოეტურარტე და მხატვრული
ლიტერატურა და გაუგზავნა ყამირ მიწებზე წასულ ახალ-
გაზრდობას.

ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ჯარბნის ბიბლიოთეკას-
ში არსებული ლიტერატურული წრე კვლავ ვანაგრძობს კარგ
ტრადიციებს, მუშა-მოსამსახრეთა შორის სულ უფრო მტკაღ-
ნერგავს ლიტერატურის სიყვარულს...

სახელოვანი წარსულისა და ტრადიციების მქონე მუშათა
კულტურის სახეში მერთქმაველები და მებრძოლები,
ჩარბმშენებლები და მკეთაგები ვაითანებულე იარან სხვა-
დასხვა მხატვრულ თვითმობილებში.

კულტურის საღის კინოდარბაში თავი მოყურათ კინო-
მოყვარულ მუშა-მოსამსახრეებს, ღელავენ. დაწყო მოყვა-
რულთა მიერ შექმნილი ფერადი ფილმის „ათას მზეზე უძლი-
ერესის“ გაჩვენვა. (რევისორი, ტ. ტყემლავალი). ფილმი
მკურეულებს მოუწოდებს მშვიდობისათვის საბრძოლველად,
ნამში კარგად არის გამოყენებული იაბონელი კომპოზიტორე-
ბის მუსიკა. მოსოვის კინომოყვარულთა საყავშირო დთავა-
ლიერებზე ფილმია „ათას მზეზე უძლიერესნი“ უმაღლესი
კილოდ — პირველი ხარისხის დიპლომი დაიხმობატარა და
კინემატოგრაფისტთა კავშირის პრემია მიიღო.

ოცი ენთუზიასტი მთელ თავისუფალ დროს ახმარს საყვა-
რულ ხელოვნებას, ოპერატორივცა და რეჟისორიც, მხატვრული
და მსანიობიც. ამგვად კინომოყვარულთა წრეს ხელმძღვანე-
ლებლს თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტე
დავით ჩახელიძე, რომელმაც ახლანდ გადაიღო დოკუმენტურ-
ი ფილმი ლუბინის რაიონის წარსულისა და აწყოფის შესახებ.

„ქალაქის ცეცხლგაფრთხილი“ — ასე ეწოდება ახლანდ სამ-
ნაწილიანი ფილმი, რომელმაც საფუძვლად დაედვა პირველი
გაფიციების მონაწილეთა ნაამბობი. კინოსურათი მოვიდინ-
როს, თუ როგორ იმვა გმირული წარსულიდან ბედნიერი
აწყო.

ფილმში ასახულია აგრეთვე საქართველოს მუშების პირ-
ველი ორგანიზებული გაფიცვა; თბილისის პროლეტარიატის
საბარიაკეო ბრძოლები 1905 წელს, ამ ბრძოლების მსხვერპ-
ლთა დაკრძალვა, რაც გადაიკა უდიდეს სამარტრეტო დე-
მონსტრაციად მეფის თვითმკურთხელობის წინააღმდეგ.

ეგრანზე ნაყენებია ნაცნობი სახეები, ჭარბანა თავისი
დიდი და ფართო სამაქროებით...

აღტკავილი უხერებელი აღმადინება, ოფთი დღეგრული
მუშითი ცეცხლს რთებ ბრძანება, რიგნასა და ფოლად ადგირები
და აწრთობენ, სასურველ ფორმასა და სახეს აძლევენ. აქ
აღმადინე მებრძანებელთა, მას ყველაფერი ემორჩილება.

ფილმში დიდი ადგილი აქვს ადამიბილი ლუბინის რაი-
ონის დღევანდელ დღეს — ახალშენებს, მსხველ წარსობებს,
მონივნავე აღმადინებს.

კლებს კინომოყვარულებმა წრის ხელმძღვანელთან ერ-
თად გამოიყენეს ასობით უნიკალური ფირი, არქივში დაცული
ფოტოსურათები. კინომოყვარულებმა ფილმი მომძღვენეს დიდი
ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. ამ
კინოსურათმა საყავშირო ფესვებიც მესამე ხარისხის დიპ-
ლომი და მედლი დაიმსახურა. ქართული სიმღერები „კა-
ვროლი“, „ბერიკა ვარა“ და „მრავალმიბერი“ ერთ-ერთი
ურთულესი პოლიფონიური ხალხური მწილობრია და მათი
დაძლევა ყველას როდი ძალძუს. პენსიონერთა ქართუ-
ხალხური სიმღერების გუნდის მიერ ამ სიმღერების შესრუ-
ლებამ დაწვდილა უტოლდება პროფესიულ დონეს. მომღერ-
ლებმა ბერიკაკები იარან, მაგარამ ახალგაზრდებს როდი რა-
მორტებანა შესრულების ოსტატობით. გუნდის თვითეულ
წევრს 75 წელზე ნაკლები როდი აწვეს მბრებზე და თვითეულს
კარგად ასობს ძველ ნაძალადეგო მფეის ვანდარშე-
რიასთან შეჯახების დროს აღმართული ხარკაცები, უთანას-
წირო ბრძოლაში მარცხი და რვაჯერის ზარები, მენშევიკების
რბევა და თარეში. ლაღად მღერიან გუნდში მოხუციები. გოლ-
ნი კი შემობნახული აქვთ სლონა იმისა, თუ ამ უძველესი ტრადი-
ციების მქონე მუშათა კლებში, ქართული რევოლუციონერე-
ბემა თავიანთ კაცთმოყვარულ მისრატებებს როგორ ურ-
თებდნენ მსოფლიოში აღიარებულ „მარსელიოსის“ შესანიშნე-
ნავ კანტებს.



პლენარეის სახელობის კლუბში მისი დარსების დღი-დანვე მოღვაწეობის მომღერალთა გუნდი, რომელთაც ვასო კობახიძე და მიხეილ კავსაძე ხელმძღვანელობდნენ. ამ გუნდში აღიზარდნენ ქეთო ლომოძეები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჭავჭავაძე. აქ მღეროდნენ ნიკოლოზ მოსაძეონი და ილია ბაკაური.

გუნდში ვაგრობისთვის იყვნენ ძირითადად ორქულმა-ვალ ვაგრობისთვის კარხნის მუშა-მოსამსახურეები და მათი შვილები.

1928 წელს ჩატარებულ ქართულ ხალხურ შემოქმედებით ოლიმპიადაზე წარმატებით გამოვიდა პლენარეის სახელობის კავშირის მომღერალთა გუნდი მიხეილ კავსაძის ხელმძღვანელობით. უნდა ითქვას, რომ ეს გუნდი ერთ-ერთი მოწინავე იყო ჩვენს დღეისათვის.

1937 წელს საქართველოში ჩატარებულ თვითმომქმედი კოლექტივების რესპუბლიკურ დათავისებურებაზე ჭარხნის გუნდს პირველი ადგილი მიიპოვა. გუნდს ხელმძღვანელობდა დათავა კავსაძე, ლიტბარობდა ბიჭიკო გველესიანი და პირველი მწიგნურე ქალთა ანსამბლის ხელმძღვანელი აკესტრი მჭერტყედი.

გამარჯვებული გუნდი 1938 წელს მოსკოვში მიწვევის რეზიზის მხატვრული თვითმომქმედი კოლექტივების დათავისებურებაზე, რომელშიც მონაწილეობას აღებულობდნენ საბჭოთა კავშირის რეზიზის თვითმომქმედი გუნდები და წრეები ეს დათავისებურება დაემთხვა ღირსშესანიშნავ თარიღს, რევიზიზის დასრულება.

გუნდმა პირველი ადგილი მიიპოვა. მისი ყველა წევრი დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით და პირველი ხარისხის დიპლომით.

დიდ გამარჯვებას მიაღწია გუნდმა ბაქოშიც — ამირკავსაძის სახარ დათავისებურებაზე.

ლაღო კავსაძის ხელმძღვანელობის პერიოდში თვითმომქმედი წამყვანი სოლისტად ითვლებოდა. ლაღოს წყალის შემდეგ ეს ხელმძღვანელობა ბიჭიკო გველესიანსა და თვითმომქმედი დადგინა. შემდეგ პერიოდში გუნდს ქეთო ლომოძეები ჩაუდგა სათავეში, 1962 წელს ეს კვლავ თურქეთში.

ამგანად თურქეთში პენსიონერებისაგან გუნდი ჩამოაყალიბდა. რეპერტუარში შედის ძველი ქართული სიმღერები: „წაიყვანეს თამარკალი“, „თეთრი ბატო“, „გუმინ შედინ გურჯაენლი“, „სამთარია“, „წინ წყაო ჩამოვიარე“, „შამი-ჯი-კაკაბი“, „შავლე შენი შავი ჩოხა“, „მიყვარს ფაცხა შე მეგრული“, „ქართველი, ხელი ხმალ იკარ“, „მუშილი მუხანა“, „გულსაჲ და გულსაჲ; ნაშალო“, „თებრნე მიდის წყალ-ზედა“ და სხვა მრავალი.

მომღერალთა გუნდს კი მორის მარიამული ხელმძღვანელობს.

პლენარეის სახელობის კლუბურის სახეში, კლუბის სახელობის ხელმძღვანელების უმანგი შეყვანილი თაოსნობით (დამთავრებული აქვს კონსერვატორიის საორკესტრო ფაკულტეტი და ათი წლის განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში სოლისტად) დიდი ხანია არსებობს სიმებიანი ანსამბლი.

ანსამბლის ხელმძღვანელმა შესძლო თავის გარშემო შემოკრიბა კამერული მუსიკის გატაცებული ახალგაზრდობა, რომლებიც შესანიშნავად ფლობენ ვიოლინოს, ბეგრის სისაყეს, ინტონაციური სიწმინდე, თვითუელი ნაწარმოების სწორი მხატვრული გაზრება, თვითონველი დადგრა ამ კოლექტივის დამაბნათებელი ნიშან-თვისება.

ანსამბლი ასრულებს როგორც საბჭოთა, ისე დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, მასში ვაგრობისთვის უნდა ითქვას, აქედან სამი წევრი ერთი ოჯახიდანაა. კ. ჩიხლაძე უკრავს ვიოლინოზე, შეილები — ნანა და ლალი

(ამვე კლუბის მუსიკალური კლასების ყოფილი მოსწავლეები, ამჟამად კონსერვატორიის საორკესტრო ფაკულტეტის სტუდენტები) ვიოლინოსა და ჩელოზე, ლიანა კორალიშვილი ფორტეპიანოზე, უმანგი შეყვანილი კონტრაბასზე.

სიმებიანი ანსამბლისათვის ხშირად მუსიკის წრეს ამავე კლუბის სახელ ორკესტრის ხელმძღვანელი — კომპოზიტორი კონსტანტინე კვაჭანტრაძე. მსმენელის ყურადღებას იპყრობს კვაჭანტრაძის ქართული ხალხური მუსიკის პოპური და რევოლუციური სიმღერების პოპური.

ანსამბლის მხატვრული სახის ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი მისი ხელმძღვანელის უ. შეყვანილი ნაყოფიერება, მისი მხატვრული გუნდობა. მის მიერ აღვირვებულ ორკესტრს ახასიათებს ავტორისთვის ჩანაფიქრის ღრმა გაგება, დინამიურობა, ნიუანსების სიღვიძე, მუსიკალური სახეების გამოხატვითი ძერწვა.

ორკესტრი წარმატებით სარგებლობს როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში და ქარხნებში, ისე სხვაგანაც: გლდანში, ავჯალში, მცხეთაში. იგი შეფობას უწყვეტ აგრეთვე სამხედრო ნაწილებს.

ამირკავსაძის რეზიზის თვითმომქმედი კოლექტივების დათავისებურებაზე ამირკავსაძის სახარ კომიტეტმა ანსამბლი საბატიო სივლით დააჯილდოვა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტისათვის ორქულმა ვალ-ვაგრობისთვის კარხნის სიმებიანმა ორკესტრმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

საყოველთაოდ ორკესტრმა მოამზადა მონტაჟი „დიდი ოქტომბერი გუნდს გვინათებს“.

პლენარეის კლუბურის სახთან მისი გახსნისთანავე დაარსდა სახელ ორკესტრი. ათი წლითა ორკესტრის დირიჟორად და მხატვრული ხელმძღვანელად გვევლინება კომპოზიტორი კონსტანტინე კვაჭანტრაძე. ორკესტრს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ კაპელმესტრები: სამუელ ფორტაღეტი, მიხეილ კვაჭანტრაძე, ბოულავსკი და სხვები. ამ ორკესტრში აღიზარდნენ პროფესიული მუსიკოსები: შაქო ბაიაძე, კარლო ჩიხლაძე, ბორის ბოხუა, მდივანივი და სხვები. ორკესტრს დიდ დამხმარებას უწყვეტ ენთუზი კომპოზიტორები — ნიკოლოზ ნარიანიძე და ვანო მურადელი.

ორკესტრის რეპერტუარი ფართოა და მოიცავს სხვადასხვა სტილის და ეპოქის ნაწარმოებებს.

შთამბეჭდავდ ღვერს მათი შესრულებით რ. ლაღიდის „სიმღერა თბილისზე“, „სიმღერა პარტიზე“, ს. მორიანისთვის სიმღერა „კონსტანტინეზე“, შ. მილორავას „საფესტივალო“ და ორკესტრის ხელმძღვანელის, კომპოზიტორ კვაჭანტრაძის „გზაგაბრის“, „მრავალმხმიანი“, „საქმიანი სვლა“ და სხვები.

ორკესტრის კონცერტებს მუდამ წარმატება ახლავს. ღვაწლმოსილი კომპოზიტორი კ. კვაჭანტრაძე რეპერტუარს ადგენს როგორც კამერული ანსამბლისათვის, ისე სიმებიანი კონცერტისათვის, რომელსაც თვითონ დირიჟორებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით პლენარეის კლუბის სახალხო თეატრმა წარმოადგინა ჯ. ხუხაშვილის პიესა „ცხვრები კაცისა“. ორკესტრის ხელმძღვანელმა კ. კვაჭანტრაძემ სპექტაკლისათვის დაწერა მუსიკა და თვითონვე დირიჟორებდა.

კვაჭანტრაძის მიერ აღზრდილი მუსიკოსები მონაწილეობენ როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ორკესტრებში.

ორკესტრში მონაწილეობას უღებლობს ძველი მუშა-ხარატი ს. პლიევი (ბარბოქიანი), სამაქანის ოსტრები ფელიქს არუთინოვი (ალტი) თემურ მანუკიანი (დამრტყმელი ინსტრუმენტი).

ამ ორგესტრის ახალგაზრდა მუშებმა მუსიკალურ სასწავლებელში გააგრძეს სწავლა. ესენია ს. საფაროვი, ი. ცახოვი, ა. არბინიოვი და სხვები.

სასული ორგესტრში გაერთიანებულია ოცი წევრი. მის შემადგენლობაში შეიდან ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ჩუბნილები. ორგესტრი ყოველწლიურად იყვება ახალგაზრდა მუშებით.

ქარხნის საზეიმო ღონისძიებებზე აქტიური მონაწილეობისათვის ორთქლმავალ-ვაგონმშენებელი ქარხნისა და რკინიგზის მუშაბა პროფკავშირების მიერ ორგესტრი დაჯილდოებულია საპატიო სიგელით.

პლენარის სახელობის კლუბში დიდი ხანი არ არის რაც ჩამოყალიბდა საესტრადო ანსამბლი „მზიურის“ სახელწოდებით. მისი მხატვრული ხელმძღვანელია ზურაბ ჩიქოვანი. ანსამბლის შემადგენლობაში შედის ხუთი მუსიკოსი და სამი სოლისტი. ისინი გატაცებით სწავლობენ და ეუფლებიან ხალხური შემოქმედების მარგალიტებს, ქართული, რუსული, ავსტრიული მუსიკის საუკეთესო ნიმუშებს.

ორგესტრის წამყვან სოლისტს ტრაილე ჯაფარიძეს (მე-4 მუსიკალური სასწავლებლის ვიკატორი გახყოფილების მოსწავლე) კარგა ხმამ და სასიმოვნო ვარჯიშობა წარმატება მოუტანა. ტ. ჯაფარიძე და ანსამბლის ხელმძღვანელი ზ. ჩიქოვანი გამომდიან ქარხნებში, სასწავლებლებში და ყოველთვის მსმენელთა და მასურებლების მოწონებას იმსახურებენ.

ესტრადის საღამოებზე წარმატებით სარგებლობს ანსამბლის ხელმძღვანელის ზ. ჩიქოვანის სიმღერები: „ქაპარისი“ და „შვედრებელი ჯარისკაცი“, ანსამბლის სოლისტების — დეზი დეზარიაშვილის და ზ. ჩიქოვანის მიერ დამუშავებული „ვარდის ბუჩქი“, „თეთრი წვიმა“, „კოლხეთის მდინარე“, სედა არაბქივას შესრულებით ქართული რომანსი „ნუ გამკიბავ შე“, „ნახვადის“.

რამდენიმე დღის მიმდინარეობა ჩვენს დედაქალაქში ამირჯანაშვილის რკინიგზის მხატვრული თეიმომქმედი წრეების დათავლებულა. გამოვლინდა ბევრი კარგი კოლექტივი და ინდივიდუალური შემსრულებელი.

სასიმოვნო სათაჭულიება დატავა პლენარის სახელობის კლუბის მხატვრად ანსამბლმა. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ზ. ჩიქოვანისა და ტ. ჯაფარიძის შესრულებით სიმღერებმა: „ციციანთელა“, „ვარდის ბუჩქი“, „თეთრი წვიმა“, „მოედინება მდინარე“ და სხვ. ზ. ჩიქოვანმა და ტ. ჯაფარიძემ მსმენელები მოხიბლეს მუსიკალით, ხმის ლამაზი ტემბრით.

სასტრადო ანსამბლი კონცერტებს ატარებს როგორც ქარხნებში მუშებისათვის, ასევე ქალაქებში — რაიონებსა და საკურორტო ადგილებში დამსვენებელთათვის. ანსამბლი ამ საფერულ საგანტროლოდ იყო შვიი ზღვის სანაპიროებზე: სოჭში, ვაგრასა და ბიჭვინთაში და დამსვენებლების დიდი მოწონება დაიმსახურა. წარმატებით გამოვიდა იგი ფილიპინების გამართულ საქართველოს კულტურისა და ხელოვნების კვირეულზეც.

სასტრადო ანსამბლმა კონცერტები გამართა სამხედრო ნაწილებისათვის. საიუბილეო დღეებში ოფიცერთა სახლში ჩატარა დიდი კონცერტი, რომლის შემდეგ ქუბის სიგელი გადაეცა ანსამბლს.

პლენარის კულტურის სახლში თითქმის ათი წელია რაც გატარებულია წყის საქმის დიდი ენთუზიასტ გივი ბარბაქაძე (ინჟინერი) ხელმძღვანელობის.

გ. ბარბაქაძე ჩვენს დედაქალაქში ერთ-ერთმა პირველმა საყვარელ საფუძველი გიტარაზე დაკრის სწავლებს. მისი წყალობით გიტარა იმდენად საყვარელი და პოპულარული დასაკრავი გახდა, რომ წრემ არა მარტო ახალგაზრდობა მიი-

ზიდა, არამედ უფროსი თაობაც კი ჩააბა მის მუშაობაში.

ამჟამად პლენარის კლუბში გიტარის წრეს ხელმძღვანელობს ბარბაქაძის ყოფილი მოსწავლე გივი თუხავეი (პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი). უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე წრეში 50-მდე სტუდენტი ახალგაზრდა და ქარხნის მუშა-მოსამსახურე გაერთიანდა.

წრის რეპერტუარშია ქართული ხალხური სიმღერები: „მოსვევის ქალი თინაო“, „ციციანთელა“, კომპოზიტორ ნ. ნარიშკინის „სულიკო“, „შენ ხარ ვენახი“, „ქართული შემოძახილი“ და სხვა მრავალი, აგრეთვე ცალკეული ადგილები ზატაია ფალიაშვილის ოპერებიდან „აბესალომ და ეთერი“, „დაიხი“, რ. ლალიძის, შ. მილორავას, გ. ცაბაძის სიმღერები. წრეს პროგრამაში აქვს მსოფლიოს ხალხთა პოპულარული მუღიმებებიც.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ამირჯანაშვილის რკინიგზის მხატვრული თეიმომქმედი კოლექტივების დათავლებულაზე გიტარისტთა წრეც წარმატებით გამოვიდა. მსმენლის დიდი მოწონება დაიმსახურა გ. ცაბაძის „მთაწმინდის მთავარში“, „თბილისურმა სერენადამ“, მოკროუსთვის „შემვიდე სართულზე“.

გასულ წელს კონცერტი ჩატარდა ორთქლმავალ-ვაგონ-მშენებელი ქარხნის კლუბში, სართავ-სატრეკოტაკო კომბინატის კულტურის სახლში და 26 კომისრების სახელობის რაიონის მზავალ საწარმო-დაწესებულებაში. გიტარის პოპულარობის ზრდასთან ერთად იხრებდა მასზე დაკრის მუსიკელებთა რაოდენობაც.

წრეში წარმატებით გამოიდან: შოთა შანშიაშვილი (სტუდენტი), ნელი თევზაძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი), დიზო ჯალალაია (III კურსის სტუდენტი), თემურ ბზინიძე (მოსწავლე), ისა ხარბილაშვილი (სატრეკოტაკო კომბინატის მოწინავე მუსიკოსი).

1952 წელს პლენარის სახელობის კულტურის სახლის დირექტორის გრიგოლ ოსმანაშვილის თასინობით ქორეოგრაფმა გრიგოლ პოლისოვმა ჩამოაყალიბა რუსული ხალხური ცეკვების წრე. გ. პოლისოვს დამთავრებულ აქვს ოპერის საბალეტო სკულა. იგი მრავალი წლის განმავლობაში თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის სოლისტი-მოცეკვავე იყო და ამჟამად თავის ქორეოგრაფიულ გამოცდილებას და ისტატობას წარმატებით ამხარს წრის მუშაობას.

ამ წრეში გაერთიანებულია ორთქლმავალ-ვაგონმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შეილები და მუშა ახალგაზრდობა. ისინი ძირითადი დაგარბივ-საქარბივ სკოლებიდან არიან მოსული. რეპერტუარშია რუსული, უკრაინული, მილადავური, ბელორუსული, ჩეხური, ესპანური, მექსიკური, პოლონური, საბავშვო-სახასიათო და სახუმარო ცეკვები.

წრე მართავს კონცერტებს ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შეილებისათვის „სამუზოი ხის“ სახელწოდებით.

ახალგაზრდა მუშებს უტარებენ კონცერტებს, საუბრებს, უნერგავენ ცეკვასაში სიყვარულს. თუ პირველ ხანებში წრეში მხოლოდ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შეილებს რაი-ბულობდნენ, შემდეგ ფართოდ გაიღო კარი ლენინის დი-ვიზის მოსწავლეთათვის და წრე საბალეტო სტუდიად გადაკეთდა.

პლენარის სახელობის კლუბის ქორეოგრაფიული წრის წრეები ერთნაირი ხარისხითა და მონდობით ეუფლებიან ცეკვის თეორიულ ილეთებს, მონაწილეობენ კონცერტებსა და ოლიმპიადებში და ყველგან წარმატებას იმსახურებენ.

კლუბის საბალეტო წრის ხელმძღვანელი გ. პოლისოვი, საკმის დიდი ენთუზიასტია. გვიან ღამემდე გაისმის კლუბში საცეკვაო მუსიკის ხმა, ახალგაზრდა მოცეკვავეთა ყოველი რეპერტიცია ნამდვილ საკონცერტო წარმოდგენად იქცევა ხოლმე, რაც სისტემატური მეცადინეობის, დაძაბულ შრომის, გააზრებული და დახვეწილი შესრულების შედეგია.

ბლენაივის კლუბში აღზრდილი საუკეთესო მოცეკვავეები ვახტანგ ჭაბუკიანის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სასწავლებელში არიან ჩარიცხულნი. ესენია: ტანია ადამიციკაი, მანანა ნიკოლაიშვილი, ლამარა ვლიაზაროვა, მანანა ერისთავი, სლავკა ბარშოვი, რეზო ტაბღვიანი... მათ ხელოვნებას, როგორც ჩვენი დედაქალაქის, ისე სხვა რაიონის მრავალი მშრომელი მოჰყავს ალტაცებაში.

წრე ხშირად მართავს კონცერტებს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და საკურორტო ადგილებზე. მისი საკონცერტო პროგრამა, რომელიც ორი განყოფილებისაგან შედგება, მრავალფეროვანი და საინტერესოა. ამიტომ რესპუბლიკისა და საქალაქო ოლიმპიადებზე კოლექტივი მუდამ გამარჯვებული გამოდის.

მიმდინარე წელს წრე საგასტროლოდ იყო ბათუმსა და წყალტუბოში, სადაც დამსვენებელთათვის ჩაატარა ოცი კონცერტი, როგორც ფსიხანი, ისე უფასო. ყოველ სამაგისტრო 2000-ზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა. მათ მიერ შესრულებული ნომრები მაყურებელთა დიდი მოწონებით სარგებლობდა. რეპერტუარში შეტანილია ბევრი სახასიათო ცეკვა.

დამსვენებლებმა მაღლობის წერილები გამოუგზავნეს კავშირებს ჩუოტკიდან, კიევიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან. ისინი მოითხოვდნენ მომავალ წელსაც ჩაატარონ კონცერტები მათ ქალაქში.

ამჟამად სტუდიაში გაერთიანებულია 50 მოსწავლე. ბევრი მონაწილე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატია და დიდ პატივობაში გამარჯვება თავისთავად მოწონებს მათი ხელოვნების აღიარებას. ჭაბუკიანმა გამოავლინეს კარგი ტექნიკა, რთული ილეთების დაძლევის უნარი, ტემპერამენტი.

ღვაწლმოსილი პედაგოგი და ქორეოგრაფი გ. პოლისოვი მთელ თავის ძალასა და გამოცდილებას არ იშურებს, რათა უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახადოს კონცერტები და ამით ხელი შეუწყოს ქორეოგრაფიული სტუდიის შემოქმედებით წინსვლას.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ამიერკავკასიის რკინიგზის თვითმოქმედი კოლექტივების დათვალეობისაზე რამდენიმე ცეკვა განსაკუთრებით მიმზიდველად შეასრულეს პეტრე ბოლოთაივამ, რომებრ ნერსისიანმა, ვიკა კრავიციამ და არღუნ გალუსტინმა (ეს უკანასკნელი II კლასის მოსწავლეა), რომლებიც ლაურეატები გახდნენ.

გასულ წელს კონცერტებზე წარმატებით გამოვსვლიანთა წრის წევრმა რ. ნერსისიანმა პირველი ხარისხის დიპლომი და ქების სიგელი დაიმსახურა.

ქორეოგრაფმა გ. პოლისოვმა ხუთმეტრი წლის მანძილზე ბევრი საინტერესო ცეკვა გახასპორცივია. რა გინდ რთული და ძნელად დასაძლევი იყოს პროგრამის რომელიმე ნომერი, იგი თავისუფლად, ძალდაუტანებლად, მოხდენილად სრულდება. ეს მხოლოდ მაღალკვალიფიციურ, პროფესიულ კოლექტივს ძალუფს.

თბილისში არ არსებობს არცერთი სკოლა და კულტურის სახლი, რომ ამ კლუბის საბალეტო გუნდს მათ კონცერტებში მონაწილეობა არ მიეღოს. ისინი ხშირად გამოდიან პიონერთა სასახლეშიც, თვითმოქმედი კოლექტივებისა და გამოჩენილ მოღვაწეთა იუბილეებზე.

სტაქანსკი

ლ

სტაქანოვი



ბილისის მუშათა საუნო თეატრების შესახებ ბევრი დაიწერა, მაგრამ ვისაც ძველთაგანვე მონაწილეობა მიუღია მის მუშაობაში, ზოგი ისეთი საინტერესო ფაქტების გახსენებაც შეუძლია, რომელიც უთუოდ რაიმე ახალ შემატებს ისტორიას.

ამჯერად ჩვენი მიზანია ორიოდე სიტყვით მოგითხროთ ნაკლებადცნობილი იმ ასოთამწყობების შესახებ, რომლებიც თავისი გარკვეული წვლილი შეიტანეს თბილისის მუშათა საუნო თეატრის განვითარების საქმეში. პირადად მე, როგორც ძველ ასოთამწყობსა და სცენისმომყვარეს შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებდა მათთან. ზუსტ მასსურაძე, დათიკო მელაშვილი, დავით სპირანდი, ძმები ილიკო და ალექსანდრე სონდლუგაშვილები, იოსებ თარალაშვილი, რომინოზ სალაყაია... ახ ისინი, ვისაც ყოველდღიურ შრომასთან ერ-

ოდ სასიციოცხო წყაროდ მიანდა სცენური მოღვაწეობაც. მუშაობა მიხედვითა აგრეთვე ისეთ ცნობილ საბჭოებთან, როგორც იყვნენ: ვასო ოსტაძე, ნიკო გოცირიძე, შალვა დადიანი, მიხეილ ქუთათელი და სხვები. საექტაკლები იმართებოდა: ნაძალადეგში, ავღაბარში, ვრჯაზე, ხარფუშში, საპურიალში, ავჭალის აუდიტორიაში და ანჩისხატში.

სცენისმოყვარენი ხშირად ფასიან წარმოდგენებსაც მართავდნენ პოლიტიკურ პატიმართა დასახმარებლად და რევოლუციონერებისთვის იარაღის შესაძენი ფონდის შესაქმნელად. ამ მიზნით არჩედნენ რეპერტუარსაც. წარმატებით იღებოდა ივ. გომართლის „ქიზნი“, პ. ირთელის „დამარცხებულნი“, სეზან ერთაწმინდელის „დაჭრილი ორბი“, „დამნაშავე“ და სხვ.

წარმოდგენები დიდ შემოქმედებას ახდენდნენ მაცურებლებზე რევოლუციური სულისკეთებით. იყო შემთხვევებიც, როცა მოქმედების მსვლელობის დროს მაცურებელი ადგილიდან წამოიჭებოდა ხოლმე შეძახილით: „გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს რეჟიცია!“.

მასინდელ საექტაკლებში მოქმედებებს შორის მსახიობები კითხვობდნენ ირ. ევლიშვილის, ნ. ჩხეკავის, გ. რუხაის, გ. ქუჩიშვილის რევოლუციურ ლექსებს. გასაგებია თუ რა ეპიკის გამოირყევდა ასეთი გამოსვლები მუხის ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მშრომელ მაცურებლებში.

რასაკვირველია არ ქმინათ თვითმპყრობელობის დამტყუებაც. ქალბის გუნდნატორის ბრძანებით იმ დროს (განსაკუთრებით 1909 წლის პერიოდში) ყველა ჩვენს საექტაკლს პოლიციელები ესწრებოდნენ.

როგორც უკვე ვთქვი, თეატრში მოღვაწე თვითუღლ ასოთამყრობს თავისი სანტრერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია გააჩნია, მე მხოლოდ მოკლედ შევხები ზოგიერთს:

ბ ე კ ი ო ნ მ ა ი ს უ რ ა ძ ე მ 1895 წელს დაიწყო სასცენო მოღვაწეობა. ამ დროს არ არსებობდა საუბო კლუბები და თეატრები. ბესარიონი ასოთამყრობად მუშაობდა ახსანაგობის სტამბაში. პირველად იგი ისევე, როგორც სხვა სცენისმოყვარენი გამოდიოდა ანჩისხატშია და კოლორტახის უბნებში სახელდახელოდ გამართულ სცენებზე. შემდეგ, როცა ავღაბარში მურაშკის თეატრი დაარსდა, უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სასცენო მოღვაწეობისათვის. თითქმის ყოველ პიესას სტარდებოდა ქალის როლის შემსრულებელი, მაგრამ იმ დროს ქალს საკუთარი თავის შეურაცხყოფად მიანდა სცენაზე გამოსვლა. ბესო კარგი იმიტატორი იყო და ბევრჯერ უხსნიდა დასი გაჭირვებინან. იგი წარმატებით ასრულებდა ქალების როლებს ა. ცაგარლის „ხანუშაში“ (ხანონია) და ა. ფახზევის „არსენაში“ (ანდონია). ამ დავუარესლა და კეთილადამიანს რევიუზიტიც და გარდერობიც ებარა. მურაშკის თეატრში ჩვენ ხშირად გვხვდებოდით პავლე მირზაშვილს. არავინ იცოდა ვინ იყო და რატომ დადიოდა იგი თეატრში, მით უმეტეს, რომ არასოდეს მონაწილეობდა საექტაკლებში. უფრო გვიან გავიგეთ, რომ მას რევოლუციური კავშირი ჰქონდა ბ. მაისურაძესთან. მირზაშვილს დაავლებული ჰქონდა პროკლამაციების გავრცელება (მანვე შაფრანოვის იარაღის მადანობი და მალულად გაიტაცა იარაღი და მუშებს დაურთა). მაისურაძის დამხარებით მირზაშვილს შრიფტებიც მიჰქონდა არალეგალურ სტამბაში.

1922 წელს მუშათა სცენაზე 25 წლის უანგარო მოღვაწეობისათვის ქართველმა საზოგადოებამ ბ. მაისურაძეს იუბილეუ გადართავდა რუსთაველის თეატრში. ეს იყო პირველი იუბილე საერთოდ ქართველი ასოთამყრობისა.

მასობაზე არა მარტო მონაწილეობდა საექტაკლებში, არამედ დგამდა კიდევ წარმატებით. მას არაერთხელ ჩამოეკლებოდა დრამატული წრე სტამბის კლუბში. დიდი მამაც ჰქვს გავრცელებული გაზეთების „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ სტამბებში როგორც ასოთამყრობს და დრამატული წრების დაარსების ორგანიზატორს.

ნიჭიერი სცენისმოყვარე იყო დაავით სპირანდიც (წარმოშობით ბურძენი). იგი ქუთაისის სტამბაში მუშაობდა და ამავე დროს მონაწილეობდა საექტაკლებშიც. ამ დროს ქუთაისის თეატრ რევოლუციის კერას წარმოადგენდა.

კლტა მოგვიანებით იგი თბილისში გადმოვიდა და ა. ხორავასთან, ა. ვასაძესთან, ვასო გოძიაშვილთან და პ. კობახიძესთან ერთად სწავლა დაიწყო ა. ფუდუნას სტამბაში, პარალელურად „კომუნისტის“ სტამბაში მუშაობდა.

1922 წელს რუსთაველის პროსპექტზე (რედუქილი „ზარია ვოსტოკას“ პირდაპირ) № 31 სასტოვრებელი სახლის სოში მუშაობა დაიწყო ქართული და სომხური თეატრის დასებმა, მასში გაერთიანებული იყვნენ: ბ. მაისურაძე, დ. სპირანდი, ამ სტრიქონების ავტორი, დ. მელაშვილი, შ. ფურცლავაძე, ჭუბაბია, პ. ბეგუჯანიანი, ი. თარალაშვილი, მკ. ქართველიშვილი, ვარვარა ბეგუჯანოვა, ზინა დუმბაძე, ყ. ყრიანიშვილი, იულია ხვიჩია, ა. ნიკიფოროვი და სხვ.

1924 წელს ვირომლოვის სას. კლუბში (ეს კლუბი მიმუდავათ კავშირს გეუთონდა 1927 წლამდე) გაერთიანდნენ: ალ. კაკაჭიშვილი, გ. რუსაძე, გ. გრიგოლაშვილი, სტ. ვარნანოვი, იულია ხვიჩია და სხვ. (ხელმძღვანელი იყო პავლე კანდელაკი) და რაც მტყდა საგულისხმობა, იმ დროს ჩვენთან ერთად იყვნენ ქართული სცენის კორფორმებიც: პ. აბაშიძე, ე. ჩრქუჩიშვილი, ნიკო გოცირიძე და შალვა დადიანი. სწორედ მათი დახმარებით გახდა ბევრი ჩვენთან განსაზღვრის თავის საყვარელ საქმეს. მუშათა სცენამ გზა გაუკაფა უფრო დიდი შემოქმედებითი ცხოვრებისაკენ მიხელო ქართველს (მოღვაწეობა დაიწყო 1908 წელს დიღმის სასოფლო კლუბის სცენაზე), ალ. კაკაჭიშვილს, ვანო მურადელს და სხვ...

სცენისმოყვარეთა განვლილი შემოქმედებითი გზა დასაფასებელი და მოსაგონებელია. მათ შესახებ ბევრი დაიწყო აკვლავაც დაიწერება. მე მხოლოდ ზოგიერთი ასოთამყრობის ღვაწლი აღწერინე თეატრალურ ხელოვნებაში და ბედნიერად ჩავთვლი თავს თუ ჩემი ეს ფრაგმენტული აღნიშვნები საგანგებოდ დაინტერესებს თეატრის სპეციალისტს და უფრო დრამად, საფუძვლიანად შეისწავლის და შეაფასებს ამ უანგარო მოღვაწეების შემოქმედებით ცხოვრებაში

სადამაო პარიზონი



ვაჟა ძიგუა

სტანისლავსკი წერდა: „მე მიმაჩნია, რომ ყველა მსახიობი უნდა იყოს სახასიათო, — რა თქმა უნდა, არა გარეგნული, არამედ შინაგანი ხასიათის თვალსაზრისით. თუმცა, დაე, გარეგნულადაც ხშირად გასცილდეს მსახიობი თავის თავს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მან დაკარგოს თავისი ინდივიდუალობა და მიმზიდველობა. ეს სხვას ნიშნავს — ყოველ როლში მოქმენის თავისი მიმზიდველობაც, თავისი ინდივიდუალობაც, და მიუხედავად ამისა, ყოველ როლში სხვა იყოს“.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მერი დავითაშვილის შემოქმედება სწორედ ამ მხრივაც საინტერესო — იგი ყოველ ახალ როლში მკვეთრ გარდასახვას აღწევს როგორც გარეგნულად, ასევე შინაგანად, თუმცა თითოეულ სახეში გამოსჭვივებს შესრულების დავითაშვილისეული მანერა, რითაც მუდამ გამოკვეთილია მსახიობის ინდივიდუალობა, თამაშის სტილი, გმირის წარმოსახვის თავისთავადობა.

მ. დავითაშვილმა სცენაზე პირველი გაუბედავი ნაბიჯები სასკოლო საექტაკლებში მონაწილეობისას გადადგა, როდესაც ბაქოს ქალთა მეორე გიმნაზიაში სწავლობდა. ამ საექტაკლებს დგამდა პროფესიონალი რეჟისორი ბაკლანოვი, რომელიც ალტაყებელი იყო გოგონას გრძნობათა გადმოცემის სიმართლით. პატარა მერის თაოსნობით ოჯახშიაც ხშირად იმართებოდა ხოლმე კონცერტები, რომლის პირველი მონაწილე თვით მერი იყო — მღეროდა, ცეკვავდა, უკრავდა კიდევ. მაყუ-

რებლები ალტაყებაში მოდიოდნენ ბავშვის ხელოწენებით. ყველაზე მეტი ქება, როგორც ხელმძღვანელს მერის ერგებოდა ხოლმე.

ბაქოდან დავითაშვილები ხაშურში გადავიდნენ საცხოვრებლად, სადაც ერთი წელი დაჰყვეს. მერიმ აქაც არ უმტყუნა თავის გატაცებას და ხაშურულ სცენისმოყვარეთა პირველ რიგებში აღმოჩნდა.

14 წლის მერი ხაშურის რკინიგზის სახლთან არსებულ დრამატულ წრეში ჩაირიცხა, სადაც ბევრი რთული როლის თამაში მოუხდა. ამ წრეში ისეთი პოპულარობა და სიყვარული დაიმსახურა, რომ წამოსვლისას ნორჩ აქტიორს სასიამოვნო სიურპრიზი მოუშადეს — ბენეფისი გაუმართეს! ეს ფაქტი მსახიობის მომავალი გზის ღამაში დასაწყისი აღმოჩნდა...

დავითაშვილების ოჯახის თბილისში გადმოსვლის შემდეგ ცნობილმა მსახიობმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, აწ განსვენებულმა ნინო დავითაშვილმა თავისი ძმისწული იმხანად არსებულ ქართულ თეატრალურ სტუდიაში (რომელსაც აკაკი ფალავა ხელმძღვანელობდა) მიიყვანა, რომლის დამთავრების შემდეგ ერთი სეზონის განმავლობაში (1926-27 წ. წ.) მერი მუშაობდა წითელ თეატრში (ახლანდელი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი). ამ თეატრს იმჟამად ხელმძღვანელობდა მიხეილ ჭიაურელი. აქ მ. დავითაშვილმა განასახიერა ქალიშვილის როლი გ. ერის-

თავის „გაყრაში“ (დადგმა შ. აღსაბაძისა), რირეტა — „გამ-ჩაღებულში“ (დადგმა ვახტანგ აბაშიძისა), ივონა — „დღე-დღის გამიღველოში“ (დადგმა გ. სულიაშვილისა) და სხვ.

1928/29 წ. სეზონში მერი დავითაშვილი — უ. ჩხვიძესთან, შ. ლამაზიძესთან, ვ. ანჯაფარიძესთან, ი. ღონაურთან, ა. ჭორჭორიანთან, თ. ჭავჭავაძესთან და სხვა მსახიობებთან ერთად სამუშაოდ გადადის ქუთაისის თეატრში, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა. აქ იგი განასახიერებს ცაცას — შ. დადიანის „კაკაბ გულში“ და ამ იმერული ჭლის როლის ოსტატური შესრულებით კოტეს შექმებას იმ-სახურებს. აქვე, სამი დღის განმავლობაში (ირინე ღონაურის ავადმყოფობის გამო) ამზადებს ისეთ საპასუხისმგებლო როლს, როგორცა ბენარდო — შელის „ბეატრიჩე ჩენჩიში“. ამავე სეზონში მარჯანიშვილი მას ივლითის როლს სთავაზობს „ურიელ აკოსტაში“. რა თქმა უნდა, მერი დავითაშვილი გრძობდა, რომ ივლითი ვერ იქნებოდა ისეთი მხატვრული სიმართლისა, როგორც იგი ვერიკო ანჯაფარიძის შესრულებით იყო, ამიტომ ერთი ორი რეპეტიციის გავლის შემდეგ შეწყვიტა ივლითის სახეზე მუშაობა.

შემდეგ ისევ თბილისი... ხლო რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ქუთაისი, სადაც ახალგაზრდა რეჟისორები — გ. სულიაშვილი, ს. მიქელაძე, ვ. აბაშიძე და სხვები თანამშრომლობდნენ. ამ პერიოდში დადგმული სპექტაკლებიდან უნდა გამოვყოთ გ. ბაახოვის — „მუნჯები ალაპარაკდნენ“ (რეჟისორი გ. სულიაშვილი), რომელიც მაშინდელი თეატრალური სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად მიჩნეულს. განსაკუთრებული წარმატება ხვდა მერი დავითაშვილს, რომელმაც განცდათა გადმოცემის ბუნებრივობით, დიდი მნიშავნი ტაქტიკური წარმოსახა ბერძენი ეპიკური ქალის — მირამის სახე.

მაღე მ. დავითაშვილი ისევ თბილისის უბრუნდება, სადაც ერთი სეზონის განმავლობაში ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე გამოდის. 1938 წლიდან იგი კვლავ მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივის წევრია, სადაც ბოლომდე რჩება და მთელი სისხვსით ავლენს თავისი აქტიორული ბუნების მრავალმხრივ საყურადღებო თვისებებს.

პირველი დიდი წარმატება მერი დავითაშვილმა ა. დიუმას „მარგარიტა გოტიეში“ მოიპოვა, სადაც ნანინის როლი შესრულა. იმხანად საქართველოში იმყოფებოდა როსკოვის სახელგანთქმული სამხატვრო თეატრის კოლექტივი. ერთ-ერთი რიგითი წარმოდგენის შემდეგ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნემიროვიჩ-დანჩენკომ განსაკუთრებული ხოტბა შეასხა მ. დავითაშვილის ნამუშევარს. იქვე მყოფმა მსახიობმა თ. კნიპერ-ჩეხოვამ მულეღარებით მიმართა ახალგაზრდა მერის: „იციტ თუ არა, რომ სიტყვებით, რომელიც ამჟამად თქვენ გითხრათ ნემიროვიჩ-დანჩენკომ, ძალიან იშვიათად რგებია რომელიმე ჩვენთაგანს. ასე, რომ ეს მუდამ უნდა გახსოვდეთ, გოგონა!“..

ახალგაზრდა მსახიობის სიხარულისაგან ათრთოლებულმა გულმა ღრმად ჩაინერგა დიდი რეჟისორის სიტყვები და მტკიცედ გადაწყვიტა ნაწილობრივ მაინც მიხსლოებოდა იმ სანატრელ მომავალს, რაც თითქმის ერთხმად უწინასწარმე-

მარგარიტა (კეკელიძე)



ტყველს რუსული თეატრალური კულტურის სახელგანთქმულმა წარმომადგენლებმა.

მერი დავითაშვილის ყოველი ახალი ნამუშევარი მისი შემოქმედებითი ზრდის დამადასტურებელი იყო. მსახიობი ცდილობდა ყოველ სახეში მოეებნა რაღაც ახალი, ნოვატორული, მიენიჭებინა მისთვის ტიპიურობა, ყველასათვის მისაწვდომი, ადვილად გასაგები გაეხდა და თან აუცილებლად შეემოსა იგი განმარტადებელი ნიშან-თვისებებით.

იღია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანმა“ ღირსეული სცენური ხორცშესხმა ჰპოვა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. (დამდგმელი რეჟისორი ვ. ყუმიტაშვილი). სპექტაკლი, სხვა ღირსებებთან ერთად, ყურადღებას იპყრობდა აქტიორული თვალ-

„იღია“ (რაკე ვინაზავ, ველარ ნახაე)



საზრისით. გამოიძერწა ისეთი ბრწყინვალე სცენური სახეები, როგორცაა ვ. გიორგიშვილის ლურასები და ც. წუწუნავას დარეჯანი. ხორეშანის ღრმად კოლორიტული, გროტესკულად შეტად საინტერესო სახე გამოკვთა მ. დავითაშვილმა. ეს იყო ნამდვილი კახელი „კენინა“, რომელსაც ამჟვეყნად არაფერი გაანჩნდა, გარდა შემორჩენილი კუდაზიოკიბისა და გაიძვერობისა. ხორეშანის პროფესია მაჭაყვლობა იყო, რასაც ძალაუნებურად თან ახლდა სიკრუე, თვალმაკეობა, დამცირება და ზოგჯერ თავებლობაც. მისი მიხრა-მიხრა, სიარულის მანერა, გამოხედვა ამ თვისებებზე მიგვიანიშნებდა. მსახიობის ყოველი ნაბიჯი შემპარავი იყო, კილო მლიქვნელური და თავისებურად „მიმზიდველი“. ხორეშანი თითოეული წარმოთქმული ფრაზით მსაკვერულ ბაღეს ქსოვდა, რათა ხელიდან არ დასსლტომოდა და დროულად გაეხა შიგ თავისი მორიგი მსხვერპლი. თუმცა, ნათქვამია, კოკას ყოველთვის არ მოაქვსო წყალი; ზოგჯერ ისიც დამარცხებოდა ხოლმე, დამარცხებულად სასტიკად. შეუბრალებლად, მაგრამ ამ მდგომარეობიდანაც პოულობდა სუტ-კენინად წოდებული ხორეშანი თავდასაღწევი ბილიც, პოულობდა და ვითომც აქ არაფერით, ისევ განაგრძობდა ძვალსა და რბილში გამაჯდარ, შესისხლხორცებულ საქმიანობას...

მერი დავითაშვილის ხორეშანი ქართული აქტიორული ხელოვნების ოქროს ფონდის კუთვნილებაა. მსახიობის ნამუშევარს ალტაცებში მოყავდა ყველა, ვინც კი ახლოს იყო

ხორეშან („კაცია აღამიანი“?)



თეატრალურ ხელოვნებასთან. „მე არ მგონია თუ ვინმე შესძლებდა ნატო ვახუნიას შემდეგ გროტესკის ასეთი სიმსახვილი და ამგვარი სიმათოლი ეთამაშა ასეთი; თქვენ მისი ტრადიციების გამგრძელებელი ხართ“ — ასე მიმართა ცნობილმა მსახიობმა ნიკო გოციონემ პრემიერის შემდეგ მერის. ეს ძალიან შეფასება საყვებით დამსახურებულად ხვდა მ. დავითაშვილს, რომელმაც ჭეშმარიტად ილიასეული პორტრეტ გამოიძერწა.

... ფარდის ახდისთანავე, დაბალი ფიქრული სახლიდან გამოსული, ოთხად მოხრილი, გაცრეცილი მოხუცი დედაკაცი ისეთ ვნებათა ღელვას დაანთებდა, ისეთი ემოციურობითა და აღზნებით გადმოგვეყვამდა თავისი უბედურების ამბავს იმხუ, თუ დღეს დილით, ბატონის ბრძანებით, კალთის უბიდან როგორ ააგლიჯეს მის თავისი ერთადერთი იმედი, სიბერის მაღამო ტასია, რომ ყველა ჩვენთანგანი თანაგრძობასთან ერთად გაოცებული იყო, თუ საიდან გაანჩნდა ფიციკურად თითქმის უკვე „გადაშფავნი“, ამ ერთი ციცქნა ქალს იმდენი ძალა და ენერჯია, რომ ამგვარი მოზღვავებული ტემპერამენტით, შეუნელელებული ტემპით გადმოეცა მთელი საგადალო სურათი თავისი ოჯახური ტრაგედიისა, მოულოდნელად რომ დატყვომოდა თავს.

მერი დავითაშვილის კატინა (ა. ცაგარლის — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“) მთელი სპექტაკლის მანძილზე სწორედ ამ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებებს ავლენდა: ფიციკურ სიძაბუნეს და მდგომარეობით გამოწვეულ, გააფთრებამდე მისულ ალტკინებას.

ამ როლს ადრე კომედიური ჯანრის ცნობილი მსახიობი ლ. ჩერქეზიშვილი ასრულებდა, რომელიც სახეებით განსხვავებულ მიმდინარეობას აწლევდა კატინას სულიერ მდგელვარებას. ლ. ჩერქეზიშვილი ამგვარი როლების შეუცვლელ შემსრულებლად ითვლებოდა. მ. დავითაშვილიც, მსგავსად ლიზა ჩერქეზიშვილისა, ამგვარი ხასიათის როლების უბადლო შემსრულებელია. ხშირად იგი უნიშვნელო სახეს ისეთი ცხოველყოფილობით გამოაჩუქურთმებს ხოლმე, რომ სრულიად მოულოდნელად სპექტაკლის წინა პლანზე წამოატიციტებს. ასე მოხდა ამჯერადაც, კატინა — მ. დავითაშვილის შესრულებით ერთ-ერთ ყველაზე რელიეფურ სახედ იქცა სპექტაკლში.

მერი დავითაშვილის აქტიორული ბუნებისათვის ერთნაირად ახლობელია როგორც მკვერად სასასათო როლები, ასევე მაღური დრამატუზმით აღსავსე სახეები. მსახიობი ორივე შემთხვევაში პოულობს რადიკალურად საპირისპირო ხასიათების გამოსაქერწავად საჭირო გამომსახველობით ნიუანსებს, რითაც, განურჩევლად როლის ბუნებისა, ყოველ სახეში გულწრფელი და დამაჯერებელია.

სამამულო ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის ლ. ლეონოვის „შემოსკვა“ გამოირჩევა მწვავე დრამატული კონფლიქტებით, ეპოქის წინააღმდეგობათა მხატვრული ასახვით და, რაც მთავარია, მოქმედ პირთა რელიეფურობით, მათი ბუნების განმსაზღვრელ თვისებათა გამოკვეთით. ეს პიესა მარჯანიშვილელთა დადგმით, სწორედ მოქმედ პირთა შინაგანი სამყაროს ღრმა განალიზებით იპყრობდა ყურადღებს.

ანა ნიკოლაევანა ტალანოვას ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, მაგრამ „რკინის დედაკაცად“ წოდებული ქალის მრავალმხრივ საინტერესო სახე შექმნა მ. დავითაშვილმა. მსახიობის შესრულებაში თავი იჩინა ღრმად ადამიანურმა, ფაქიზმა განცდებმა, დიდმა სულიერმა ვნებათაღვლევათ, დედობრივ გრძობათა გამოვლენის სიმართლემ და უსუალობამ, უღრვეკმა ნებისყოფამ, გმირულმა სულმა და პირდაპირობამ.

განსაკუთრებული სიძლიერით ატარებდა მ. დავითაშვილი უკანასკნელი მოქმედების სცენას, როდესაც ვერაკი ფინანსის წევრებსავე ასამართლებდნენ მის ვაჟს — ფეოდორს. ეს უკანასკნელი შეუბრალებლად დაინტერესდა ვერაკი მტრის შაშით და წარბმუხრელად გამოეთხოვა თავის ხანმოკლე მშფოთვარე სიცოცხლეს. მ. დავითაშვილი — ტალანოვა განადგურებულია, მაგრამ უსაზღვროდ ამაყი. იგი ფრთხილად მსხვერუდი დედა, მაგრამ წელგამართული მოთბეულია, ვინაიდან მისმა შვილმა ფასდაუღებელი სამსახური გაუწია სამშობლოს.


მსახიობმა ღრმად დაგვიმასოსვრა პატარა რუსი დედაკაცის უღრვეკი ნებისყოფა და ადამიანური მოშინებულობა.

საუბრით განსხვავებული სახე შექმნა მ. დავითაშვილმა ა. ალბაძის — „მდეღვარე დღეებში“. დრამატურგმა თავის პიესაში ოსტატურად ასახა 1920-21 წლებისთვის დამახასიათებელი „მშფოთვარე სული“, ამოქმედა როგორც პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობა, ასევე წარსული, ნებიერი ცხოვრების უკანასკნელი მოქიანები. მ. დავითაშვილმა დიდი შემოქმედებითი ფანტაზიით წარმოსახა არისტოკრატიული ოჯახის ტიპური წარმომადგენელი — ანეტა. მსახიობმა თავისი გმირი განტვირთა ყოველგვარი ზედმეტი თეატრალური მანერებისაგან, თავი აარიდა ეგრეთ წოდებულ „ჩაქცეტირებას“, იყო სრულად უბრალო და სადა.

მაღალი, ნატიფი გარეგნობის, მხრებში ოდნავ მოხრილი, ფერმართალი და მუდამ შინარგვი გამომეტყველებით აღსავსე სედიანი თვალები — ასეთად წარმოვიდგებოდა ანეტას გარეგნული პორტრეტი, რომელიც საოცრად ერწყმოდა მის შინაგან ბუნებას. იგი გვიჩვენებდა შექმნილი მდგომარეობით სასოწარკვეთილ ქალს, რომელიც ფუფუნების ბურანიდან ჯერაც ვერ გამორკვეულიყო. ანეტა გრძნობდა, რომ უკვე ვეღარ იბოვირებდა, რომ მისი თავისუფლება უკანასკნელ წუთებს ითვლიდა, ამიტომაც იგი შემადარწმუნებელ წინათგრძობას მოეცვა. მსახიობის თვალები მთელი სპექტაკლის მანძილზე სწორედ ამ დიდ სულიერ ტრავმას გადმოგვიცხვდა.

დრამატურგმა სოსო ბეგიაშვილმა გაასცენიურა ინგლისელი მწერლის არჩბობად ჟოზეფ კონინის ცნობილი რომანი „ბროულის ციხე-სიმაგრე“. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე იგი გადიოდა „კერპის“ სახელწოდებით. ჯემს ბროულის მეუღლეს — მარტარეტს დიდი გრძნობით ანახიერებდა მერი დავითაშვილი.

როგორც ბროულის ოჯახის ყველა წევრი, მარგარეტიც ქმრის შინა-მორჩილი იყო. საბრალო ქალი მთელი სიცოცხლის მანძილზე გასაოცარი მითმინებით იტანდა ქმრის ველურ ბუნებას, რომელიც აუწერელ ტანჯვას აყენებდა საკუთარ შვილებს. მოსიყვარულე დედა მამფრად განიცდიდა თავისი



ანა ჰავერი (ს. ბეგიაშვილის „უნიობი“)

ოჯახის უბედობას, მთელი არსებით თანაუგრძნობდა მამის ალერსს მივლბულ შვილებს. მარგარეტის უბრალოდ გამოხედვაც კი გაგრძნობინებდათ მისი ოჯახის საერთო განწყობილებას, იმ დაძაბულ ვითარებას, რაც მაიი მუდმივით თანამგზავრი იყო.

ბროულის ყოველ შემოთავაზებულ წინადადებას მარგარეტე მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა, არ უნდოდა მის ნებას დაყოლოდა, მაგრამ მისი გაბრძოლება იმდენად უშეყო იყო, რომ მისგან უმნიშვნელო კვალიც აღარ რჩებოდა. ასე მოხდა მაშინ, როდესაც გულქვა მამა თავის ვაჟიშვილს — მეტრუს შორეულ ქვეყნებში გზავნიდა „მარფათის“ შესაძენად. დღის წინააღმდეგობა ამაო იყო. მეტრე გაემგზავრა და რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა გადაგვარებული, გზასაცდენილი. დანარჩენი შეიღებებიც უკვლამართი ოჯახური გარემოცვის მსხვერპლინი შეიქმნენ.

ლონმონილიმა, განვლილი ცხოვრებისაგან გამოფიტულმა მარგარეტმა ვეღარ გაუძლო და ტანჯვით დაასრულა თავისი ფერმართალი სიცოცხლე.

მერი დავითაშვილმა ყოველგვარი სენტიმენტალობის გარეშე, დიდი სიმართლით მოგვითხრო ბურჟუაზიული ყოფის მახინჯი გადმონათვის უღელქვეშ მოქცეული უმწეო ქალის

ამაღლებულნი ცხოვრების შესახებ.

დღობორვი გრძობის გაუცვლელი თვისებები სულ სხვა კუთხიდან გამოიჭრა მსახიობმა ს. ბეგიაშვილის — „უცნობ-ში“. ანა პავერი — მ. დავითაშვილის შესრულებით აქაც მოსყვარულე დედა, მაგრამ ამჟამად ის სულ სხვა სიტუაციაში უნდება დღობორვი გრძობის გამოვლენა. მისი ვაჟი რი-პარდი ომის დროს უგზო-უკვლოდ იკარგება. სასოწარკვეთი-ლი დედა წლების მანძილზე ამაოდ ძებნა საყვარელ შვილს, რომელიც დიდხანს საავადმყოფოში იწვა, ხოლო შემდეგ ბა-რონესა როზენკრანცთან ცხოვრობდა, რომელიც დღობორვი მზრუნველობას არ აკლებდა. ბოლოს მაინც მიაგნო ქალბა-ტონმა პავერმა შვილის ადგილსამყოფელს და დადგა ის ნეტარი დღეც, როდესაც პირისპირ უნდა შეხვედროდა დიდი ხნის დაკარგულ შვილს, პავერი-დავითაშვილი მეტრისმეტად ღელავდა პირმშობთან შეხვედრის წინ; საკუთარი ხელით ალაგებდა ავეჯს, რათა თუ შემოსულ რიპარდს მესხიერებაში ისეთივე თანმიმდევრობით აღდგენოდა ყველაფერი, როგორც მის წასვლამდე იყო. თითებს იმტვრევდა, ბოლოს ცემდა, უზრუნველად აცვევდა თვალებს, თამბაქოს ხაზბად ეტანებოდა და აპა... დაინებით შესქქირან ერთმანეთს დედა-შვილი. პავერი-დავითაშვილი მიეღო სხეულით მიიწვეს წინ, თვალის უკვებთან ცრემლები უბრწყინავს, სახის ნაკეთები უორთის, ხელებს იწვიის შვილისაკენ, მაგრამ რიპარდის მესხიერება ომის საშინელ დღეებს იმეგარად დაეჭრდილა, რომ მან ვედარ იცნო საკუთარი დედა და ის ოჯახი, სადაც გაატარა უზრუნ-ველი ბავშვობა.

ღედის გული ორმაგად იკოდება. იგი გრძობს, რომ სა-ბოლოოდ უნდა შეურიგდეს თავის მწარე ხვედრს — დიდი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ ნაპოვნი შვილის სამუ-დამოდ უნდა გამოეთხოვოს. მიძიება დედისთვის ამის შეე-ნება!..

მ. დავითაშვილის ანა პავერმა თავისი წრფელი ვნებათა-ღელვით მასურებელიც ააღელვა.

მერი დავითაშვილმა მრავალი გამოკვეთილი, მხატვრუ-ლად დამკარგებელი სახე შექმნა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. მის მიერ წარმოსახული პერსონაჟები იმდენად რეა-ლურნი და ცხოვრებისეულნი არიან, რომ რიგითი მასურე-ლი მათ აღიქვამს, როგორც ყოველდღიური ცხოვრებიდან აღე-ბურ რომელიმე ტიპაჟს. მერი დავითაშვილი რეალისტური სკოლის ტრადიციებზეა აღზრდილი და მთელი მისი შემოქ-მედება ამ მიმდინარეობის განვითარებას უბნის ხარისხს.

მ. დავითაშვილი — როგორც რეალისტი და უზაღლო სა-სასიათო ნიჭით დაკავშირებული მსახიობი — განსაკუთრე-ბული ცხოველმყოფელობით გამოჩნდა მ. ბარათაშვილის — „ჩემ ყველფილში“, თვალწინ გავიქონცდა ქარაფშულა, თავ-ნება, ყვობისტური ბუნების მქონე ქალის — ნიმფას მეტად საინტერესო პორტრეტი.

ნიმფა თანამედროვე ქალაქის ხორცმეტია. მისი თვალთა ხედვით სამყარო მემშანური სიფრცხა, სადაც მხოლოდ „უკლე-რამოდერნული“ ადამიანები და ნივთები უნდა არსებობდნენ. უბრალოებას ნიმფა ვერ ეგუება, მისი ბუნება შორს დგას სოფელიური იდილისაგან, ქალაქის შფოთიანი, ტემპიანი ცხოვრება იზიდავს, მაგრამ სამწუხაროდ იგი ადამიანებსაც ვერ იტანს. ოჯახის ახალი წევრის შემომატება მას დიდ სისულელედ და ახალგაზრდა ცოლ-ქმრის დაუკვირებელ ნიბადად მიანია. ამიტომაც, სიბერის ვაჟს მისი ერთადერთი ნუგეშია ინგლისური ჯიშის პუდელი — დიანა! უნდა გენახათ, როგორ ევლებოდა თავს დიანას ნიმფა-დავითაშვილი, რამდენ ლირიზმსა და სითბოს ავლენდა მასთან აღრისის დროს, მაშინ როდესაც სოფლის მშრომელ ადამიანებს ზიზღნარევი ცინიზმით ესაუბრებოდა.

როლის ბუნება მსახიობს ყოველ წუთს უბიძგება უგე-მოვნების, გამარჯვების ცდუნებისაკენ; საკმაოდანი იყო ზომი-ერების ოდნავი აცდნა, რომ ძირფესვიანად შეცვლილიყო ნიმფას წარმოსახვის ტრაქტოვკა. მ. დავითაშვილმა ბრწყინ-ვალედ გადალახა ეს საშიშროება და ჩვენი საზოგადოების-თვის მიღებული წევრის განზოგადებული სახე შექმნა.

მ. დავითაშვილმა თავისი ხალასი ნიჭის ძალა ეკრანიდა-ნაც გვაგრძობინა. ეკრანზე მის მიერ შექმნილი სახეები ისეთივე სისადიგია და სიმართლის გრძობით გამოირჩე-ვიან, როგორც სცენაზე.

რომელ ჩვენთანაც დაავიწყდება შესანიშნავი ქართული კინოკომედია „ქეთო და კოტე“. ფილმის წარმატებაში სახე-ბი-თან ერთად მერი დავითაშვილის ექსცენტრულად განსახიბ-რებულ ქაბატოსაც მიუძღვის წილი. მსახიობი მიმართავს შესრულების მწვევე სატირულ ფორმებს, ბოლომდე აშკარავეს გაიძვირა მაჭანაღის ანგარებიან ბუნებას, დაუნდობელი სარ-კაზმით დასცინის თავის გმირს, რითაც მიგვანიშნებს ქაბა-ტის მსგავს დროგადასულ „ბანოვანთა მოღვაწეობის“ უსუს-რობაზე.

თიშალ-მაკოს აქტიორულად საინტერესო სახე შექმნა მ. დავითაშვილმა კინოფილმ „ბაში-არჯუში“. სულ რამდენ-ნიმე ფრაგმენტები აქვს დათმობილი იმ კინოკადრებს, სადაც გლინდება სამშობლოს ორგული დედაკაცის თიშალ-მაკოს ხარბი, ავეროზო ბუნება. მსახიობს საინტერესო მეტყველი მიმიკა და თვალები აქვს, მისი გარეგნული იერი თვალნა-ლივ აშკარავეს იმ ღვარძლიან, ბილწ ზრახვებს, რაც ამოძ-რავებს თიშალ-მაკოს.

მერი დავითაშვილმა შემოქმედების მეტად ნაყოფიერი და მრავალმხრივ საინტერესო გზა გაწვლი. მიმდინარე წლის ნოემბერში მსახიობს შეუსრულდა დაბადების სამოცი და სასცენო მოღვაწეობის ორმოცდახუთი წლისთავი. ღვაწლმო-სილი შემოქმედის გმირთა მდიდარ გალერეას კვლავ ბევრი მაღალმხატვრული სახე შეემატება.

გზა მკურნალის გულაჲდ

სტეფანე მხარგრძელი
ალექსანდრე მხარგრძელი

ქ ელისციხე 1936 წელი... სახელმწიფო თეატრი უკვე ხუთი წელია რაც შემოქმედებითი აღმავლობის გზას ადგას. საქარბელოში ეს ერთადერთი სოფელია, რომელსაც თავისი თეატრი აქვს. მზადდება პიესა „შანანაჲ“. იშვიათად როდი ხდება, რომ ცალკეული როლების შესასრულებლად მსახიობებს თბილისის თეატრებიდან იწვევენ. და, აი, გადაწყვედა — შაპის მეორე ცოლის როლზე რუსთაველის თეატრის მსახიობი თიკო ღვინიაშვილი მიიწვიონ (შემდგომში იგი დღეიდან მუშაობდა ელისციხეში). რადც მიზეზის გამო მსახიობი ვერ ჩამოვიდა. პიესის დადგმა საფრთხეშია. რეჟისორი იძულებულია როლის შემსრულებელი დაეკლებოდნენ გამოქვინის. ელისციხის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი ხომ ძირითადად ამ სოფლის ძალებით იყო დაკომპლექტებული...

არჩევანი მარიამ ღაღაშვილზე შეჩერდა. იგი მუსიკალურ თეატრში იზრდებოდა. მამამისი, პროფესიით მეღვინე, კარგი მომღერალი და თეატრის დიდი მოყვარული იყო, უანგარო დახმარებას უწევდა ელისციხის დრამატულ დასს. ცნობისმოყვარე და ალლიანი გოგონა პატარაობისას საშინაო წარმოდგენებში მონაწილეობდა, ხანდისხან სცენისმოყვარება მიერ დადგმულ ოპერეტებშიც კი მღეროდა. ოცნებობდა მსახიობი გამხდარიყო. და რეჟისორი არც შეწყდარა, როცა გადაწყვიტა თეატრში სიცოცხლით სასუბე, ბავთებიანი გოგონა მოეყვანა.

დამწყები, ნორჩი მსახიობი გულის ფანქცხლით მოელოდა ფარდის გახსნას. როლი პატარა, მაგრამ ტრაგიკული საყვარელი იყო. ღვაწლმოსილი მსახიობი ახლაც ისეთი დიდი მღვლავარებით იგონებს სცენებს, თითქოს ეს-ეს არის ახლა ხდებოდა:

— შაპის წინააღმდეგ შეთქმულებაში ჩემი შეილი მონაწილეობს. შაპი ამ ამბით განჩინებულა. მე, როგორც დედა,

პატიებას ვთხოვ, მაგრამ... „მორათვით ძირფეასი ძღვენი დედას!“ — იმის შაპის ბრძანება და ხელგაგასისლიანებულ ჯალათს შეილის თავი შემოაქვს. ერთი კი შეყვარებულ და მეტი არაფერი მახსოვს... ახალგაზრდა მსახიობი შემოქმედებითად იწვოდა სცენაზე, მაყურებლის თვალში ტანჯული დედის სახე ცოცხლდებოდა. მის შევივლებს დარბაზში ხალხის ქეთინი შეურთოდა. ტაშმა იგრიალა.

— ვინ არის ეს მსახიობი? — კითხვობდნენ მაყურებლები.

კულისებში რეჟისორს ცრემლები მოაწვა. მას აღეღებოდა ნიჭიერი მსახიობის აღმოჩენა. ამ ხნიდან მოყოლებული მარიამ ღაღაშვილი მტკიცედ დაადავა თეატრალური ხელოვნების გზას, ზოგჯერ ყვავილებით მოფენილს, უფრო ხშირად კი კვლიანსა და ძნელად გასავლელს. ამ გზაზე თუ წაბოძებოდა, ხან რეჟისორის, ხანაც თავისი უფროსი, გამოცდილი მეგობრების ხელი მიეშველებოდა. იგი საბოლოოდ დაიხვეწა როგორც მსახიობი, რეჟისორი უკვე გაბედულად სთავაზობდა მთავარ როლებს. მაყურებელს არ დაეწყვიდებოდა მისი ხანუმა — მოხერხებული, გაბედული და მატყვარა მატყვარალი ა. ცაგარლის ამავე სახელწოდების პიესაში, კრუჩინა — ა. ოსტროვისკის „უღანაშაული დამბავებში“, კინტო — ა. წერეთლის ამავე სახელწოდების პიესაში, კატო — „ქაჯანაში“ და სხვ.

1941 წელი. ომის საშინელებამ თეატრის ფარდის მიღამ შეადგინა. მარიამ ღაღაშვილი ამ დროს უკვე თელავის სახელმწიფო თეატრშია. მსახიობები მოკლებული იყვნენ მუშაობის მინიმალურ პირობებს, მაგრამ ჭკმშარტიტ ხელოვნება ომის მიმხედ დღეებშიც მიიკვარდა გზას. ამ დროს თეატრში მოღვაწეობდნენ: ვახტანგ ჩელითსპირელი, გრიგოლ და ქეთევან კველიძეები, ქეთევან მატყვარაინი, პლატონ ახვლედიანი, ალექ-



სი კუპატაჲე, გიორგი მამუჩიშვილი და სხვები. თეატრი ხშირად მართავდა საშუალო კონცერტებს კოსპიტლებში როგორც საკუთარი ძალებით, ისე თბილისის სახელმწიფო ფილარმონიიდან ჩამოსულ სცენის ოსტატებთან — ვასო გოძიაშვილთან, მერი ნაკაშიძესთან, მერი შილდელთან, ელისაბედ ჩერტუხიშვილთან, მიხეილ ყვარულაშვილთან ერთად. ომის წლებში თავდადებული და ენერგიული მუშაობისათვის მარიამ ღაღაშვილს მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები — მედლები და საპატიო სიგელები.

მ. ღაღაშვილი ერთნაირი ძალით ასრულებდა ტრაგიკულ თუ კომიკურ როლებს, შთაგონებით გადმოსცემდა შეყვარებული ქალისა თუ დამწუხრებული დედის განცდებს. სხვადასხვა დროს მსახიობმა მალაღმსატრულად და შთამბეჭდავად განასახიერა კლდე („ვერატობა და სიყვარული“), ზინაბი („დალატი“), ნინო („დაჭრილი არწივი“), დარო („ვაზის ტრინილი“) და სხვ. 30 წლის განმავლობაში მას 200-მდე როლი აქვს განასახიერებელი და კვლავ მრავალს აპირებს სხუი შეილიშვილის ბებიას.



მ. ლაღაშვილი სპექტაკლში „სიყვარულის წისკვილი“

... მოსოვიდან ჩამოსულმა ცნობილ-
მა თეატრალურმა კრიტიკოსმა ა. ფე-
რასკიმ თელავის თეატრიც მოინახუ-
ლა. მას ახლდნენ რესპუბლიკის სახალ-
ხო არტისტი დიდი ალექსიძე და ხე-
ლოვნების დამსახურებული მოღვაწე
შალვა შვანაძე. რუსი კრიტიკოსი
აღფრთოვანებული იყო ლაღაშვილის
მიერ ჯავარას როლის შესრულებით
ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილში“. მან გა-
ნაცხადა: „ლაღაშვილის მიერ შესრუ-
ლებულ ჯავარას როლში იგრძნობა დე-
დის ცოცხალი გული, მისი მშფოთვარე
ფეთქვა, ჯავარას მიმე ცხოვრება, მისი
სულიერი ტრაგიზმი, სვედა დაკარგული
სამშობლოს გამო. იგი ბასას უნება
ყველაზე მკაცრ სიტყვებს, სწყველის და
კიცხავს მას, მაგრამ მთებში მიანიც
იხიზნება მასთან ერთად, დედა ვერ
ტოვებს გაუბედურებულ, გზასაცდნილ
შვილს. შემაძრწუნებელია უკანასკნელი
სცენა, როდესაც ჯავარა უახლოვდება
ბრძოლის ველზე განგმირულ შვილს. ის

სადაც ბედნიერია, რომ ზინი შვილი
მოღალატე არ არის“.

სპექტაკლში „ვაზის ტირილი“ ერთ-
ერთი საინტერესო და დასამახოვრებელ
ლო სახე დარო, რომლის ხასიათს ბუ-
ნებრივად და ზომიერების გრძნობით
ძერწავს მარიამ ლაღაშვილი. სპექტაკ-
ლის წარმატება მნიშვნელოვნად განა-
პირობა, მისმა შესანიშნავმა თამაშმა,
გარდასახვის დიდმა უნარმა.

მსახიობს ხშირად მოსდის წერილე-
ბი რიგითი მაყურებლებისათვის. ეს სწო-
რედ ისინია, თეატრის დარბაზს რომ
ავსებენ და ტაშის გრაილით სხვა ღირ-
სეულებთან ერთად მ. ლაღაშვილისადმი
დიდ სიყვარულსაც გამოხატავენ.

პარტიამ და მთავრობამ ჯიჟოვად
დააფასეს მ. ლაღაშვილის მოღვაწეო-
ბა — საქართველოს სსრ დამსახურებუ-
ლი არტისტის საპატიო წოდება მიანი-
ჭეს, ხოლო მსახიობისათვის არანაკლებ
დიდი ჯილდოა მაყურებლის უმწიკველი
და თავგანჯარა სიყვარული.

კაკი ნაკთილია და ბორის

საზოგადოებრივია

ლეონარდ ჯულბაშვილი



ველად საქართველოში მრავალი
ლიტერატურული წრე არსებობდა,
რომლებიც ხელს უწყობდნენ საზოგადოების მსოფლმხედ-
ველობის ჩამოყალიბებას, აქ, ამ წრე-
ებში ვლინდებოდნენ ეპოქის ნიჭიერი
ადამიანები და აქედან გადიოდნენ ფარ-
თო შემოქმედებით სარბიელზე.
აკაცი წერეთელი ასეთი წრეების სა-

პატიო წევრი იყო და ცხოველ მონაწი-
ლეობას იღებდა კულტურის ამ პატარა
კერების საქმიანობაში. ლიტერატურის,
ისტორიისა და ხელოვნების საკითხებზე
საუბრის, მსჯელობის ყველაზე უკეთეს
ადგილად პოეტს გორის ლიტერატურე-
ლი სალონი მიაჩნდა.

გორი გამოირჩეოდა რევოლუციური
ტრადიციებით. ამ ქალაქი ქალაქის სა-

ზოგადობრიობა იყო ტონის მიმცემი
პროგრესული წამოწყებებისა არა მარ-
ტო ქართლში, არამედ მთელ საქართვე-
ლოში. გორში მყოფი მწერლები, პოე-
ტები, ისტორიკოსები, მოგზაურნი მო-
ხიბლულნი უძველესი ქალაქის კოლო-
რიტითა და გორელთა სტუმართმოყვარე-
ობით, სულიერ სიმშვიდეს ნახულობ-
დნენ მოწინავე ადამიანთა ოჯახებში,
სადაც მათი გრძნობები და ფიქრები
ცოცხალ გამოხმაურებას კპოვებდნენ.

ერთ-ერთი ასეთი კერა — ბეკთაბე-
გიშვილების ოჯახი გორის ძირითად ლი-
ტერატურულ სალონად ითვლებოდა. აქ
თავს იყრიდნენ კულტურის მოღვაწენი,
ხელოვნების მოყვარულნი, ხალხური
მთქმელები, აშუღები, მეღადკაეები, მე-
ზურნეები და სხვ.

სალონიში მიმდინარებოდა ლიტერა-
ტურული, მეცნიერული დისპუტები, კა-
მათი, გულთადი საუბრები. სალონის
თვითულ წევრს მონაწილეობა უნდა
მიეღო შემოქმედების რომელიმე სახეში.
ასეთები იყო: ლექსების წერა, მჭკმრე-
ტყველება, ფიგურალური თქმანი, ექს-
პროზები, მუსიკალური შესრულება,
ცეკვები, დეკლამაცია...

გორის სალონი პროფესორ ალ. ხახანაშვილის ინიციატივით გორის ლიტერატურულ წრეში ჩააბეს ქართლის სოფლების მცხოვრებელ და მოკლავქენი.

სალონი იკრებოდა ბევრბავიშვილების ორსართლიან სახლში, რომელიც გორის ციხის სამხრეთ ფერდობზე ყოფილ მთის ქუჩაზე იდგა. შორიდან ჩიტის ბუდეს ჰგავდა, ამიტომ აკაკი წერეთელმა მოხერხებულად „ბუდე“ შეარქვა. ალ. ხახანაშვილი თავის მახლობელთა წრეში შირიად ივონებდა აკაკის გამოთქმას „ბუდეში მივდივარ“.

აკაკი განიზრდა გორში სახალხო ზეიმიდ იქცეოდა. იგი ხშირი სტუმარი იყო ერისთავის, ჟულაშვილის, თუმანიშვილის, ჯავახიშვილის, ფლავიანდიშვილის, ჩიკოტიძის და სხვათა ოჯახების. განსაკუთრებით საყვარელი და სასატიხო სტუმარი იგი ბევრბავიშვილების სალონი იყო. სალონის დიასახლისი — ნინა შირინის ასული ბევრბავიშვილი განათლებული, ჭკვიანი და ენერგიული ქალი შირიად აწუხავდა მიღებებს, მეჯლისებს ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა მონაწილეობით.

სხვა სალონებისგან განსხვავებით გორის სალონი აკაკისა და ხახანაშვილის ინიციატივით მიიზიდეს დემოკრატები — ე. წ. „მანდილოსნები“ ქართლ-კარაღეთის სოფლებიდან, ტყვიანიდან, თორატყვიანი, ძეგურადან და სხვა სოფლებიდან. „მანდილოსნების“ მონაწილეობა, პროფესული ტანსაცმელი, ხალხური მფლოდიები და ცეკვები, რომლებსაც ისინი შევრებებზე ასრულებდნენ, სალონს ორიგინალურ ეროვნულ კოლორიტს ანიჭებდა.

ნინო ბევრბავიშვილი მეგობრების დამხარებით ამზადებდა მუსიკალურ საღამო-წარმოდგენებს, სიმღერის მოყვარულთა კამერულ ნომრებს, აგრეთვე რუს, ქართველ და სომხ მწერალთა ნაწარმოებების მინიატურულ დადგმებს. იდგმებოდა ლერმონტოვის, კრილოვის, ა. წერეთლის, ა. ცაგარლის, გ. ერისთავის, ო. თუმანიანის, ვ. გუნიას ნაწარმოებები.

ლიტერატურული წრის ტონის მიმცემი იყო გამოჩენილი ადამიანები: ა. წერეთლის, ო. თუმანიანის, ა. ხახანაშვილის,

თ. ჟორდანიას, ნ. ლომოურის, მ. გოგლიძის, ექიმ ი. სააკაშვილის, მ. ილურდიძის და სხვათა მონაწილეობა.

ა. წერეთლის მონაწილეობა განსაკუთრებულ ინტერესს და შემოქმედებით ენერჯის მატებად გორის სალონის მეგობრულ კოლექტივს. პოეტი კითხულობდა ლექსებს, ექსპრომტებს, ბრწინავდა იმპროვიზაციებს; კლამბურული რითმებით, მსვლილი სიტყვით და აზრით იაყრობდა მსმენელებს. სალონის წევრები აღფრთოვანებული იყვნენ პოეტით და დიდი სიყვარულით უხდიდნენ მადლობას ამ „ბუდეში ელვარე კეთილშობილ ბიბლიურ პროგრესს“ (ა. გარსევანიშვილის მოგონებებიდან).

გორის სალონი დიდად დაინტერესებულ იყო ქართველ მოწინავე ადამიანთა საქმიანობით. წრემ დიდი სხარულით მიიღო ცნობა ყოველკვირეულ ილუსტრირებულ სამეცნიერო-ლიტერატურულ ჟურნალ „კვალის“ გამოსვლის შესახებ. ლიტერატურული კრებების მონაწილენი ისმენდნენ პოპულარულ პირების ნაწინაო ოპერებიდან, „ვეფხისტყაისის“ მხატვრული კითხვის რეპეტიციებს, სწავლობდნენ უკვდავი პოემის აფორიზმებს და სტროფებს.

წრეს თავისი ბიბლიოთეკაც ჰქონდა „ვეფხისტყაისის“ იშვიათი გამოცემებით, რომლებსაც სპეციალურად გაკეთებული ნომები, წალაში იწყო. ასეთ წიგნებს „წალის წიგნებს“ უწოდებდნენ. ამოჯან განსხვავებით, ჰქონდათ კიდევ ე. წ. „თაროს წიგნები“.

მუშაობის დროს წრის წევრებს, რომლებიც მრავალი მაგიდის ირგვლივ იჯდნენ, აღუდგინდნენ „წალის წიგნების“ იგზუმბლარებს და იწყებოდა ლიტერატურული კითხვა, იმპროვიზირება. ა. ხახანაშვილი ჰყვებოდა სასარგებლო და საინტერესო ამბებს საქართველოს წარსულიდან და აკაკის თანდასწრებით კითხულობდა პოეტის უკვდავი ნაწარმოებებიდან ნაწყვეტებს. პროფესორი და მწერალი ჟურნალისტს იქცეოდა სახალხო-გამათავისუფლებელი იდეებით, განუმარტავდა მათ რუსთაველის კუმანურ იდეებს და აზრებს, რომლებზედაც აღმოცენდა საკაცობრიო იდეების დიდებული მატარებელი.

მწერალი ნიკო ლომოური მსმენელებს აცნობდა ძველ ქართულ ანდაზებს, თქმებს, დიდი აკაკის ლექსებს. სალონის ცხრა წევრისგან შემდგარი გუნდი მუსიკისა და სიმღერის მასწავლებლის, მ. გოგლიძის ხელმძღვანელობით ასრულებდა პოეტის საყვარელ სიმღერებს. საიმპროვიზო უხმენდა მსცოდინი მგოსანი ქალაქურ მღვთავის — ბაიათებს ეკატერინე (კეკო) ზახუნაშვილის შესრულებით. აღმოსავლურ ცეკვებს ასრულებდნენ დები სოლოლაშვილები — „თავდახურილი ქალები“ დარჩისა და ვიკტორის აკომპანემენტით.

ლიტერატურული წრის წევრთა ერთი ნაწილი ექსპურსიებს და ვაკეიერებებს აწყობდა ქალაქკარეთ. ბერშუეთში ისინი ეწეოდნენ დავით ტარსაძის, ტარსაძისების სიძის — ცნობილი ისტორიკოსის თედო (ტოდო) ჟორდანიას ხშირი სტუმარი იყვნენ მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერნი, ხელოვნების მუშაკენი და გორის ამიერკავკასიის სამსწავლებლო სემინარიის მასწავლებლები. ისინი დიდი ინტერესით ეცნობოდნენ თ. ჟორდანიას მიერ ამიკოთხეულ უძველეს წარწერებს, ქრონიკებს, სახა-ხაგანებს.

განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ წრეში გაერთიანებულნი ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული პოლიტიკური მუხლიკაციებით, რუსული რევოლუციური ლიტერატურის ქართული თარგმანებით და მათი გაუგებრა ამიერკავკასიის სახლთა ლიტერატურაზე. თედო სახოკია აცნობდა მათ პოლინგულ, ბულგარულ და სხვა ქვეყნის მწერალ-რევოლუციონერთა (ბა-ზოვი, მილოკუსკი, ივანოვიჩი) თონაშვილისეულ (ოყროშიძე), გოგლიძისეულ, ილურდიძისეულ, ლომოურისეულ და სხვათა ქართულ თარგმანებს.

ლიტერატურული წრე ზაფხულობით ინაცვლებდა ტყვიის გზაზე მდებარე სოფელ ბადაბეთში. დიდი მგოსანი აქაც შირიად ჩამოდიოდა წრის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და ამ ლამაზ კუთხეში, ვენახების, ყვავილანარისა და ბაღების სიმშვენიერით აღტაცებული უმღერდა ჭადარა გორსა და მის დიდებული ისტორიულ ციხეს.



ალექსანდრე შანიძე

სიძლერად ქმეული სტრიქონები

კონა მიქაძე



იმდერა ადამიანის სულის სარკეა, მისი სევდისა თუ სიხარულის გამომსახველი. ამ სარკეში პირველად პოეზიის ნაზი სტრიქონები ჩაიხვდაც, ჩაწვდებდა და შემდეგ კომპოზიტორის მიერ მელოდიად აქლერებული მსმენელს სიამეს და სიხალისეს აგრძნობინებს.

დღეს ვერ ნახავთ პოეტს, რომლის რამდენიმე ლექსი მაინც სიმღერად არ ქვეუღოცს. კომპოზიტორსა და პოეტს შორის თითქოს იდუმალი სულიერი კავშირია დამყარებული. კარგი ლექსის საუკეთესო ხვედრია სიმღერაში აქვრებდა.

პოეტ ალექსანდრე შანიძის მრავალ ლექსზე დაიწერა

მუსიკა, რომელიც ხალხმა შეითვისა და შეიყვარა. დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა მისი ლექსის „მებრძოლის სიმღერის“ მიხედვით დაწერა ამავე სახელწოდების სიმღერა. ამ ნაწარმოებში კომპოზიტორმა ქართველი მებრძოლის გმირული სული და პატრიოტიზმი ჩააქსოვა. ქართველმა ჯარისკაცმა იგრძნო ეს და შეიყვარა მასზე დაწერილი სიმღერა, რომელსაც მღეროდა სანგრებში, მტერზე მომავლენიებული იერიშისთვის გამზადებული. სიმღერა იქცა მის მეგობრად, იგი მხარში ედგა, ამხნევებდა, ძალასა და ენერგიას მატებდა ძნელებლობის ეამს.

ხალხმა თავის საკუთრებად აქცია ტკბილი, საამოდ სასმენი სიმღერა „ჩემო ტკბილო მეგობარო“.

ამ სიმღერას ხშირად ვისმენთ რადიოთი და ტელევიზიით, აღსანიშნავია, რომ იგი იქცა მარშად და არა მარტო თბილისში, არამედ საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში სრულდება პარადის დროს.

პოეტმა ქებისა და დიდების სტრიქონები უძღვნა შრომის გმირ ქართველ ქალს, ქართველ დედას. ეს ლექსებია „სიყვარულმა მათქმევინა“, „ქართველი დედაც“, „მოხვევ ქალს“ და სხვა მრავალი. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მარიამ არჯვანიშვილმა ისინი სიმღერად აქცია და ხალხს კიდევ უფრო შეაყვარა.

ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა შოთა მილორავამ მის პატრიოტულ ლექსზე „სამშობლო ჩემო“ დაწერა მელოდიური სიმღერა სიმღერასთვის. პოეტის ლექსებზე დაწერეს სიმღერები აგრეთვე კომპოზიტორებმა ილია იაშვილმა „უბუკთა სიმღერა“, „შავვერდანი და თვალმბაყვალა“, ვ. ჭუმბურიძემ „რა ლამაზია, რა კარგია“ და სხვ.

კომპოზიტორმა ა. ბუკიამ ალექსანდრე შანიძის ლექსის „საოცნებო ვარდების“ ტექსტზე დაწერა ამავე სახელწოდების ლირიკული საესტრადო სიმღერა, რომელსაც ხშირად ვისმენთ ჩვენი ესტრადის გამორჩენილი მსახიობების შესრულებით. ახლახანს ეს ნაწარმოები „მუსფონდმა“ გამოსცა ნიჭის სახით.

მელოდიურია და სასიამოვნოდ ჟღერს ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ბიძინა გვერდიანის ახალი სიმღერა „თბილისური ლავარდები“, რომელსაც ესტრადაზე ასრულებენ. ახლახანს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ალექსანდრე შანიძის ახალ ლექსთა კრებული „რაც მინატრია“. პოეტის ნატერა, პირველ ყოვლისა, მისი სამშობლოს კეთილდღეობა, მისი ნათელი მომავალი, შშობლიური მიწის ლაღი სუნთქავა. ამ წიგნში შესული ლექსებიც ალბათ მალე იქცევა, ჩვენი კომპოზიტორების მუსიკის თეზად.


ალექსანდრე შანიძემ ამავე დროს ბიბლიოგრაფიისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის კარგი სპეციალისტიცაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ჯერ კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, შემდეგ საქართველოს სსრ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის სამეცნიერო მეთოდკაბინეტში. ბოლო დროს საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის ერთ-ერთი

ზ. შანიძის მიერ

ი. თოდუას მუსიკა



ალექსანდრე შანიძის ლექსის „მინივეს გამოცემა“ მიხედვით შექმნილი ი. თოდუას სიმულრა



ხელმძღვანელთაგანი იყო. მრავალი წლის მანძილზე რედაქტორობდა სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ორგანოს „წიგნის მატიანეს“, ამჟამად კი გამომცემლობა „განათლების“ ენისა და ლიტერატურის განყოფილების რედაქტორია.

ალექსანდრე შანიძეს სარეგონდაციო ბიბლიოგრაფიის დარგში გამოცემული აქვს წიგნები: „ლ. ნ. ტრულსტი (1828-1920 წ. წ.)“, „ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 60 წლისთავი“, „რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი“, ბიბლიოგრაფიკონფერენციის დარგში კი — „საუბარი წიგნზე“, „სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის პროპაგანდა მასობრივ ბიბლიოთეკაში“, „წიგნობრივი მუშაობა მასობრივ ბიბლიოთეკაში“, „წიგნობრივი ფონდის შესწავლა და დაკომპლექტება“, როგორ გამოვიყენოთ საქართველოს სსრ წიგნის პალატის გამოცემები მასობრივ ბიბლიოთეკაში და სხვ. ამ მეთოდურ წერილებში განზოგადებულია რესპუბლიკის მოწინავე ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილება, მონაწილეობა ბიბლიოთეკის ღირსეულ მუშაობაში მოღვაწეობაზე.

ბიბლიოგრაფიისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ა. შანიძეს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება.

პოეტი აქტიური საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ მოწინავე ლექტორია, ოცდახუთ წელზე მეტა კიბუხლობის ლექციებს რესპუბლიკის ფარგლებში ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის დარგში.

ამჟამად ა. შანიძე თბილისის ოქტომბრის რაიონის საზოგადოება „ცოდნას“ პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და ახალგაზრდობას შორის მომუშავე კომისიის თავმჯდომარეა.

ახლახანს ალექსანდრე შანიძეს დაბადების 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავი შეუსრულდა. პოეტი კვლავ ახალგაზრდული შემართებით ეწევა ნაყოფიერ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

„იეთიმ გურჯი“ თელავის თეატრი

ოთარ ევაძე

ძველი თბილისი... ვიწრო ქუჩა... პატარა ეზო... ღარი-
ბული თოხანი... სვედიანი დღეების ხმა:

„ამაჩრახო ჩემო თბილის ქალაქო
დაქარბული შენი შვილი მოველი“

სიმღერასავთი კარგი ახალი წარმოდგენით აცილებენ თე-
ლაველები მისმაველ 1967 წელს. უძველესი ქართული თეატ-
რალური ქიშკაის სცენური ბიგრიანდინად იეთიმ-გურჯის
დავიწყებული ხმაც გაიხმა და თანაც ძალზე სასიამოვნოდ.
ახალგაზრდა რეჟისორმა ლერი პაქსაშვილმა რე-
მანტიული ამაღლებულობითა და კოლორიტული ფერმეტყვე-
ლებით გამოჩინული სპექტაკლი შექმნა, რომელშიც მკაფიოდ
მიიჩრა აზრი, მოქმედება, შთო, ღაზათი, მხიარული სიტყვა
და სვედიანი მღერება. ოთარ მამფორიას ორმიქ-
მედებიანი პიესა „იეთიმ-გურჯი“ შთამბეჭდავად აქლერდა,
რადგან დრამატურგმა და რეჟისორმა გულთან ახლოს მიი-
ტანეს ძველი თბილისელი პოეტის სულის სიმღერა:

„სიყვარულის მგოსანი ვარ,
ვალაშუბნ დღა-ეგას,
ერთა შუა მაგალი ვარ,
ველას ეწეწას ვარდის ფენას“.

სპექტაკლი იეთიმ-გურჯის ლექსით არის მადლმოყრილი
და მისი ცხოვრების სვედა-სისარული ცრემლით ნაპყურები.
რეჟისორმა წარმოდგენა ამაყი ცოცხალი სურათით. არც
თუ შორეული წარსულის იერსახეები ერთიმეორის გვერდით
მილაგდნენ. ძველი თბილისის ორსართულიანი ქუთაისის
სახლის ეზოში კარგე-ბორტების გამწევი ადამიანები ერთი
წახით გაირიხნენ, თითქოსდა ისტორიის ფოტოაპარატის
ჩამახანის ჩამოყვას ელიათ. მარჯვენა კუთხეში პოლიციის
ოფიცერი ხოფელი და მისი სიდღერი გულჩინა ერთმანეთს
ეთავაზებან, ღვინო ვაჭარი ბეჭთაბეგოვი სკამზე მდიდუ-
რად ჩამოხდარდა და დებილი შვილი ჯერანაც გვერდში ამო-
წყუნებთა როგორც თავისი კლასის სოციალური გადაშენების
სიმბოლოური მანიშნებელი. შორი-ახლა მიღდარი შობლე-
ბის სისაბიძო დაღუპული ელი აბუხულა და შინაშისასხაზე
გოგინა და ლეკი გამზაც წელით მოუხულან. შუბლაგუსხელ
პოლიციელს თოფი მოუღერებია და მეგობრის გამცემ წყა-
ლობასაც უწინდარი გული გაუღვლია.

მარცხენი ამაღლებულ ადგილზე კი კლასობრივი თვით-
შეგებით შემჭიდროვებელი გუნდი შეკრულა, — შუმა-რე-
ვიდუციონერები უფლია და ბაგრაბა, მედულეკ ცოქა, მი-
ტიკინა თოფანი და ყველას კაიკაციობის სული და გული იეთიმ-
გურჯი.

სპექტაკლის ექსპოზიციის წინათქმად წამღვარებული ამ
ცოცხალი სურათის თვითუკული პერსონაჟის სახიანი სი იხე-
დებია, რაც შემდგომ წარმოდგენაში ვითარდება: რადნიჭი
წაშში საკვდარი-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ადამი-
ანების სოციალური მრწამსის შეჯახების მოახლოების გრძო-
ბა აღიქმის.

წარმოდგენის ავტორებმა თანამედროვეთა გრძობებისა და
აზრის შესადარი სცენური თხრობა-სანასანი გახანების, რე-
მეზული სულორად ჩაგრული ადამიანების მიმე წარსული
ღრმადიკუმენტურობითაც იკითხება და მისი წგრვების მიუ-
კრძარებლად გადმოცემის უნარიც იგრძნობა. იეთიმ-გურჯი

დუბლიერ ცხოვრებში გამტარ-ვამძლეობისა და ბორტების
დამძლე სიმღერა-ლექსებს ასწავლის თავისავით ღარიბ, მაგ-
რამ სულით მიღდარ ადამიანებს. იგი პატიოსან შრომას
უმღერს და მუშას ადიდებს:

„ყოცხალი ვარ — მას ვუმღერი,
მოვეკვ — მუშას ვენაცვალი“.

პოეტისა და პატიოსანი კაცის სიტყვა-სიმღერამ ერთ ეზო-
ში მცხოვრები მიღდარი ოჯახიშვილი ელიც მოიხილა, მაგრამ
გაგულნიანმა მამამ ფული არ დაშოვა, ქალიშვილი პოლიცი-
ის ოფიცერიც გათხოვდა და მოსიყვარული ახმანაგის დაბეჭე-
ბით რევიდუციონერთა თანაგრძობაში შემწეული იეთიმ-
გურჯი თბილისიდან გაასახლა. წლები დაილია, იეთიმი დაბ-
რუნდა, მაგრამ ელი ვეღარ დაბრუნდა: იგი გაუხანებლად
დაიღუპა და იეთიმსაც გულდაწყვეტილი აღმოხდა: „ენი და მ-
წყველა, ვისი წველა ამიხდა“:

„არ გამეცნე, კარგი იყო თავიდან,
შუა ზღვაში გადამაგულ ნავიდან,
რომელ მგოსანს ვიხოვო სამართალია,
სად ვიჩვილო, რუსთაველი მგდარდა“.

პოეტი იეთიმი იქცა სიზარტულად. მასზედ ფიცილებენ,
მასთან მიღიან გულის მისაოხებლად. მოწოდებად ისმის მისი
სიმღერა:

„ამხანაგის მოღალატეს,
წინადაცხელი არა შევდეს!
იქას შვილად ვერ მივღებ,
წინაპარების აკანს სწევდეს.
სიციხელი იმ გულის დღას,
თავის მამის საფლავს ხნავდეს!“

იეთიმ-გურჯის სცენური იერსახე შექმნა თეატრის ვეტე-
რანმა, რესპუბლიკის დამასურებელმა არტისტმა ალექსი
კუპაძემ. იგი ბუნებრიობით ჩაუწვდა პოეტის სულიერი
სამყაროს და რბილი და თბილი ფერებით დახატა შინაგა-
ნად მულეგარე აშულის პორტრეტი. მასხიობმა სპექტაკლის
კოლორიტის გამომსახველი ხშირია და მოძრაობით დასაწყის
ლოგი ზედა სათულზე მდგარი ელითთან და დასაწყისშივე
გაგრძობინა ლეიონი მიხვარობის ტრადიციული დასარული.

სოციალური სიმძაფრით ჩაატარა მასხიობმა ღვინო ვა-
ჭარ ბეჭთაბეგოვთან შეხვედრა: „სიყვარულის ანაბანა, ტარ-
ტაროზმა იღის განა?“ — მიმართავს აშული სულით მოვაჭრის
და მის ბედსალ შვილსაც უარს უხებნება დაკვარ-სიმღერის
სწავლებს. „შენთვის დღეუკი გაიოლინა, დილი კი შლია-
პა! ნაბიჭვარსაც კაცი არ გათოვა“.

არც გამოვიდა. და ვით მიღვიწვილი ს მიერ
განსაზიერებელი ჯერანა მისი მკაფიო პორტრეტი — გო-
ნებაშვირი და ლოყვითიური, გრძნობიშეზღუდული და თავ-
გასული, უღლიერი და ბორტკი, ქონებით მიღდარი, სულიერ-
რად კი ღატაკი. მამის ანგარიშთანობის უნარიც კი არ გა-
მოჰყვდა და ცხოვრებამი თავის გამოსანჯნად პოლიციის
სამსახურში ჩაღა.

იეთიმ-გურჯის ორმხრივი მოწინააღმდეგედ აღიმართა
პოლიციის ოფიცერი ხოფელი. კონსტანტინე ჟუ-
როვილი ო სულით უხეში და ყინისაკაწავალით ასალ-
გაზრდა ოფიცრის იერსახე ქმნის, რომლისთავისაც არც დიდი
გულადობაა დამასაბიებელი და არც ადამიანური კვილი-
მობილება. მთავარია ბნელ კუთხეში მოხილეთი საკვირის

მომემდე ადამიანი, ჩასაფრებულში გაუსწორდეს და მზაკვერულად აწინს.

ბეგთაბეგოვის მკაფიო პორტრეტი შექმნა ედუარდ მონსიეიმ. ლიტერატურულმა ტექსტმა საშუალება მისცა მსახიობს ქალაქური კილოვანის ზომიერებითა და ძველი თბილისელი დიდიარი გაჭრისათვის მძინარეობის ელფერით წარმოესახა თავისი გმირის ცენური იერსახე, ვინც საკუთარი მამის მზეს ფიცულის, სხვის კი მზის სხივს უზნობს. იგი ყველაფრის სათავედ საანგარში ჩოთქას სთვლის: „მამიჩემის მზემ, ჩოთქის ფასი ქვეყნად არაფერია! აი, იმ კასრსა სამი კაცი ადგილიდან ვერ დასტრავს. ჩოთქში კი, ერთ თითს გაკვრავ და კასრიც ჩაგორდა! ნახე? რა ძალა აქვს ამ პატარა თითსა? დანარჩენი ყველა მოგონილია“.

ფუფუნებით გონებაშეზღუდული მდიდარი ვაჭრის ცილის გულწინას ფერმარლიანი იერსახე შექმნა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მარიამ ლაშვილმა. ახლა სიმდიდრეში ცურაობს გულწინა, მაგრამ მანც ჩანს რომ „ნიშნობამდე აბანოს ქოშები ეცვა“. ამიტომ არის დახარბებული ყველაფერზე, მაღალთანამდებობიან სიმეფეე კი, თუმცა იცის, რომ უღირსი კაცია, შვილის გულს მიუკარებელი და მისი სიცოცხლის მომწამვლედი.

კახი ქემაშვილის მედუღვე წყალობა სულიერი დეგრადაციით დაღუპული პიროვნებაა. იგი იეთიმ-გურჯის მოწაფეა და მისივე გამყიდველი, სიმღერას რომ ფულის საშოვნელად ამბობს და პოლიციის მამებლარობასა შემოსავლის წყაროდ იხდის.

ნახი არაქაშვილის ელო სულიერ-იდურ კონტაქტშია დაბლა სართულზე მცხოვრებ ნათელი აზრებითა და კეთილი გმობიებით სავსე იეთიმ-გურჯთან. მსახიობი ლაბი-დარული მეტყველი ცენური ნუანსებით აციცლებს საოჯახო შშორით მოწამული და სასიკვილოდ განწერიული ელის იერსახეს. რეჟისორი სოციალური დაცილებულობის გამოპირებულ მიხედვით მიზანსცნებით ერთიმეორის საწინააღმდეგო სიმაღლეზე აყვების ელს და იეთიმ, მაგრამ ერთმანეთისაა ლტოლვის სიტყვიერ კიბეს სდებს მათ შორის. დამის წყვილადმი თითქმის მივარის შეუქმნი განათებულ ელის სახეზე მწუხარებაც იხატება და ხელმოწყვდნი ბედნიერებაც. დაბლიდან მაღლა დაუღალავად შემეურ-ბო პიეტის გულს კი შოლოდ სეფდსა და სიხარულის სიტყვები ესმის:

„მე მამის ევაგილით მშენი ვარ, იეთიმ-გურჯო, შენთვის ციცილის გენი ვარ, არ დამწყველო, ბოლოს მანც შენი ვარ!“

ძველი თბილისელი მუზა-რეველუციონერის, გაბედული და კეთილი ვეჯაკის უღიასის სცენური იერსახე დახატა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გიორგი პაპაშვილმა. რწმუნა საკუთარ იდურ მიზანდასახულებაში, კაცურკაცობაში, მოქალაქეობურ კეთილშობილებაში, მეგობარი დახარბობის, მოძულე დამნაგვერდის, — ასეთია უფლია. იგი თბება იეთიმის სიმღერა-ლექსებით და ძალას მატებს მასაც თავისი პატიოსნობის გაბედულობით. მსახიობი საკუთარი სცენური გმირის მოქმედებით აღრმავეს იეთიმ-გურჯის აზრსა და ნაფიქრალს, მის სევდასა და სიხარულს, სიყვარულსა და მიუწვდომლობას:

„მე მამის მარტად შექცა მერცხლის ადგილს ჩხავის ევაგი, ვალმა გაქვსს ვაპირებდი მაგრამ ადამიანი ნაყო“

დარბაისცილი და კეთილი მუზა-რეველუციონერის იეთიმ-გურჯის კაცობრივ მეყვარეობად ბავარტას იერსახე დახატა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვლადიმერ მარკოშვილმა. გულდის, წმინდა, იეთიმის სულიერი საწყაროს გამგები, დამფასებელი და გამგრძელებელი

ოთარ მამლორია



მუზა-მოღვემ-მოსიმღერე ციციკას პორტრეტი შექმნა კიანუხ მხალაძემ. თავიანთ კოლორიტული ბუნება წარმოსახა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გიორგი მამუჩიშვილმა. სოციალური უკმაყოფილების და პროტესტის გამოხატულებითი შტრესებით დახატა ვაჭრის სახეში განაწამები მოკამაგირე გურჯიას სახე თამაზ მამისურაძემ. კიდევ უფრო მიძინე ხვედრით განაწამები ეგუზა წარმოსახა ირაკლი მჭედლიშვილმა. პოლიციის უსულოდობა ბუნებრივ ჩაგავიდა ანდრე ტაბაშვილმა.


წარმოდგენის დამდგმელმა ლერი პაქსაშვილმა და მხატვარმა თეიმურაზ გოცაძემ ძველი თბილისის კოლორიტის დეკორატიულ-სივრცობრივი ატმოსფერო შექმნეს. სპექტაკლი აგებულია მაკონურად მეტყველი ინტერიერებით, შიდადმივე ბუნებრივი ექსტერიერის ჩართვითაც. ძველი თბილისის ეთნოგრაფიული ელემენტების განზოგადებულად მოსატყამ პლასტიკურადა და შორამშეცდვობა მისცა წარმოდგენას, კანადილა აქტიობითა შორაობა, ყურადღება წარმართა აზრის მკაფიოებისაყენ, დასამახსოვრებელი გახდა ტიპები, ჩანებულობა, გარემოცვა.

სანტრესქოდ გამოიკვივა ქორეოგრაფიული მიზანსცენები, რომლის ატორია მირიან თვალაშვილი, განსაკუთრებით თავიანთ საკუთარში გადამახსოვრებლად დაბრუნებული იეთიმ-გურჯის მეგობრების ლხინი და ცეცვა. აზრიანად არის შერჩეული მუსიკალური მასალა გიორგი არაქაშვილის მიერ. წარმოდგენაში გზადავა გამოყენებულია სახლური მოტივები, დუღუკუ ნაღერი მელიდები. მთავარ მოქმედ პერსონაჟებს საკუთარში მოსოფლმედიცინის გადმოქმეტი მუსიკალური თემები მიეცათ, საზოგადოებრივ ცენურ მოვლენებს შესატყვისი იდურ-ემოციური მოტივები აღრმავებ და ამკაფიოებენ.

წარმოდგენის მსვლელობის დროს შეიმჩნეოდა ცოტა რამ გაუმართობაც; იეთიმ-გურჯის შემსრულებელი მსახიობი ზოგჯერ ეთიმოვდა სცენური გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტის სიბრბოლს, შედმეტად ეძალდებოდა გარეგანი გამოსატყვის პლასტიკობას, მისი აწვევას, ფრისის ყარაზი-

ღული კილოვაიტი გამოთქმას, სიტყვა „გენაცავლეს“ გაწე-
ლილად და ჩატკატუნებით გამოწრეტას. ალაგ-ალაგ საქირთა-
მუსიკალური თანხლების ხმანიობას ძლიერების შენელება-
მიქმირებაც.

სპექტაკლი დამთავრდა იმით, რითაც დაიწყო: ზედა სარ-
თულზე ელო გადმომდგარა, ელოდებო, ღამეა, მთავარე თვა-
ლებს უნათებს. ქვედა სართულზე ნაბადმხვეული იეთიმ-
გურჯი დგას, შესცქერის, უმღერის. მთავარე მასაც მხოლოდ
თვალს უნათებს. ელო მარტო უსმენს, დაღლა ვეღარ ჩადის:
იგი ძალიან მაღლაა, იეთიმი კი დაბლა. მათ შორის გუშინ
სოციალური ზღუდე იყო აღმართული, ახლა კი სიკვდილიც
გაიხეობა, მაგრამ, ამან კიდევ უფრო მეტად დააახლოვა ისინი
ერთმანეთთან, ორივე კი ჩვენთან, ჩვენი დროის მაცურებელ-
თან.



ჯანსელ ნიკაიპასა



ეატრალურ მოვლენას, კრი-
ტიკისა და გულშემატკივრე-
ბის გარდა, ჰყავს კიდევ ერთ-
ი ყველაზე ობიექტური, მართალი,
უტყუარი რეცენზენტი. ეს პირუთენელი
შემდგახებელია დრო. სპექტაკლის სცე-
ნური სიციცხლის ხანგრძლიობა ყველა-
ზე უკეთ მეტყველებს მის ავკარგინა-
ბაზე. თუ სპექტაკლი ერთი წლის გან-
მავლობაში 100-ჯერ და მეტჯერ იქნა
ნაჩვენები, ეს მოწიბობს მაცურებლის დიდი
ინტერესს მისადმი, ეს უკვე წარმატებაა.

ასეთ სპექტაკლთა რიცხვშია საქართ-
ველოს თოჯინების სახელმწიფო თეატ-
რის მიერ ერთი წლის წინათ დადგმული
„ცანგალა“. ეს წარმოდგენა სხვა მხრი-
ვაც იყო საინტერესო. იგი ერთგვარი
დრამატურგიული დღიბუკტი გახლდათ
პიესის ავტორის, აქამდე კარგად ცნო-
ბილი პოეტის ჯანსელ ნიკაიპასისა, ხო-

ნელინაღვი ასჯარ

ლო საქართველოს სსრ ხელოვნების დამ-
სახურებელი მოღვაწის რეჟისორ
გრ. ლადიძის პირველი ნამუშევარი თო-
ჯინების თეატრის სცენაზე, მუსიკის ავ-
ტორის ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზი-
ტორის ვაჟა აზარაშვილისთვისაც პირ-
ველი შეხვედრა იყო ბავშვთა სამყაროს-
თან, ახალგაზრდა მხატვრამა აღეკო
რატიონმაც პირველად გააფორმა თეატ-
რალური დადგმა.

„ცანგალა“ ჯ. ნიკაიპასის პირველი ნა-
ბიჯია თოჯინების თეატრის დრამატურ-
გიაში და დრამატურგიაში საერთოდ.
თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია,
რომ ახალგაზრდა პოეტმა სული მოჰკი-
და თოჯინების თეატრისათვის პიესის
წერას. ამ ჯანრში არც თუ ბევრი მწე-
რალი და დრამატურგი მუშაობს, ძირი-
თადად გადმოკეთებული და თარგმნილი
პიესები იდგებოა.

პალო იაშვილის მუნასიბი გაგავსენდა:

„ღმერთს მა... ღობა ენახეთ ხალხის ეთიმი,
ის ყოფილა ჩვენი გელის ექიმი.
საქართველო ზეცას ეთამაშები,
მაგრამ იეთიმ-გურჯისათვის რას შეუბი?
ვაღარ არის შენი შვილი ეთიმი
ვერ უნახავს ვერსად თვის ექიმი“.

მაინც ნახა! აქიმ-გურჯნალად საქართველოს სიყვარული
დაღდა:

„ბებრო ვინმე მომიბონებს
როცა ამ ქვეყნიდან გავალ
თქვენ სიყვარულს თან წაიღებ
უიმიხსოვ მე არ წავაღალ“

არც წავიდა. — ხალხის გულში დარჩა.

თოჯინების თეატრის დრამატურგმა
უნდა იცოდეს ე. წ. „ბავშვური ენა“,
კარგად იცნობდეს ბავშვის ფსიქოლო-
გიას, ბავშვურ სამყაროს, უნდა გამოხა-
ხოს ამის შინაარსის გადმოცემის შესა-
ფერი ფორმა ისე, რომ სცენაზე გათამა-
შებულე მოსაბეზრებელი, მწრალი არ
გამოვიდეს. ჯ. ნიკაიპასემ დასძლია თოჯი-
ნების დრამატურგიასთან დაკავშირებ-
ლის სირთულე და თავის პიესაში ისე სა-
ინტერესოდ, მიმზიდველად, მხატვრული
ენით მოუთხრო ბავშვებს პატარა ბიჭის
ცანგალას ისტორია, რომ ბავშვები გა-
ფაციცებთი აღდგენენ თვალ-ყურს ამ-
ბავს, თავიანთ გმირთან ერთად განიც-
დიან, მასთან ერთად იციინან. საერთოდ
უნდა აღინიშნოს, რომ პიესა ქართული
თოჯინის „ცანგალა და გოგონას“ შექ-
მნის ერთ-ერთი პირველი ცდაა.

ბავშვებისთვის ადვილად მისაწვდომი,
შინაარსიანი პიესა ნათლად და გამომ-
სახველად მიიტანეს პატარა მაცურე-
ბამდე დამდგმულ რეჟისორმა და თე-
ატრის ნიჭიერმა კოლეგებმა.

სპექტაკლი ძველი და საშუალო თა-
ობის მსახიობებთან (ა. კირკიტაძე,
ქ. ძამამია, გ. ჩერქეზიშვილი, ს. ბოკუ-
რია, ე. ბეროსაშვილი და სხვ.)

უკვე წელწიდაზე მეტია „ცანგალა“
თოჯინების თეატრის სცენაზე და დღემ-
დე არ მოულებია მაცურებელი. თე-
ატრმა იგი თბილისის გარეთაც აჩვენა
